ალ. წერეთელი

ძველი საბერძნეთის ისტორიის წყაროთმცოდნეობა

(მოკლე კურსი)

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“
თბილისი — 1963

წიგნში მოკლედ გასხილული საბერძნეთის ისტორიის წყაროები და იგი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ ისტორიის ფაკულტეტის დასწრებული, საღამოსა და დაუსწრებელი განყოფილების სწავლების სტუდენტთათვის, აგრეთვე იმ პირთათვის, ვინც ამ ისტორიის შესწავლით არის დაინტერესებული.

საბერძნეთის ძველი ისტორიის წყაროთმცოდნეობის გაშუქება პირველი ცდაა ქართულ ენაზე და შეიძლება მას ზოგიერთი ნაკლიც ახლდეს, როგორც წყაროების დალაგებასა და შეფასებაში. ისე მეცნიერული ლიტერატურის მიმოხილვაში. ამიტომ ავტორი მადლობით მიიღებს სამართლიან შენიშვნებსა და მითითებებს.

გამომცემლობის რედაქტორი ნ. თ ა ლ ა კ ვ ა ძ ე

ტექრედაქტორი მ. ა ს ა თ ი ა ნ ი

კორექტორი ა. ს ტ უ რ უ ა

წარმოებას გადაეცა 15/VI-63 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/IX-63 წ. ანაწყობის ზომა 6×10: ქაღალდის ზომა 60×92; ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა 7.5; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახთა რაოდენობა 6,83 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახთა რაოდენობა 6,99

ფასი 34 კაპ.

შეკვეთა № 951 უე 04971 ტირაჟი 2000

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Тбилисского университета, Тбилиси, проспект И. Чавчавадзе, 1.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ცნობილია, რომ ძველმა ბერძნებმა შეჰქმნეს ისეთი მრავალ-მეტყველი კულტურა, რომელიც საფუძვლად დაედო ევროპულ კულტურას. საკმარისია ამ მხრივ რამდენიმე მნიშვნელოვანი მაგალითი დავასახელოთ: პირველ რიგში უნდა გვახსოვდეს, რომ „ჩვენი დროის მეცნიერება ძველბერძენ სწავლულთა და ფილოსოფოსთა მიღწევების ბაზაზე განვითარდა". მრავალი მეცნიერების სახელწოდება და სამეცნიერო ტერმინოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილი ძველბერძნული ენისაგანაა წარმომდგარი. ავიღოთ თუნდაც ტერმინი „ისტორია", რომელიც თავისი წარმოშობით მთლიანად მასთანაა დაკავშირებული. უდიდესი გავლენა ჰქონდა ჩვენი დროის ხელოვნებასა და ლიტერატურაზე ძველბერძნულ ხელოვნებას, ეპოსს და ლიტერატურას, რომელთა წარმტაცი ნიმუშები დღემდე უდავო ყურადღებასა და მოწონებას იწვევს. ამასთან ერთად ჩვენს საუბარში ხშირად ვხმარობთ ისეთ გამოთქმებს, ანდაზებსა და შედარებებს, რომლებიც ძველბერძნულისაგან მომდინარეობს. კარგად თქვა თავის დროზე ფრ. ე ნ გ ე ლ ს მ ა: „ჩვენ იძულებული ვიქნებით, კვლავ და კვლავ ვუბრუნდებოდეთ იმ პატარა ხალხის ფილოსოფიას, აგრეთვე სხვა მრავალ დარგშიც მიღწევებს, რომლის უნივერსალურმა ნიჭიერებამ და მოღვაწეობამ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში უზრუნველუყო მას ადგილი, რომელზეც პრეტენზია არც ერთ სხვა ხალხს არ შეუძლია ჰქონდეს"-ო *.

ნათქვამიდან ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ძველი საბერძნეთის ისტორიის შესწავლას. წინასწარ კი უნდა გვახსოვდეს, რომ ბერძნებისა და მათი ქვეყნის ამსახველი ტერმინები ერთბაშად არ წარმომდგარა. რაც უფრო ვითარდებოდა ძველ ბერძენ ტომებს შორის ეთნიკური და კულტურული სიახლოვისა და ისტორიული განვითარების ერთობლიობის შეგრძნება, მით უფრო ვრცელდებოდა მათში საერთო სახელი ელინები (Hellenes) და ელადა (Hellas, ados). ხოლო შედარებით უფრო გვიან რომაელების მეოხებით გავრცელებულა საერთოდ მიღებული ტერმინი—გრეკოი

* К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., изд. 2-е, т. 20, გვ. 369.

(Γραικοί). აქედან მომდინარეობს რუსული ტერმინები—Греки, Греция. გერმანული — Griechen, Griechenland და ა. შ. თავიაებურია ქართული ტერმინები: ბერძნები და საბერძნეთი.

ძველი საბერძნეთის ისტორიას პირობითად 5 ძირითად პერიოდად ჰყოფენ:

1. ეგეოსის ანუ კრეტა-მიკენის პერიოდი (ძვ. წ. III—II ათასეული)
2. ჰომეროსის (ძვ. წ. XI—IX ს.)
3. არქაული (ძვ. წ. VIII—VI ს.)
4. კლასიკური (ძვ. წ. V—IV ს.)
5. ელინისტური (ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარი და ძვ. წ. I საუკუნის შუალედი).

ეგეოსის პერიოდში ძველი საბერძნეთის ტერიტორიასა და კუნძულებზე მიმდინარეობდა გვაროვნულ ურთიერთობათა დაშლისა და ადრინდელი კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნის პროცესი. ამ პერიოდში ერთი მხრივ, ზოგიერთ რაიონში მონათმფლობელური სახელმწიფოები ვითარდებოდა, ხოლო მეორე მხრივ, მათ მეზობლად მდებარე ფართო ტერიტორიებზე არსებობას განაგრძობდა პირველყოფილი საზოგადოებრივი წყობა *. ამ დროის მიმართ უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ ეგეოსის სამყაროს ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტესთან, სირიასთან, მცირე აზიის მხარეებთან და სიცილიასთან. მაგრამ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა ძვ. წ. II ათასეული წლების დასასრულს და ეგეოსის სამყაროს თითქმის ყველა სახელმწიფომ განიცადა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ რაიონებიდან სამხრეთით გადმოსახლებული მონათესავე ძველბერძნული ტომების გამანადგურებელი შემოსევა და შეწყვიტა არსებობა. ეს ტომები ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების სტადიაში იმყოფებოდნენ.

უკანასკნელ დრომდე ჩვენთვის ის პერიოდი, როცა დამპყრობელი და ადგილობრივ გადარჩენილი ტომების ცხოვრებაში გვაროვნული წყობილების დაშლა და მათ მიერ კრეტა-მიკენის კულტურის მიღწევათა თავისებური ათვისება მიმდინარეობდა, მხოლოდ ძველბერძნული ეპიკური პოემების „ილიადასა“ და „ოდისეას“ წყალობით იყო ცნობილი, ამიტომ მას ჩვეულებრივად „ჰომეროსის პერიოდს“ უწოდებენ.

---

* როგორც პერიოდებად დაყოფა, ისე მათი ზოგადი დახასიათება თანმიმდევრულად მოცემულია ნაშრომში История древней Греции, под ред. В. И. Авдиева и П. Н. Никуса, Госизд. „Высшая школа“, М., 1962, გვ. 3—5, 12—13.

ჰომეროსის პერიოდის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა „არქაული პერიოდი“, რომელშიც მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბება ხდება. ამ პროცესის თანამგზავრია პატარა მონათმფლობელური ქალაქ-სახელმწიფოების (პოლისების) წარმოქმნა.

ანტიკური მონათმფლობელური მეურნეობა საბერძნეთის პოლისებში თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს აღწევს „კლასიკურ პერიოდში“. ამასთან ერთად ამ პერიოდში დიდ აყვავებას განიცდის ბრწყინვალე ელინური კულტურა. ძვ. წ. V საუკუნის დასასრულისათვის მონათმფლობელური ეკონომიკის განვითარებამ უკვე ისეთი ხასიათი მიიღო, რომ პოლისების ვიწრო საზღვრებს გადაეზარდა და ძვ. წ. IV საუკუნის ქალაქ-სახელმწიფოებში ისეთი მძიმე სოციალური და პოლიტიკური კრიზისი წარმოქმნა, რომელსაც თან მოჰყვა მაკედონიის მიერ საბერძნეთის დამორჩილება. ეს კრიზისი დროებით იქნა გადალახული ბერძნებისა და მაკედონელების მიერ სპარსეთის სახელმწიფოს დაპყრობით. ამის შემდეგ ძველი საბერძნეთის ისტორიაში იწყება უკანასკნელი — „ელინისტური პერიოდი“. სპარსეთის მონარქიის დაცემის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში წარმოიქმნა ელინისტური მონარქიები, ხოლო საბერძნეთში ბერძნული პოლისების ფედერაციული კავშირები. როგორც ელინისტური მონარქიების უზარმაზარ ტერიტორიაზე, ისე საბერძნეთში და მაკედონიაში გრძელდებოდა მონათმფლობელური საზოგადოების შემდგომი განვითარება. ეს პერიოდი მთავრდება რომის მიერ საბერძნეთის, მაკედონიისა და ეგვიპტის დასავლეთით მდებარე ელინისტური სახელმწიფოების დაპყრობით, ხოლო ეგვიპტის აღმოსავლეთით მდებარე ელინისტურ მონარქიებს პართელთა ძლიერი სახელმწიფო დაეუფლა.

ძველი ბერძენი მწერლების ცნობით, ვიდრე ბერძნები ელადაში გადმოვიდოდნენ, აქ სხვა ტომები ბინადრობდნენ: ლელეგები, დრიოპები, პელასგები და კარიელები. ბერძნებს ეს ტომები ნაწილობრივ სამხრეთით განუდევნიათ, ნაწილობრივ მათში შერეულან და მათი კულტურიდან ზოგი რამ შეუთვისებიათ. თუ ტრადიციას და ზოგიერთ არქეოლოგიურ მონაცემს დავუჯერებთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბერძენი ტომების პირველი შემოსვლა ელადაში დაკავშირებული იყო ჩრდილოეთიდან აქეველების გადმოსახლებასთან ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში. აქეველების ტომები თანდათან მიიწევდნენ სამხრეთით პელოპონესამდე. ბერძენ ტომთა გადმოსახლების მეორე დიდ ტალღას წარმოადგენდა დორიელთა მოძრაობა ძვ. წ. XII—XI საუკუნეებში.

ბერძენი ტომების ელადაში განსახლების სურათი დორიელთა მოძრაობის შემდეგ ზოგადად ასე უნდა წარმოვიდგინოთ: დორიელე-

ბისაგან შეეწროვებული აქეელების მხოლოდ ნაწილი შემორჩენილა პელოპონესის ჩრდილოეთ ნაწილში — მხარე აქეაში; ეოლიელები დამკვიდრებულან თესალიაში, ბეოტიაში, ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთი ნაწილის კუნძულებზე და მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე (მხარე ეოლიდა); იონელები მოსახლეობდნენ ატიკაში, ევბეაზე, ლემნოსზე, ქიოსზე, სამოსზე და მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე (მხარე იონია); დორიელებმა დაიკავეს პელოპონესის დიდი ნაწილი (არგოლიდა, მესენია, ლაკონია), ეგეოსის ზღვის სამხრეთი კუნძულები და კრეტა.

ბერძენ ტომთა ასეთ განსახლებას შეესაბამებოდა ბერძნული ენის ძირითადი დიალექტების — ეოლიურის, იონურისა და დორიულის გავრცელება. შემონახულია ყველა ამ დიალექტზე დაწერილი მნიშვნელოვანი ლიტერატურა და რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლი. საერთო ბერძნული ენა (კოინე) კი მხოლოდ ელინიზმის ეპოქაში წარმოიქმნა, როცა გაფართოვდა და განმტკიცდა ბერძენ ტომთა შორის ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური კავშირი.

ამგვარად, ძველი საბერძნეთის ისტორია ჩვენგან საუკუნეთა გრძელი წყებითაა დაშორებული. ცნობილია ისიც, რომ ანტიკური ისტორიკოსები, მცირე გამონაკლისის გარდა, ლეგენდარულ ცნობებს სინამდვილის გამომსახველად თვლიდნენ და თავიანთ ნაშრომებში მათ სარწმუნო ცნობების გვერდით ათავსებდნენ. „როცა ლაპარაკი ძველ ისტორიას შეეხება, აუცილებელია კვლავ მუდმივად გვქონდეს მხედველობაში — ამბობს ერთი თანამედროვე მკვლევარი — იმ დროის ისტორიოგრაფიაში წმინდა მითოლოგიური შაბლონების უდიდესი როლი: მითოლოგიური შაბლონებით შეივსებოდა ისტორიული ამბების დალაგებულ მიმდინარეობაში არა მარტო ის ხარვეზები, რომელთა შესახებ უტყუარი ჩვენებები არ არსებობდა, არამედ წმინდა ისტორიულ, სავსებით უეჭველ ჩვენებებსაც ამ შაბლონებით გადაამუშავებდნენ ლიტერატურული გემოვნების საამებლად“[1], ამიტომ, მეცნიერულად რომ აღვადგინოთ ეს შორეული წარსული და ჯეროვნად გამოვიყენოთ მრავალრიცხოვანი ბერძნული წყაროები, აუცილებლად გვმართებს მათი კრიტიკული შესწავლა და გაშუქება. მართალია, დროთა მსვლელობაში ბერძნული წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა და დაიკარგა, სხვადასხვა მიზეზების გამო, და ჩვენამდე არ მოულწევია, მაგრამ მაინც შემონახულია მათი მდიდარი საუნჯე, რომლის ამეტყველებას, სისტემატიზაციასა და მეცნიერულ შესწავლას ემსახურება განსაკუთრებული დისციპლინა — წ ყ ა რ ო თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა. ბერძნული წყაროები შეგვიძლია სამ ძირითად კატეგორიად დავყოთ: მითები და თქმულებები, არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული ძეგლები, წერილობითი ძეგლები.

მითები და თქმულებები [2]

ძველ ბერძნებს მრავლად შეუქმნიათ საყურადღებო მითები და თქმულებები, რომლებიც „ძვირფას წყაროს წარმოადგენენ ბერძენი ხალხის სულიერი სამყაროს გაცნობისათვის. ისინი გვიჩვენებენ, თუ როგორ უყურებდა ეს ხალხი თავისი განვითარების გარკვეულ სტადიაზე ბუნებას, როგორ განმარტავდა მის გარემომცველ მოვლენებს; როგორ წარმოიდგენდა ღმერთებსა და გმირებს, თავის წარსულს, ისტორიულ ამბებსა და მოღვაწეებს; როგორ განასხეულებდა ცალკეულ სახეებსა და პირებში ზოგჯერ თავისი ისტორიის მთელ პერიოდებს“ [3].

ბერძნულ მითებსა და თქმულებებს ჩვენამდე ხალხური ზეპირი შემოქმედების სახით არ მოუღწევია. ისინი შემოგვინახა უფრო გვიანდელი დროის ხელოვნებისა და წერილობითი ლიტერატურის ძეგლებმა: პოეტების, ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, მოქანდაკეთა და მხატვართა ქმნილებებმა. ამასთან დაკავშირებით ისმება საკითხი, თუ რამდენად გამოსადეგია ისტორიული კვლევა-ძიებისათვის მითები და ლეგენდები?

ჯერ კიდევ ძველად, ალექსანდრე მაკედონელისა და დიადოხების თანამედროვე მწერალმა ე ვ გ ე მ ე რ მ ა თავის ტრაქტატში — „საღვთო ქრონიკა“ სცადა მითები მხოლოდ დამახინჯებულ ისტორიად წარმოედგინა, ხოლო ღმერთები და მითური პირები ოდესღაც მცხოვრებ მეფეებად და საერთოდ ისტორიულ მოღვაწეებად. იგი მოგვითხრობს, რომ კუნძულ პანქეაზე ყოფნის დროს აღმოაჩინა წარწერა, რომელშიც ვითომც გადმოცემული იყო კაცობრიობის მთელი ისტორია და ღმერთების კრონოსისა და ზევსის საქმიანობა. ევგემერი აქედან დაასკვნის, რომ ღმერთები და გმირები წარმოადგენენ გალმერთებულ ძლიერ ადამიანებს, ხოლო მითოლოგია სასწაულებრივ საშოსელში გახვეულ ისტორიას.

ევგემერის ეს მოსაზრება (ევგემერიზმი) მრავლად გაიზიარეს ძველად საბერძნეთსა და რომში. რა თქმა უნდა, მითების ასეთი განმარტება შემდგომ თაობებს ვერ დააკმაყოფილებდა და ამ საკითხის გარშემო სხვადასხვა თეორია წარმოიქმნა.

ჩვენს დროში კი თანდათან განმტკიცდა შეხედულება, რომ მითებსა და თქმულებებში მოცემულია რეალური სინამდვილის თავისებური გამოსახულება, რომ მათ მეტად თუ მცირედ ისტორიული საფუძველი უდევთ და ამ მხრივ თითქოს წარსულის გამოძახილს წარმოადგენენ. მაგრამ თუ ხშირად თქმულებებში დართულია ისტორიული სინამდვილის მარცვალი, ის ისეა მორთულ-მოკაზმული პოეტური ფანტაზიისა და მონაგონის სამოსლით, რომ ადვილი არ არის მისი გაწმენდა მრავალსაუკუნოვანი შენამატისაგან და ნამდვილი სახისა და პირვანდელი მნიშვნელობის დადგენა. ეს კი დიდ სიფრთხილეს, ფართო ერუდიციასა და მახვილ კრიტიკას მოითხოვს.

როცა ძველი ბერძნების მითებს მათი მეზობელი ტომებისა და ხალხების მითებს ვადარებთ, შეგვიძლია გავითვალისწინოთ მათ შორის უძველეს ეპოქაში ურთიერთ კავშირი და ურთიერთ ზეგავლენა. მითები გვარწმუნებენ, რომ განსაკუთრებით მჭიდრო იყო ბერძენი ტომების ურთიერთობა მცირე აზიის ხალხებთან, კრეტასთან, კავკასიასთან, კერძოდ ქართველ ტომებთან.

ეპიკური პოეზია [4]

ბერძნული ისტორიოგრაფიის სათავეებს წარმოადგენს ეპიკური პოეზია, რომლის შინაარსი მითებსა და თქმულებებზე იყო დაფუძნებული. მხედველობაში გვაქვს ჰომეროსის სახელთან დაკავშირებული პოემები — „ილიადა“ და „ოდისეა“.

საბერძნეთის შორეულ წარსულზე მოუთხრობდნენ პოეტური თქმულებები, ლეგენდები, მითები და საგები, ე. ი. ისეთი თხრობითი ფორმები, რომლებშიც ხალხი თავის დაუწერელ ისტორიას გადმოგვცემს. მათგან თანდათანობით წარმოიქმნა სიმღერები ბუმბერაზთა შესახებ. რომლებიც საგმირო ეპოსის ჩანასახად უნდა ჩაითვალოს. ჰომეროსის ეპოსს წინ უსწრებდა გმირული სიმღერები, რომლებშიც გამოკრთოდა უცნობი შორეული სამყარო. შორეულ წარსულში გაჩენილან პროფესიონალი მომღერლები—აედები, რომლებიც სიმღერით მოუთხრობდნენ მსმენელთ გმირთა საქმეებს. აედები ქნარზე ამღერებდნენ ისეთ ეპიკურ სიმღერებს, რომლებიც ერთი თაობიდან მეორეში გადადიოდა, ჯერ ზეპირსიტყვიერებაში ინახებოდა და შემდეგ საფუძვლად დაედო ეპოსს. ამიტომ ეპოსი იმ სახით, რომ-

ლითაც მან ჩვენ დრომდე მოაღწია, ხანგრძლივი. მრავალსაუკუნოვანი, თანდათანობითი განვითარების შედეგია. ასეთ მასალაზე დაყრდნობილი ჰომეროსის პოემები თავისი აგებულების მთლიანობით და მხატვრული ღირსებით მსოფლიო ლიტერატურის შედევრს წარმოადგენენ.

ჰომეროსის ორივე პოემის შინაარსი ტროას ომის გმირულ თქმულებათა ციკლთანაა დაკავშირებული. ტროას ილიონიც ეწოდებოდა და აქედან მომდინარეობს პირველი პოემის „ილიადას" სახელი. იგი ძირითადად ტროას ომთან დაკავშირებულ ამბებს მოგვითხრობს და მასში ყველაფერი ისეა გადმოცემული თითქოს ავტორი გულისხმობს, რომ მსმენელი მთავარ მომქმედ პირებს უკვე იცნობს. მისი შინაარსი არსებითად ერთი მთავარი ეპიზოდია: ტროას ომის ერთ-ერთი გმირის აქილევსის რისხვა აქეველთა ლაშქრის წინამძღოლის, აგამემნონის მიმართ. პოემას ცხადად ემჩნევა მრავალსაუკუნოვან დაშრევებათა გავლენა.

მეორე პოემას „ოდისეას" საფუძვლად უდევს უფრო ყოფაცხოვრებითი და ზღაპრული შინაარსი. „ოდისეა" ეწოდა მას იმიტომ, რომ მისი ძირითადი თემაა ტროას ომის ერთი მონაწილის, კუნძულ ითაკის „მეფის" ოდისევსის ლაშქრობიდან, მრავალი განსაცდელის გადალახვით, ოჯახში დაბრუნება. მართალია, ის ტროას დაცემის შემდეგ მეათე წლის ამბებს ეხება. მაგრამ მასში საყურადღებო ისტორიული ელემენტებია მოცემული.

ორივე პოემა მუზისადმი მოწოდებით იწყება, რათა იგი დაეხმაროს პოეტს მეხსიერებაში აღიდგინოს წარსულ დღეთა მოგონებები. ასევე იწყებოდა საერთოდ ბერძნული პოემები. მუზები ზევსის ქალიშვილებად ითვლებოდნენ და ისინი ძველი ბერძნების წარმოდგენით, რიცხვით ცხრა, ბეოტიაში მთა ჰელიკონის მწვერვალზე ცხოვრობდნენ. ისინი მუსიკის, სიმღერის, ცეკვისა და მეცნიერების მფარველებად მიიჩნდათ. ძველი საბერძნეთის სკოლებში ყოველთვის იდგა მუზების ქანდაკებები; მათ ეველრებოდნენ სწავლის დაწყების წინ.

ჰომეროსის ეპოსი წარმოადგენს ფრიად მნიშვნელოვან წყაროს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გავითვალისწინოთ საბერძნეთის ისტორიიდან არა მარტო მიკენის ეპოქა, არამედ მიკენის შემდგომი პერიოდი, როცა ჯერ კიდევ სჭარბობდა გვაროვნული წყობილების თვისებები, ეგრეთწოდებული ჰომეროსის პერიოდი. პოემებში მოიპოვება მდიდარი მასალა, რომელიც ფართოდ აგვისახავს იმ დროის ყოფაცხოვრებას, საომარ ურთიერთობას და იდეოლოგიურ შეხედულებებს. აღსანიშნავია, რომ ახალი არქეოლოგიური მონაცემები ერთგვარ შუქსა ჰფენენ და ადასტურებენ პოემებში შემონახულ ცნობებს.

არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა და კრეტა-მიკენის „B“ ხაზოვანი დამწერლობის ამოკითხვამ განაპირობა ჰომეროსის საკითხზე ახალი სპეციალური ნარკვევების წარმოქმნა. მათ შორის აღსანიშნავია ინგლისელი მკვლევარის დ. პ ე ი ჯ ი ს „ისტორია და ჰომეროსის „ილიადა“ [3]. ამ თხზულების მეოთხე თავი შეიცავს ჰომეროსის მიენური მიკენის საბერძნეთის აღწერილობას, ხოლო VI თავში განხილულია „ილიადაში“ მიკენის პერიოდის გადანაშთები. თუ წინათ, კრეტა-მიკენის კულტურის დარგში უკვე პირველი აღმოჩენების შემდეგ დადგენილი იყო ზოგიერთი საგნის პროტოტიპები, რომლებიც ჰომეროსის „ილიადაშია“ მოხსენებული, მაგ., ნესტორის თასი (XI, 632), ოდისევსის მუზარადი (X, 261—265), პეიჯი თავის მხრივ ყურადღებას უფრო ენისა და სიტყვის ფორმებს მიაპყრობს, მიკენის ეპოქის გადანაშთების განხილვის თვალსაზრისით. მიუხედავად ზოგიერთი საკამათო დებულებისა „პეიჯის წიგნი ბევრს გვაძლევს ჰომეროსის პოემების ისტორიული საფუძვლის გარკვევისათვის“.

ჰომეროსის პოემებს დიდი მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდათ ბერძნების კულტურაზე. ისინი ბერძნების ცხოვრებაში თავისებურ ბიბლიად გადაიქცნენ და ახალგაზრდობის აღზრდის ერთ-ერთი საფუძველი გახდნენ. კერძოდ მათ თავისებური წამბაძველობის როლი ითამაშეს მრავალი სხვა პოეტური ნაწარმოების შექმნის საქმეში, რომელთაგან ჩვენამდე მხოლოდ ნაწყვეტებმა მოაღწიეს.

ისტორიულ წყაროებს მიეკუთვნება არქაული პერიოდის ლიტერატურის სხვა ძველი ძეგლებიც, რომლებშიც . გამოისახება მონათმფლობელური საზოგადოების წარმოქმნისა და განვითარების თანდათან გართულებული პროცესები [4]. ამ მხრივ პირველ რიგში დავასახელებთ ჰ ე ს ი ო დ ე ს პოემას „სამუშაონი და დღენი“.

ჰესიოდე ცხოვრობდა ძვ. წ. VIII საუკუნის დასასრულში და VII ს-ის პირველ ნახევარში. წარმოშობით იგი თავისუფალ მიწათმოქმედთა საშუალო ფენას ეკუთვნოდა. მამამისს ბეოტიაში, ჰელიკონის მთის ძირში მდებარე სოფელ ასკარაში მიწის ნაკვეთი ეკუთვნოდა. მამის გარდაცვალების შემდეგ ჰესიოდესა და მის ძმას პერსეს შორის მემკვიდრეობის გარშემო დიდი უთანხმოება ჩამოვარდნილა. პერსეს განუზრახავს ჰესიოდეს ნაწილის მითვისება. მას მოუსყიდია მსაჯულები და დავა თავის სასარგებლოდ წარუმართავს, მაგრამ მალე გაღატაკებულა და ისევ ჰესიოდესათვის მიუმართავს. პოემაში „სამუშაონი და დღენი“ ჰესიოდე გვაწვდის ზოგიერთ ბიოგრაფიულ ცნობას, მამისეული მემკვიდრეობის გარშემო-ძმასთან ხანგრძლივ დავას, თავისი დროის საშუალო გლეხობის მდგომარეობას და სოფლის მეურნეობის ტექნიკის საყურადღებო აღწერას. მართალია, ჰესიოდე პოეტი იყო და არა ისტორიკოსი, მაგრამ მის პოეტურ შემოქმედება-

ში ნათლად გამოკრთის ნამდვილი ამბების გამოძახილი. პოეტ-ეპიკოსის ჰესიოდეს მწუხარება არის იმავე დროს მისი დროის ბერძენი გლეხების საერთო ჩივილი და სულისკვეთება. ჰესიოდე წერს იმ თავისუფალი მიწათმოქმედის პოზიციებიდან, რომელიც მძიმე შრომით აშუშავებს თავის ნაკვეთს და რომელსაც ავიწროებენ „ძღვენთა მყლაპავი“ ბასილევსები. მართალია ისიც, რომ პოემას საფუძვლად უდევს თვითონ ჰესიოდეს მიერ განცდილი პირადი მწუხარება და უსამართლობა, მაგრამ არსებითად მასში ნატურალისტური ფერადებითაა განსახიერებული იმ დროის გლეხობის საერთო მდგომარეობა, მსოფლმხედველობა, მწუხარება და იმედი. მგოსნის მიერ მოსწრებულად ასახულ დასურათებაში თავისუფლად ვკითხულობთ იმ დროის საზოგადოებრივ ურთიერთობაში გაბატონებულ მექრთამეობას, სიტლანქეს, უსამართლობას, გაუტანლობას[68]. საერთოდ პოემაში მრავლად არის მოცემული ძვირფასი ცნობები საბერძნეთის ეკონომიური განვითარებისა და საზოგადოების სოციალური განშრევების შესახებ ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებში.

თავისი დროის დასახასიათებლად ჰესიოდე მოგვითხრობს არაკს ქორსა და ბულბულზე: ჭრელფრთებიან ქორს ცისაკენ აუტაცნია ბულბული-მგალობელი და მაგრად ჩაუსვამს მის სხეულში გამრუდებული კლანჭები. შეძრწუნებულ ბულბულს იგი ეუბნება: -ბრიყვო, რას ჭყივი, სადაც მინდა იქ წაგიღებ. მოვისურვებ შეგჭამ. არა და თავისუფლებას დაგიბრუნებ. უგუნურია ის, ვინც მოისურვებს წინააღმდეგობა გაუწიოს თავისზე ძლიერსო. ერთი სიტყვით პოეტს სურს გვითხრას, რომ მის დროს სიმართლე და პატიოსნება ისევე იტანჯებოდა ძალმომრეობისა და თავაშვებულობის პირობებში, როგორც ბულბული ქორის კლანჭებში; რომ სამართალი სირცხვილ-ნამუსი დაიკარგა და მათი ადგილი სიცრუემ, უტიფარმა ძალმომრეობამ და სიტლანქემ დაიკავა, „უკეთესი იყო, ასეთ დროს არ მეცხოვრაო“, გოდებს მგოსანი. დადგება დრო, ამბობს იგი, როცა თეთრ ტანსაცმელში გახვეული სირცხვილი და სამართლიანობა წავლენ ოლიმპზე და სამუდამოდ მიატოვებენ ადამიანებს, რომელთა ხვედრი მხოლოდ მწუხარება იქნება. ეს პოემა თავისებურ დიდაქტიკურ ნაწარმოებს წარმოადგენს და პერსესადმი მიმართულ ზოგად რჩევა-დარიგებებს შეიცავს. წაგლეჯისა და მიმტაცებლობის გრძნობით შეპყრობილ მოძალადეებს ჰესიოდე შრომის გამასპეტაკებელ გავლენაზე მიუთითებს: „არა შრომაა სირცხვილი, არამედ უსაქმურობაო“, ამბობს იგი. ამავე დროს იგი გვისურათებს შრომისმოყვარე გლეხს და ურჩევს მას ისეთ პატიოსან გზას, რომელიც, მისი აზრით, მას კეთილდღეობასა და პატივს მიანიჭებს. იგი მითითებას აძლევს მიწის მუშაკს, თუ როგორ უნდა აწარმოოს ხვნა-თესვა, როგორ უნდა მუშაობდეს ტყეში,

როგორ უნდა აგროვებდეს დოვლათს და როგორი ურთიერთობა უნ-
და ჰქონდეს მეზობლებთან. პოემაში ჩამოთვლილია მიწათმოქმედე-
ბითი წლის ყველა სამუშაო, დაწყებული შემოდგომის თესვიდან
და აღწერილია ბუნება წლის სხვადასხვა დროს. დოვლათის შეძენის
წყაროდ, გაოდა მიწის მეურნეობისა, ჰესიოდეს ზღვაოსნობაც მიაჩ-
ნია. მაგრამ მას იმდროინდელი ბეოტიელი გლეხისათვის ჩვეული
უნდობლობით უცქერის.

ჰესიოდეს სიტყვით, კაცობრიობამ განვლო ხუთი ერთიმეორის
შემცვლელი საუკუნე: ოქროსი, ვერცხლის, სპილენძის, ტროისა და
თებეს ომების გმირებისა და ბოლოს რკინისა. ოქროს საუკუნეში
კაცობრიობა ბედნიერ ცხოვრებას ატარებდა და არ იცოდა მწუხარე-
ბა და გაჭირვება, მაგრამ ყოველ შემდგომ საუკუნეში ცხოვრების
პირობები თანდათან უარესდებოდა და მწუხარება და გაჭირვება
იზრდებოდა. განსაკუთრებით აუტანელი გახდა რკინის საუკუნე, რო-
ცა თვითონ ჰესიოდე ცხოვრობდა[7].

ჰესიოდეს მეორე პოემა „თეოგონია" შეიცავს მოთხრობას ღმერ-
თების წარმოშობისა და ბერძნული ღმერთების პანთეონის მწყობრ
სისტემაში მოცემის ცდებს. ღმერთების წარმოშობასთან დაკავშირე-
ბით აქვეა მოცემული ბერძნების წარმოდგენა მსოფლიოს წარმოშო-
ბის შესახებაც. მომდევნო საუკუნეებში ჰესიოდეს „თეოგონია" ძი-
რითადი წყარო გახდა ძველი ბერძნული სარწმუნოებრივი მსოფლ-
მხედველობისა.

მატერიალური კულტურის ძეგლები[8]

მატერიალური ძეგლები მნიშვნელოვანი ნაწილია საბერძნეთის
ისტორიის წყაროებისა. მატერიალური წყაროების მეშვეობით ჩვენ
შეგვიძლია გავითვალისწინოთ ბერძნების წარსული ყოფა-ცხოვრება,
მათი მეურნეობა, სოციალური და პოლიტიკური წყობილება, ხელოს-
ნობა, ხელოვნება, სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობანი, სარწ-
მუნოება. მატერიალური ძეგლების გათხრების საშუალებით
აღმოჩენა, მათი შენახვა, დაცვა და შესწავლა ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ი ს
საგანს წარმოადგენს. ვინაიდან ბერძნულ თქმულებებსა და წერილო-
ბით ძეგლებში შემონახული ცნობების მნიშვნელოვან დამატებას
წარმოადგენენ ნივთიერი ძეგლები, რომლებმაც ძველი საბერძნეთის
ისტორიის ყველა პერიოდიდან ჩვენ დრომდე მოაღწიეს, ამიტომ
არქეოლოგიის წინაშე ფრიად პასუხსაგები მეცნიერული ამოცანა
დაისახა. არქეოლოგიური ძეგლები ძველი კულტურის ნაშთია, რო-
მელთა განთავისუფლება მათზე დაყრილი ფენებისაგან მიზანშეწო-

ნილ მუშაობას მოითხოვს. არქეოლოგიურ ძეგლებს მიეკუთვნებიან დასახლებათა და ქალაქთა ნანგრევები, მათში აღმოჩენილი საოჯახო ნივთები, შრომის იარაღები და ძველი სამარხები თავისი მდიდარი ინვენტარით. ძველად სწამდათ იმქვეყნიური ცხოვრება და ამიტომ მიცვალებულებს საჭირო ნივთებს სამარეში ატანდნენ, მაგალითად. მხედარს — მის საჭურველს, ბავშვებს — სათამაშოებს, ქალებს — საძკაულს და ასე შემდეგ. ყოველივე ამის შესწავლა და მოვლა-პატრონობა არქეოლოგიას ეკუთვნის. არქეოლოგის ნიჩაბი შეიქნა „ჰერმესის გრძნეული კვერთხი", რომლის წყალობით „მზის სინათლე" იხილა საუკუნეთა განმავლობაში მიწაწაყრილმა და „ღრმა ძილში მყოფმა" უძველესმა დასახლებებმა და ქალაქებმა მათი კულტურის ღირსშესანიშნავი ძეგლებით. არქეოლოგების მიერ აღმოჩენილმა ნივთიერმა ძეგლებმა შუქი მოჰფინეს ბერძენთა ტომების შორეულ წარსულს.

განსაკუთრებულ განვითარებას არქეოლოგიამ XIX საუკუნის დასასრულს და XX ს-ის დასაწყისში მიაღწია. ნათქვამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს ეგრეთწოდებული კრეტა-მიკენის კულტურის გამაშუქებელი სიძველეები, რომელთა აღმოჩენა პირველ რიგში დაკავშირებულია იშვიათი მეცნიერ-დილეტანტის და ენთუზიასტის ჰ ე ნ რ ი ხ შ ლ ი მ ა ნ ი ს და მისი თანამშრომლებისა და გამგრძელებლების მოღვაწეობასთან.

არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა, სხვათა შორის, გადაწყვიტა საკითხი ნამდვილად არსებობდა თუ არა ჰომეროსის ტროა. არქეოლოგებმა მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მდებარე გორაკზე (აწინდელ ჰისარლიკზე) აღმოაჩინეს ძვ. წ. III—II ათასწლეულის 9 თანმიმდევრულად ერთიმეორის შემცვლელი ქალაქური დაშრევების ნაშთები (ამ დანაშრევებს აღნიშნავენ ასე: ტროა I, ტროა II და ა. შ.). ძვ. წ. XXI საუკუნეში, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ტროას სამეფოს მტრების თავდასხმა განუცდია და მისი სატახტო ქალაქი ხანძარს შთაუნთქავს და მხოლოდ ძვ. წ. XVIII საუკუნიდან წარმოქმნილა აქ მოცულობით მნიშვნელოვნად უფრო დიდი დასახლება, ვიდრე ადრინდელები (ტროა VI). მას უარსებია XIV საუკუნის შუახანამდე, როცა მიწისძვრას გაუნადგურებია. აღდგენილი დასახლება შედარებით უფრო ღარიბი ყოფილა (ტროა VII—ა). „შეიძლება დარწმუნებით ვივარაუდოთ, რომ ორივე ეს დასახლება იყო სწორედ ის ძველი ტროა, რომელსაც ასე შესამჩნევი ადგილი უკავია ბერძნულ თქმულებებში" [2]. მეორე მხრივ, დასმული იყო საკითხი, სინამდვილეს შეესაბამება თუ არა აქეელთა მეფეების ძლიერი კოალიციის გალაშქრება ტროას წინააღმდეგ, რაც კარგად არის აღწერილი ჰომეროსის უკვდავ პოემებში. როგორც არქაული,

ისე სხვა ცნობების მიხედვით დღეს თითქმის საერთოდ გაზიარებულია აზრი, რომ ძვ. წ. დაახლოებით 1240 წელს ადგილი ჰქონდა ასეთ გალაშქრებას, რომლის შედეგად ტროა განადგურებული იქნა. მესაჰეს მხრივ, არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა დაადასტურეს, რომ არგოლიდაში მდებარე მიკენი, რომელიც შესამჩნევ როლს თამაშობდა პელოპონეულ თქმულებებში და ხმელეთის საბერძნეთში ძვ. წ. XV—XIII საუკუნეებში გავრცელებული კულტურის ცენტრს წარმოადგენდა. — ძლევამოსილი მბრძანებლების რეზიდენციე და მართლაც „ოქროთი აღვსილი" იყო, როგორც მას პოეტი უწოდებს.

შლიმანმა მის მიერ აქ აღმოჩენილ კულტურას, მიკენის სახელის მიხედვით, მ ი კ ე ნ ი ს კ უ ლ ტ უ რ ა უწოდა. შემდგომმა აღმოჩენებმა კი ცხადყო, რომ მას წინ უსწრებდა დიდი კულტურა, რომელიც ფართოდ გავრცელებულა ეგეოსის სამყაროში და რომლის მთავარი ცენტრი კუნძული კრეტა ყოფილა. არქეოლოგიური გათხრები მიკენის კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე კვლავ გრძელდება.

მითები მოგვითხრობენ კრეტაზე, როგორც ისეთ კულტურულ ცენტრზე, საიდანაც ბერძნებმა ბევრი ტექნიკური გამოგონება და ზოგიერთი კულტი გადაიღეს. კრეტელები იხსენიებიან აგრეთვე ეგვიპტის წყაროებში. მაგრამ კრეტის ძველი ისტორია ცნობილი გახდა უმთავრესად იმ ღირსშესანიშნავი არქეოლოგიური გათხრების შემდეგ, რომლებიც ჩაატარა ოქსფორდის მუზეუმის მცველმა, მერმე ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ა რ ტ უ რ ე ვ ა ნ ს მ ა (1851—1941). მოპოვებული ძეგლების საფუძველზე და კრეტის მბრძანებლის მინოსის სახელის მიხედვით ევანსმა აღმოჩენილ კულტურას მ ი ნ ო ს ი ს კ უ ლ ტ უ რ ა, ხოლო მის დამწერლობას მ ი ნ ო ს უ რ ი დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა უწოდა. მანვე სამ პერიოდად დაჰყო კრეტის უძველესი ისტორია: ა დ რ ე მ ი ნ ო ს უ რ ი, შ უ ა მ ი ნ ო ს უ რ ი და გ ვ ი ა ნ მ ი ნ ო ს უ რ ი. ამ პერიოდების ქრონოლოგიური საზღვრები მან კრეტაზე ნაპოვნი შუამდინარეთური და ეგვიპტური საგნების მიხედვით განსაზღვრა. შემდგომი დაზუსტებით ადრემინოსური პერიოდის დასაწყისი დაახლოებით ძვ. წ. 2600 წელს მიაკუთვნეს.

დღეისათვის დადასტურებულად ითვლება, რომ კრეტის საზოგადოების ეკონომიურსა და სოციალურ განვითარებას თან მოჰყვა დაახლოებით ძვ. წ. XXII—XXI საუკუნეებში პირველი სახელმწიფოების წარმოქმნა. აქედან უნდა იწყებოდეს საკუთრივ მათი ძველი ისტორიაც, რომელიც შეგვიძლია სამ პერიოდად დავყოთ:

1. კრეტაზე ცალკეული სამეფოების არსებობა (ძვ. წ. XXII—XVIII ს-ის შუალედი);

2. კრეტის ერთიანი სამეფოს ეპოქა (ძვ. წ. XVIII საუკუნის შუალედი — XV ს.).

3. კრეტა აქეელთა მიერ დაპყრობიდან დორიელთა გადმოსახლებამდე (ძვ. წ. XIV—XII სს.).

არქეოლოგიურმა გათხრებმა მდიდარი მასალა შეგვძინა კრეტის უძველესი ისტორიის გასარკვევად, მისი მოსახლეობის სამეურნეო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-სარწმუნოებრივი ცხოვრების გასათვალისწინებლად, მისი საგარეო ურთიერთობისა და კერძოდ ბერძენ ტომებთან კავშირისა და კულტურული ზეგავლენის დასადგენად ძვ. წ. მესამე ათასეული წლებიდან პირველი ათასეულის ნახევრამდე.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება კრეტაზე დღემდე გრძელდება და განსაკუთრებით საყურადღებოა არქეოლოგიური აღმოჩენები კრეტის უძველესი ქალაქების მალიას, კნოსისა და ფესტის ადგილას. როგორც აღმოჩენებიდან ჩანს, ქვიდან სპილენძზე გარდამავალი პერიოდის დასასრულს კრეტას სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი დონისათვის მიუღწევია: მომხდარა ოჯახების განცალკევება და დაუწყიათ ერთი ოჯახისათვის განკუთვნილი პატარა სახლების აგება. მეორე მხრივ კრეტელებს შემოუღიათ უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის შუალედში ქვის ბეჭდები, რომლებიც თავდაპირველად უბრალო პიქტოგრამებით (სურათებით) იყო შემკული. ამასთან ერთად, აღინიშნება ცალკეულ პირთა ხელში სიმდიდრის თავმოყრა და რიგითი წევრებისაგან გვაროვნული დიდკაცობის წარმოშობის, სოციალური უთანასწორობის განვითარება და კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნა. როგორც ჩანს კრეტას ტომებს შორის უკვე ძვ. წ. 2200 წლისათვის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თავისი ძლიერებით კნოსის, მალიისა და ფესტის რაიონებში ბინადარი ტომები და მათი წინამძღოლები (ბასილევსები), მაგრამ სოციალური განშრევების მიუხედავად კრეტელების წარმოდგენაში დიდხანს შემორჩენილა სისხლით ნათესაობის წარმოდგენა და ერთიანი გვაროვნული სამარხების მოწყობის ჩვეულება. არქეოლოგებმა ზოგიერთ მრგვალ სამარხში რამდენიმე ასეული მიცვალებული აღმოაჩინეს. კრეტაზე აღმოჩენილია ძეგლები, რომლებიც კრეტელების სოფლის მეურნეობაზე მიგვითითებენ. მათ მიხედვით მიწათმოქმედებასთან ერთად განსაკუთრებული ადგილი მესაქონლეობას მიეკუთვნებოდა, ამას გვიდასტურებს იმ დროის ხელოვნების საგნებზე მოთავსებული ძროხების, ცხენებისა და თხების გამოსახულებები. ძვ. წ. XXII—XXI სს. ერთ ვაზაზე მოცემულია ისეთი სურათი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი პირი მრავალრიცხოვან ჯოგს ფლობდა.

უფრო ხათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ დროის კრეტის ხელოსნობაზე და ხელოვნების განვითარებაზე აღმოჩენილი ძეგლები. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებასა და გაოცებას იწვევს გამოქვაბულ კამარეში მიგნებული ჭურჭელი, რომელზეც ტალღისებრი ხაზებით გამოსახულია მთები, სადაც გაფურჩქნულა ზაფრანის თეთრი ყვავილები წითელი ბუტკოებით და მტვრიანებით. ამ სტილს მთელ კერამიკას კამარესის სტილის ჭურჭელს უწოდებენ.

კრეტის ხეროთმოძღვართა ხელოვნების განვითარებაზე მიგვითითებს კნოსში, მალიასა და ფესტში გათხრილი სასახლეების ნაშთები.

არქეოლოგიური წყაროების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კნოსის, მალიასა და ფესტის ბასილევსების ხელისუფლება თანდათან სამეფო ხელისუფლებაში გადაიზარდა. ამ მხრივ საყურადღებოა მალიის სასახლის შიგნით აღმოჩენილი ძვირფასი იარაღი, რომელიც, ალბათ, მეფეს ეკუთვნოდა. რას წარმოადგენს ეს იარაღი? ბრინჯაოს გრძელ მახვილს, რომლის სპილოს ძვლის ტარი ოქროთია შემოკედილი და ბროლის თავით მთავრდება, სატევარს და გაპრიალებული ქვის ცულს, სპირალური ორნამენტით. ცულის ერთი მხარე ისეა დამუშავებული, რომ ჯიქის თავსა და თათებს მოგვაგონებს. საფიქრელია, რომ ასეთი იარაღი სამეფო ხელისუფლების ნიშანს წარმოადგენდა. ამ მხრივ საყურადღებოა, აგრეთვე, კნოსის სასახლეში აღმოჩენილი დიდი საწყობები, სადაც ღვინო, ზეთით და ხორბლით ავსებული დიდი პითოსები იდგა, ხოლო ცალკეულ ოთახებში სასახლისათვის შემზადებული ძვირფასი ჭურჭლეულობა ინახებოდა. ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ არსებობდა ქონების აღრიცხვის თავისებური სისტემა, ტომრებს თუ ჭურჭელს ხურავდნენ და ბეჭდავდნენ.

არქეოლოგიური მასალა გვიმტკიცებს კრეტის ადრინდელ კავშირს ტროას სამეფოსთან, მცირე აზიის ხეთელებთან, კვიპროსთან, სირიასთან და განსაკუთრებით ეგვიპტესთან. კრეტაზე აღმოჩენილ იქნა ეგვიპტური საგნები. კნოსში, სხვათა შორის, არქეოლოგებმა ნახეს ეგვიპტელ უსერის ქანდაკების ქვედა ნაწილი, რომელიც ეგვიპტის XII დინასტიას მიეკუთვნება. ფიქრობენ, რომ უსერი ელჩის სახით მოვიდა კნოსში და ეს ძვენი სასახლის საკურთხეველს მიართვა. ზოგიერთი ეგვიპტური მოტივის ზეგავლენა კრეტის ხელოვნებაშიც ჩანს, მაგ., ლოტოსის გამოსახულება სამეთუნეო ნახელავებზე და პირიქით კრეტის კერამიკის მიმბაძველობა ეგვიპტეში.

ცნობილია, რომ ძვ. წ. XVIII საუკუნეში კრეტამ დიდი მიწისძვრა და სასახლეების ნგრევა განიცადა. მაგრამ სასახლეები მალე აღადგინეს და ზოგიერთ ადგილას ახალი სასახლეები ააგეს. ძვ. წ.

1750—1450 წლებში მყარდება კრეტის ერთიანი სამეფოს ეპოქა. მოპოვებული არქეოლოგიური მასალა უდავოდ გვიმოწმებს ამ ეპოქაში კრეტელების სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის გართულებას, მეურნეობის, ხელოსნობის, ხელოვნების, საგარეო ურთიერთობის და საერთო კულტურის მაღალ განვითარებას. მაგრამ, როგორც ჩანს, ძვ. წ. XV საუკუნის კრეტის ქალაქებს, მათ შორის კნოსს, მტრების შემოსევა და გადაწვა განუცდია და ამის შედეგად კრეტა აქეველთა ელადის ნაწილი გამხდარა.

დავუბრუნდეთ მიკენის კულტურის ცენტრების არქეოლოგიური მასალის ზოგად მიმოხილვას. ამ კულტურის წარმოქმნა და განვითარება ძველი საბერძნეთის ისტორიაში აქეველების ეპოქას გულისხმობს. 1950 წელს პელოპონესში არგოლიდის უბის მარცხენა ნაპირას მდებარე ქალაქ ლერნეში ჩატარებულ იქნა გათხრები, აღმოჩნდა უძველესი სასახლეების ნაგებობათა ნაშთები. როგორც ჩანს, ძველი სასახლის ადგილას დაახლოებით. ძვ. წ. XXII საუკუნეში ლერნეს მეფეს აუგია ახალი ორსართულიანი, კრამიტით დახურული სასახლე, რომელიც საბერძნეთის ტერიტორიაზე საზოგადოების სოციალური განშრევებისა და კლასებად დაყოფის გაღრმავების პროცესში წარმოქმნილი პატარა სახელმწიფოების ტიპიურ ცენტრს წარმოადგენდა. სასახლის გარშემო ბინადრობდა მნიშვნელოვანი მოსახლეობა. დაახლოებით XXI საუკუნეში ლერნეში სასახლე დაგრეულა და ცეცხლს შთაუნთქავს.

ძვ. წ. II ათას წლებში პელოპონესში წარმოქმნილა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცენტრი, მარ შორის არგოსი, მიკენი, ტირინთი და სხვ. როგორც არქეოლოგიური მონაცემები მიგვითითებენ, აქეველთა სახელოსნოებში იმ დროს მზადდებოდა ისეთი საგნები, რომლებიც საბერძნეთის გარეშეც ვრცელდებოდა. იმ დროს აქეველებს ურთიერთობა ჰქონდათ კრეტასთან და მისი შემწეობით ეგვიპტესთან, აგრეთვე კიკლადების კუნძულებთან, შაკედონიასთან და ილირიასთან. არქეოლოგების მიერ მიკენში აღმოჩენილი ადრინდელი მაღაროვანი სამეფო სამარხები, რომელთაც ძვ. წ. 1650—1500 წლებით ათარიღებენ, თავიანთი აღნაგობით და ინვენტარით მმართველი წრეების მიერ მოსახლეობის, უმთავრესად გლეხების ექსპლოატაციაზე მიგვითითებენ. თავიანთი ხელისუფლების ასამაღლებლად აქეველთა მეფეები თავისი გვარის მიცვალებულ წევრებს საუცხოო აკლდამებს უგებდნენ. აშენებდნენ მათ ქვისაგან მრგვალი თაღოვანი ნაგებობის სახით (ეგრეთწოდებული ტოლოსები). არქეოლოგიის მეშვეობით დღეს უკვე ცნობილია მიკენის მეფეების ძვ. წ. XIV საუკუნის ტოლოსები, რომლებიც შაღარფვანი სამარხებიდან განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევიან. როგორც ჩანს, გუმბათოვა-

ნი სამარხების დროს მიკენის არისტოკრატია კლდის ფოსოებში აწყობდა აკლდამებს, რომლებიც სწორკუთხედად აგებულ სენაკებს წარმოადგენდა; თითოეულ მათგანს ცალკეული შესავალი ჰქონდა, რომელსაც, როცა სამარხი უკვე საჭირო აღარ იყო, მიწით ამოავსებდნენ და ქვის ლოდით დახურავდნენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვითომც ძმისწულ ეგისთეს მიერ მოკლული მიკენის მეფის „ატრევსის საგანძურად" წოდებული აკლდამა. ვამბობთ ვითომც იმიტომ, რომ აკლდამა აგებულ იქნა ატრევსის ცხოვრებამდე 90 წლით ადრე. აკლდამის კედლები ბრინჯაოს ფარდულებით, ხოლო შესასვლელი კარები დეკორაციით ყოფილა შემკობილი. 1939 წელს მიკენში წარმოებული გათხრები ამ სამარხსაც შეეხო და მისი აგების თარიღად დაახლოებით ძვ. წ. 1350 წელი იქნა მიჩნეული. უფრო მერმინდელი დროის უნდა იყოს მიკენის „ლომებიანი ჭიშკარის" მახლობლად აღმოჩენილი სამარხი, რომელიც „კლიტემნესტრას საფლავის" სახელითაა ცნობილი.

არქეოლოგების მუშაობაში დიდი ადგილი ეკავა მიკენის, ტირინთისა და პილოსის სასახლეების ყოველმხრივ შესწავლას. მიკენის სასახლე აგებული იყო ფრიალო გორაკის მწვერვალზე და გარს „ციკლოპების" მიერ აგებული აკროპოლისის კედლები ჰქონდა შემოვლებული. მიკენის აკროპოლისის შიგნით შედიოდნენ განთქმული ლომების ჭიშკრით, რომელიც აგვიწერა პავსანიასმა (II, 16, 5). მიკენის სასახლის ოთახების კედლები ფრესკებით ყოფილა შემკული. სასახლეს ჰქონია ღრმა მიწისქვეშა კიბე, რომლითაც ჩადიოდნენ აუზთან, მიწისქვეშა წყაროს წყლით რომ ივსებოდა. ტირინთის სასახლის ბირთვს წარმოადგენდა ძვ. წ. XIV საუკუნეში აგებული შენობა, რომელზეც შემდგომში მნიშვნელოვანი დანაშენები მოუთავსებიათ. სასახლის შესავალს სამი ჭიშკარი იცავდა. სასახლე შედგებოდა ცენტრალური სწორკუთხოვანი დარბაზისაგან, — მეგარონისაგან, სადაც არსებობდა კერა. მისი კედლები შემკულია საუცხოო ფრესკებით. პილოსის სამეფო მდებარეობდა სამხრეთ საბერძნეთში მესენიაში. პილოსის სასახლე ხანძარს მოუსპია დაახლოებით ძვ. წ. 1200 წელს. თავისი გეგმით და საამშენებლო ტექნიკით ის მიკენისა და ტირინთის სასახლეების მსგავსია.

არქეოლოგიური მონაცემები იმაშიც გვარწმუნებს, რომ ძვ. წ. XIII საუკუნის პირველ ნახევარში ტირინთის და მიკენის სასახლეები ხანძარს გაუნადგურებია და მთლიანად მხოლოდ მიკენის სასახლე ყოფილა აღდგენილი.

გათხრები მიკენში 1959—1960 წლებშიც გრძელდებოდა. სხვათა შორის ერთ კამერულ სამარხში მიკენის ნეკროპოლ დენდრეში აღმოაჩინეს შეიარაღების საგნები: ანჯარი, კაპარჭის ნაშთები და ერთი

ბრინჯაოს საგანი, რომელსაც აბჯრის ისეთ ნაწილად თვლიან, რომელიც კისერს იცავდა. ახალი აღმოჩენა დენდრეში საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ იმ დროის შეიარაღებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი და დავრწმუნდეთ, რომ ჰომეროსის პოემების ის ადგილი, სადაც შეიარაღებაზეა საუბარი, არც ანაქრონიზმია და არც დამატება.

ამავე დროს მიკენში, სასახლის მახლობლად, აღმოაჩინეს რამდენიმე ხელოსნის სახლი დაახლოებით ძვ. წ. 1340—1210 წლების პერიოდიდან. ორ მათგანში — „ფარების სახლში" და „სფინქსების სახლში", რომლებიც სპილოს ძვლის ამომჭრელებს ეკუთვნოდათ, ნახეს დიდი რაოდენობით სპილოს ძვლისაგან ფრიად ფაქიზად შესრულებული ნახელავები. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ სახლების მფლობელები შეძლებული მოქალაქეები იყვნენ.

მიკენთან ერთად ძველი საბერძნეთის ისტორიაში იხსენიება მესენიის პილოსი. არქეოლოგებმა 1939 წელს ნავარინის ყურის რაიონში ეპახო ენგლიანოსის ბორცვზე გათხარეს დიდი სასახლე ფრესკული მხატვრობით, ისეთივე სიდიდისა, როგორიც მიკენის სასახლეა. იგი ეგრეთწოდებულ „ნესტორის სასახლედ" მიიჩნიეს. აქ ყველგან ჩანდა ცეცხლის კვალი და ადვილი მისახვედრი იყო, რომ ეს სასახლე ხანძარმა მოსპო. 1952—1953 წლებში სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გათხრილ იქნა მეგარონი, რომელიც დიდ სატახტო დარბაზს, ვესტიბიულსა და ორბორბლიან პორტიკს შეიცავდა. აქ აღმოჩენილმა ძეგლებმა, ერთი მხრივ დაადასტურეს, რომ ჰომეროსის გმირის ნესტორის რეზიდენცია პილოსი ნამდვილად მესენიაში მდებარეობდა და მეორე მხრივ, მათ ძვირფასი მასალა შეგვძინეს პილოსის ძველი მოსახლეობის სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ყოფაცხოვრების შესახებ.

ასევე მდიდარია არქეოლოგიური აღმოჩენები საბერძნეთის ძველი ისტორიის ჰომეროსისა და კლასიკური პერიოდებიდან. უნდა ითქვას, რომ ძველი საბერძნეთის მთელ ტერიტორიაზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ფასდაუდებელი მასალა შეგვძინა. მათ დაგვარწმუნეს, რომ ძველი საბერძნეთის ქალაქების უმეტესობა ორ ნაწილად იყოფოდა: აკროპოლისად (გამაგრებული ნაწილი, რომელიც ჩვეულებრივად ბორცვზე მდებარეობდა), სადაც აღმართული იყო ტაძრები და საზოგადოებრივი შენობები, და ქვემო ქალაქად, სადაც არსებობდა საცხოვრებელი სახლები და სახალხო კრებებისა და ბაზრებისათვის გამოყოფილი მთავარი მოედანი—აგორა. ეს აგორები თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ ბერძნული ქალაქების ცხოვრებაში. ამ მოედანზე ბერძნები, ქანდაკებებს უდგამდნენ,

დამსახურებულ მოქალაქეებს და იქვე აღმართავდნენ სტელებს მათ-ზე კანონებისა და დადგენილებათა გამოსაწერად. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ასეთი სტელებისა და ქანდაკებების ბევრი ძეგ-ლი იქნა აღმოჩენილი.

მკვლევართა ყურადღება მიიპყრო ქალაქებისა და სოფლების გათხრის დროს აღმოჩენილმა საკმაოდ მარტივი სახის შრომის ია-რაღებმა. მათ პრიმიტიულობას იმით ხსნიან, რომ ეს სიმარტივე მონური შრომის გამოყენებით იყო შეპირობებულიო. არქეოლოგი-ურ ძეგლებზე დამყარებით ვეცნობით, აგრეთვე ხელოსნობის გან-ვითარების ეტაპებს, მადნის ამოღების, ლითონის გამოდნობის და ჭედვისა და ჩამოსხმის გზით ლითონის ნაწარმთა დამზადების წე-სებს. ასევე ცნობილია მოპოებული ძეგლების მიხედვით ბერძნების განვითარებული კერამიკული წარმოება. ზოგიერთ ძვირფას ჭურ-ჭელსა და თიხის ფირფიტებზე გამოსახულია სხვა სახის ხელოსნო-ბაც (მაგ. ქსოვა, მეტყაველობა და სხვ.) და ბერძენი გლეხის შრომა. აღმოჩნდა ისეთი ვაზის სურათები, რომლებიც მონების მძიმე მდგო-მარეობას გვიმოწმებენ. ბერძნების ვაჭრობის მნიშვნელოვან განვი-თარებაზე მიგვითითებენ, ერთი მხრივ, ჩვენამდე მოღწეული ტყვიის საწონები და ვაზებზე გამოსახული სასწორები და მეორე მხრივ, ძველი სამყაროს მრავალ მხარეში აღმოჩენილი ბერძნების ხელოს-ნური ნაწარმოები და მონეტები.

არქეოლოგიური სხვადასხვაგვარი ძეგლები ხელოვნების, ქანდა-კებისა და ხუროთმოძღვრების დარგში უდავოდ გვარწმუნებენ ან-ტიკური საზოგადოების მაღალ კულტურულ მიღწევებში. ბევრი ნივთიერი ძეგლი იქნა აღმოჩენილი მიცვალებულთა სასაფლაოე-ბის—ნეკროპოლების გათხრისას. გარდა იმისა, რომ მრავლად იქნა ნაპოვნი მიცვალებულთათვის თანჰატანებული ყოფაცხოვრებითი და სარწმუნოებრივი ხასიათის საგნები, ზოგიერთ ადგილას ნახეს ისე-თი საფლავის ძეგლები, რომლებზეც რელიეფურად გამოსახული არიან მიცვალებულები, ამოჭრილია მათი სახელები და ზოგჯერ და-რთული აქვს ლექსური ეპიტაფიები. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ არქეოლოგიური ძეგლები ფრიად საჭირო ცნობებს წარმოად-გენენ საბერძნეთის მონათმფლობელური საზოგადოების ეკონომიუ-რი ისტორიისათვის".

საბერძნეთში არქეოლოგიური გათხრები ფართოდ იქნა ჩატარე-ბული და დღემდე მიმდინარეობს არქეოლოგიური მუშაობა. საბერ-ძნეთის ისტორიისათვის დიდად მნიშვნელოვანია ის შედეგები, რო-მლებიც მთავარი ბერძნული ცენტრების არქეოლოგიურ გამოკვლე-ვას მოჰყვა (გათხრები თერაზე, სპარტაში, ეფესოში, მილეტში, ოლი-მპიაში, ათენში, დელფოში, დელოსზე და ზოგიერთ სხვა ადგილას).

ამის საილუსტრაციოდ, თუ რა პასუხსაგებ პირობებში უხდებათ არ-ქეოლოგებს მუშაობა, მოვიგონოთ ბერძნული კულტურის ცენტრის— ათენის ბედი. როგორც ვიცით, ძვ. წ. 480 წელს სპარსელების შემო-სევამ ათენი ნანგრევებად აქცია. მაგრამ პერიკლეს ეპოქაში ქალაქი არამც თუ აღადგინეს, არამედ ხელოვნების საგანძურად გადააქცი-ეს. მაშინ საგეს ათენის აკროპოლისის შესანიშნავი ხუროთმოძღვრუ-ლი ანსამბლი[9]. მაგრამ ძვ. წ. 86 წელს სულამ მითრიდატესთან ბრძო-ლის პროცესში ათენს ალყა შემოარტყა. ჯარი ქალაქში შეიჭრა და ათენში დიდი და უმოწყალო ყლეტა გამართა. ათენის „ტირანი“ არისტიონი იძულებული გახდა ცეცხლი წაეკიდებინა მუსიკალური შეჯიბრების შენობის — ოდეონისათვის. სულამ აკროპოლისიც აიღო და გაძარცვა. მან არ დაზოგა ძველი კულტურის უდიდესი ცენტრი ათენი და მეომრებს სრული ნება მისცა მისი დარბევისა და გაძარც-ვის — ჯერ კიდევ ამაზე წინ თავის საალყო მანქანების მოძრაო-ბისათვის ის არ მოერიდა ისეთი ადგილების გაჩეხვას, როგორიც იყო აკადემიისა და ლიკეიონის ჭალები.

საშუალო საუკუნეებში, ოსმალეთის ბატონობის დროს, ათენის აკროპოლისი ციხედ გაიხადეს, ხოლო ათინა-ქალწულის ტაძარი პა-რთენონი—მიზგითად, 1687 წელს კი ენეთის საწყობად გადაქცეულ-მა ანტიკურმა ტაძარმა ისეთი საშინელი აფეთქება განიცადა, რომ სახურავი ჩამოინგრა, დიდად დაზიანდა შიდა ნაწილი და მთელი შენობა. მიუხედავად ამისა, ბერძნული ხუროთმოძღვრების უდიდე-სი ქმნილებანი პართენონი და ერეხთეიონი მაინც თავის ადგილას იდგნენ და ამაყად მოუთხრობდნენ მნახველთ ათენის ხელოვნების ბრწყინვალე წარსულზე. ათენის ასეთი „თავგადასავალი“ განაპირო-ბებდა არქეოლოგების ფრთხილ და დაკვირვებულ ძიებას, როცა მის ტერიტორიაზე XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო ფართო არქეოლოგიური გათხრები, რომლებიც დროგამოშვებით და სპო-რადულად კვლავ გრძელდება.

1876 წელს აქ გათხრილ იქნა ასკლეპიოსის საკურთხეველი, რო-მელიც აკროპოლისის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობდა. უფრო ნაყოფიერი იყო აკროპოლისის გათხრები 1882—1891 წლებში. ევ-რეთწოდებულ „სპარსულ ნაგავში“ აღმოაჩინეს არქაული ხელოვნე-ბის ძვირფასი ნაწარმოებები. საყურადღებოა, რომ „სპარსული ნა-გავის“ ყრილის ქვეშ უძველესი დროის ნაგებობათა საძირკვლები აღმოჩნდა: მიკენის პერიოდის სასახლის ნაშთები, ეგრეთწოდებული „პელაზგური კედლები“, რომლებიც მეორე ათასეულში გარს ერტ-ყა აკროპოლისს და ა. შ.

განსაკუთრებით მდიდარი იყო თავისი შედეგებით გათხრები ათენის აგორაზე და კერამიკოსში („სამეთუნეო კვარტალში“), ეს

უკანასკნელი ძველი ქალაქის ჩრდილო-დასავლეთი რაიონი იყო, აქვე მდებარეობდა დიპილონის ჭიშკარი, საიდანაც მიდიოდა საღვთო გზა ელევსინის საკურთხევლისაკენ. ამ საკურთხეველს კი კლასიკური ეპოქის ათენის სარწმუნოებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მას ქალაქის კედელი ორ ნაწილად ჰყოფდა; მისი ქალაქგარეთა ნაწილი ძვ. წ. 491 წლიდან ომში მოკლულ ათენელთა დასამარხი ადგილი იყო. ამ ნეკროპოლში გათხრილ მრავალრიცხოვანი ჭურჭელი საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ადრინდელი დროის ხელოვნებისა და კერძოდ კერამიკული ხელოსნობის განვითარების საფეხურები. ამ ნეკროპოლის ტერიტორიაზე პერიკლეს დროს დიდი შენობა აუგიათ, საიდანაც ჩვეულებრივად მიემართებოდნენ პროცესიები ელევსინის საკურთხეველში.

აგორა ათენის ცენტრალურ მოედანს წარმოადგენდა. მის სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა პრიტანეონი და სხვა საზოგადოებრივი შენობები, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილში — სავაჭრო კვარტალები. აქ აღმოჩენილ შენობათაგან დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთს: ბულევტერიონს, სადაც იკრიბებოდა ათენის ხუთასის საბჭო, „ღმერთების დედის“ ტაძარს და პრიტანეიონს, სადაც ჩაუქრობელი ცეცხლი ენთო და სახელმწიფო ხარჯზე კვებავდნენ განსაკუთრებით დამსახურებულ მოქალაქეებს და უცხოელ სტუმრებს. ბულევტერიონის მახლობლად მდებარეობდა მრგვალი შენობა—თოლოსი, „რომელიც ზომა-წონის სახელმწიფო პალატას წარმოადგენდა. ერთდროულად მასზე ათენელი პრიტანები მსხვერპლს სწირავდნენ ღმერთებს“ [9]. ათენის აგორაზე აღმოჩენილმა ძეგლებმა დიდად გააფართოეს ჩვენი წარმოდგენა მონათმფლობელური ათენის ისტორიაზე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნივთიერი ძეგლების გარდა, აქ 6 ათასზე მეტი წარწერა აღმოჩნდა.

არქეოლოგიური მუშაობის შედეგად რესტავრირებულ იქნა ზოგიერთი ღირსშესანიშნავი ძეგლი, მაგ., ათენში ძვ. წ. 421—405 წლებში აგებული ტაძარი ერეხთეიონი XIX საუკუნის დასაწყისამდე იდგა თავის ადგილას და ომიანობის დროს დაზიანდა.

1959 წელს ათენის ნავსადგურ პირეუსში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს 8 ანტიკური ქანდაკება, 5 ბრინჯაოსი და 3 მარმარილოსი. ორი მათგანი სპეციალისტების აზრით ძველი ბერძნული პლასტიკის შედევრს წარმოადგენს [10].

საგვარეულო სამაროვანის კვალი გარკვეულად ჩანს 1951 წელს ათენში არესის ტაძრის მახლობლად აღმოჩენილ სამარხში; მასში გაარჩიეს ცამეტი ნეშტი, ალბათ, ისეთი ადამიანებისა, რომლებიც ერთ გვარს ეკუთვნოდნენ და სამი საუკუნის განმავლობაში სარგებლობდნენ ამ განსასვენებლით.

1960 წელს გრძელდებოდა ამერიკის არქეოლოგიური სკოლის გათხრები ათენის აგორის სამხრეთ ნაწილში. მოპოვებულმა აღმოჩენებმა მკვლევარებს საშუალება მისცა ამ უბნის ისტორიის გათვალისწინებისა ძვ. წ. VI საუკუნის დასაბამიდან. აქ შენობათა უმეტესი ნაწილი გაუნადგურებიათ სულას მეომრებს ძვ. წ. 86 წელს, მათ შორის ჰელიეაც. ახალმა მონაცემებმა ათენის გაძარცვის მასშტაბის შესახებ სავსებით დაადასტურა მრავალწლოვანი დაკვირვებები დიპილონის რაიონში. როგორც გამოირკვა, ჩვ. წ. I საუკუნის შუახანამდე აგორას სამხრეთი ნაწილი ნანგრევებს წარმოადგენდა, ხოლო შემდეგ აქ წარმოქმნილა კერამიკული, ლითონისა და მარმარილოს დამუშავების სახელოსნოები. მდგომარეობა შეიცვალა იმპერატორ ადრიანეს დროს (ჩვ. წ. 117—138), როცა სახელოსნოების საქმიანობა შეწყდა და ზოგიერთი ძველი შენობები აღადგინეს, შეიძლება ამას გულისხმობდა პავსანიასი, როცა ათენის შესახებ წერდა: „ათენი, ასე ძლიერად განადგურებული ამ ომით, კვლავ აუყვავდა იმპერატორ ადრიანეს დროს“ (I—20, 7). 1960 წლის არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა დაამტკიცა ისიც, რომ ჰელიეა და მასთან დაკავშირებული შენობები სწორად იყო დადგენილი და ამით თითქოს დაადასტურეს პავსანიასის თქმა, რომ ჰელიეა იყო „ყველაზე დიდი სამსჯავრო, სადაც ყველაზე მეტი ხალხი იკრიბებოდა“ [11].

არქეოლოგიური გამოკვლევები ანტიკური ქალაქებისა და დასახლებათა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში უკვე 125 წელია მიმდინარეობს: მოპოვებულია მდიდარი მასალა აქაური ძველი ბერძნული და მეზობელი მოსახლეობის ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ისტორიისათვის. შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ბერძენთა კოლონიზაციის შესწავლას განსაკუთრებით დიდი ამაგი დადეს საბჭოთა პერიოდის გამოჩენილმა მკვლევარებმა. აღმოჩენილი მდიდარი არქეოლოგიური მასალა საფუძვლად დაედო მათ ღირსშესანიშნავ ნარკვევებს, მაგრამ მუშაობა ამ მხრივ არ დამთავრებულა და გრძელდება [11a].

ამავე დროს როგორც საბერძნეთის, ისე საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით უდავო მნიშვნელობა აქვს კოლხეთის სანაპიროს ანტიკური ახალშენებისა და დასახლებათა ყოველმხრივ მეცნიერულ შესწავლას. ამ მხრივ საკმაოდ დიდი მუშაობა ჩატარდა, სხვათა შორის, გამოქვეყნებულია ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი ს ორტომიანი ნაშრომი **„Материалы к археологии Колхиды“** და ჩვენი არქეოლოგების საგულისხმო წერილობითი დაკვირვებები და დასკვნები მოგვეპოვება, მაგრამ არ შეგვიძლია, იმის თქმა, რომ საკითხი მთლიანადაა შესწაკ-

ლილი და რომ ჩვენს ვანკარგულებაშია ისეთივე ფართოდ შემაჯამებელი თხზულებები. როგორიცაა ნარკვევები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის შესახებ. ამიტომ უდავოდ მისასალმებელია ამ საკითხზე გამოქვეყნებული სპეციალური მონოგრაფიული გამოკვლევები[11ბ].

მ ო ნ ე ტ ე ბ ი[12]

ბევრიერ ძეგლთა განსაკუთრებულ კატეგორიას წარმოადგენენ მონეტები, რომლებიც მდიდარ მასალას შეიცავენ ანტიკური სამყაროს ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობათა გასათვალისწინებლად. მონეტებს შეისწავლის განსაკუთრებული მეცნიერული დისციპლინა — ნ უ მ ი ზ მ ა ტ ი კ ა.

ჯერ კიდევ მონეტის მოჭრის შემოღებამდე ხმელთაშუაზღვისპირეთისა და წინა აზიის ზოგიერთ მხარეში იწყეს ძვირფასი ლითონების ზოდების გამოყენება ფულის სახით. ზოგ მათგანზე განსაკუთრებულ ნიშნებს ათავსებდნენ — ამა თუ იმ ქალაქის ტვიფარს, როგორც გარანტიას, რომ ისინი კეთილშობილი ლითონების განსაზღვრულ ოდენობას შეიცავენ, მაგრამ ფულის მოჭრის გამოგონებამდე ეს ქვეყნები არ მისულან. ფულის მოჭრა მაშინ გახდა აუცილებელი, როცა ანტიკურმა საზოგადოებამ ისეთ ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ განვითარებას მიაღწია, რომ უკვე აღარ შეიძლებოდა ასეთი საშუალების გარეშე სავაჭრო ურთიერთობათა წარმოება. საყურადღებოა, რომ ფულის მოჭრას თითქმის ერთდროულად იწყებენ მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე და კორინთის ყელზე[13]. მოჭრილი მონეტა პირველად გამოჩნდა ძვ. წ. VII საუკუნის შუახანებში ლიდიაში (მცირე აზია) და კუნძულ ეგინაზე (შუა საბერძნეთი) და ამ ორი ცენტრიდან მონეტის მოჭრა სწრაფად გავრცელდა ხმელთაშუაზღვისპირეთში, იონიაში და მთელ საბერძნეთში. ლიდიაში და მცირე აზიის იონელთა ქალაქებში მონეტებს სჭრიდნენ ელექტრისაგან — ოქროსა და ვერცხლის შენადნობისაგან. საბერძნეთში ისე გავრცელდა მონეტის მოჭრა, რომ V—IV საუკუნეებში ყოველი დამოუკიდებელი პოლისი საკუთარ მონეტას ჭრიდა. ბერძნებისაგან კი ის გადაუღიათ მეზობელ ხალხებს. მონეტების უფრო ძველი სისტემა ძვ. წ. VII—VI საუკუნეებში წარმოქმნილა მილეტში და მას ფართო გავრცელება მოუპოვებია იონიის ქალაქებსა და კუნძულებზე. საკუთრივ საბერძნეთში გაბატონებული ყოფილა ეგინის სისტემა, რომელსაც განსაკუთრებული გავლენა ჰქონია პელოპონესისა და შუა საბერძნეთის ქალაქთა უმეტეს ნაწილში. სოლონის დროს კი ათენში ეგინის სისტემა ევბეა-ატიკის სისტემით შეუცვლიათ, რომელიც ფარ-

თოდ გავრცელებულა ჩრდილოეთ საბერძნეთის ქალაქებში, იტალიაში, სიცილიაზე და ზოგიერთ სხვა ადგილას.

ევბეა-ატიკის სისტემასთან ახლოს იდგა კორინთოს სისტემა და აღსანიშნავია, რომ მონეტები — „კორინთული სტატერები" * და დრახმები **, ათენური ტეტრადრახმონები *** და ეგინური სტატერები ყველაზე მეტად გავრცელებული სახე ყოფილა ზოგადბერძნული მონეტისა.

ამ სისტემების შესწავლას შეუძლია ბევრი რამ მოგვცეს როგორც ანტიკური მეტროლოგიის განვითარების, ისე ვაჭრობისა და ეკონომიურ ურთიერთობათა ისტორიის დარგში; მაგალითად, საბერძნეთის რომელიმე ქალაქში ერთი სისტემის მეორეთი შეცვლა თავისთავად გულისხმობს ეკონომიური და პოლიტიკური სიტუაციის გარკვეულ შეცვლასაც.

გვხვდება თუ არა ბერძნულ მონეტებზე პორტრეტები? იმ მმართველთა პორტრეტული გამოსახულებანი, რომელთა სახელითაა გამოშვებული მონეტები, გვხვდება მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის დროიდან. კლასიკურ პერიოდში კი ბერძენთა მონეტების დიდ უმრავლესობაზე გამოსახულია ქალაქების მთავარი მფარველი ღვთაებების ფიგურები და თავები, ზოგიერთზე კი მეორეხარისხოვანი ღვთაებები, მდინარეთა და წყაროების ნიმფები, მითური გმირები და სხვ. ამას გარდა მათზე ხშირად გამოსახავდნენ სხვადასხვა ცხოველებს, ფრინველებს და უსულო საგნებს, უმეტეს ნაწილად ღვთაებათა ატრიბუტებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საკავშირო მონეტები, რომელთაც ორი თუ რამდენიმე მოკავშირე ერთად უშვებდა. ზოგიერთ შემთხვევაში შეთანხმება მონეტების საერთო გამოშვების შესახებ შეპირობებული იყო ერთობლივი ვაჭრობის ინტერესებით. ჩვეულებრივად ქალაქ-მოკავშირეების მიერ გამოშვებულ მონეტების წინამო გვერდზე მოცემულია ყველა მათგანისათვის საერთო გამოსახულება, მაგ., ბეოტიის კავშირისათვის — ფარი, რომლის მიხედვითაც გამოიცნობოდა საკავშირო მოჭრა, ხოლო უკანა გვერდზე — ქალაქის გერბი თუ სახელი, რომელშიც მოხდა მონეტის გამოშვება.

იშვიათად გვხვდება ეგრეთწოდებული კომმორატივული მონეტები, ე. ი. ისეთი მონეტები, რომლებსაც სპეციალური მიზნით ჭრიდნენ რომელიმე ისტორიული ამბის უკვდავსაყოფად: ასე მაგალითად, ათენში მარათონთან სპარსელებზე ბრწყინვალე გამარჯვების

* ოქროს სტატერი ჩვეულებრივად=ორ დრახმას.

** დრახმა — წერილი მონეტა=24,5 კან. (ოქროთი).

*** ტეტრადრახმონი=ოთხდრახმიან მონეტას.

აღსანიშნავად სპეციალური მონეტა — ვერცხლის დეკადრახმები (ათდრახმიანები) მოუჭრიათ, ხოლო სირაკუზში გელონის I-ის კარ-თაგელებზე გამარჯვების შემდეგ ისეთი მონეტები გამოუშვიათ, რომელთაც დემარატეებს უწოდებენ იმის მიხედვით, რომ ისინი მოჭრა-დედოფალმა დემარეტამ.

დიდი მნიშვნელობა აქვთ მონეტებს ძველი ისტორიის ქრონოლოგიის დაზუსტების საქმეში. მეორე მხრივ, მონეტები სახვითი ხელოვნების თავისებურ ძეგლებს წარმოადგენენ. უნდა გვახსოვდეს, რომ ბერძნული ხუროთმოძღვრებისა და ქანდაკების ზოგიერთი ქმნილება ჩვენთვის ცნობილი გახდა მონეტებზე მოთავსებულ გამოსახულებათა წყალობით.

ეპიგრაფიკული ძეგლები[14]

ნივთიერ და საკუთრივ წერილობით ძეგლებს შორის შუა ადგილი უკავიათ წარწერებს, რომელთაც იკვლევს განსაკუთრებული დისციპ-ლინა — ე პ ი გ რ ა ფ ი კ ა (ბერძნული სიტყვისაგან epigraphé), რაც ზედწერას ნიშნავს.

ცნობილია, რომ კრეტაზე აღმოჩნდა დამწერლობის ძეგლებიც. თავდაპირველად დამწერლობა სურათოვანი, პიქტოგრაფიული ყოფილა. მისი დამწერლობის ნიშნები გადმოგვცემენ ხეების, ორმაგი ცულისა და ზოგიერთი საგნის გამოსახულებას და ადამიანისა და ცხოველების ფიგურებს. პიქტოგრაფიულ დამწერლობას თანდათან იდეოგრაფიული დამწერლობის სახე მიუღია, რომელიც გამოსახავდა უკვე არა საგნებს არამედ ცნებებს. აქედან ძვ. წ. XVIII—XVII საუკუნეებში წარმოქმნილა მარცვლოვანი დამწერლობა—„A ხაზოვანი დამწერლობა“, რომელშიც დაცულია პიქტოგრაფიული დამწერლობის ნიშნების ერთი მესამედი. ამჟამად უკვე მიმდინარეობს ამ დამწერლობის ამოკითხვის ცდები.

ძვ. წ. XV საუკუნეში კრეტაზე და კნოსში გავრცელებულა უფრო განვითარებული ხაზოვანი დამწერლობა „B“, რომელშიც „A“ ხაზოვანი დამწერლობის ნიშნების ნახევარია შემონახული. კრეტელების მთავარ საწერ მასალას გამოუწვავი თიხა წარმოადგენდა. ჩვენი საუკუნის დასაწყისში კრეტაზე აღმოაჩინეს 3000 თიხის ფიქალი და არტურ ევანსმა 1909 და 1935 წლებში გამოაქვეყნა „B“ ხაზოვანი დამწერლობის რამდენიმე წარწერა, მაგრამ მაშინ თითქმის არავის სჯეროდა, რომ ეს წარწერები შეიძლებოდა ბერძნულ ენაზე ყოფილიყო დაწერილი. სხვაგვარი ვითარება შეიქმნა, როცა 1939 წელს არქეოლოგებმა ანტიკური პილოსის ადგილას მესენიაში აღ-

მოაჩინეს მთელი არქივი. როგორც ჩანს, პილოსის სასახლე ცეცხლის მსხვერპლი გამხდარა და თიხის ფიქალები წარწერებით გამომწვარ მაგარ აგურებად გარდაქმნილან და ჩვენ დრომდე მოაღწიეს. 1952 წელს იქვე დამატებით აღმოაჩინეს ასეთივე 300 თიხის ფიქალი. ხოლო 1953—1954 წლებში მიკენში — კიდევ რამდენიმე ათეული. მკვლევარების — ბ. ჰროზნის, ვ. გეორგიევის, ა. კობერისა და განსაკუთრებით მ. ვენტრისისა და მისი თანამშრომლის დ. ჩადვიკის მეცნიერული ცდების შედეგად „B“ ხაზოვანი დამწერლობა ძირითადად ამოიკითხეს. აღმოჩნდა, რომ ფიქალების წარწერები ჰომეროსის დიალექტის ფრიად მახლობელ ბერძნულ ენაზეა დაწერილი. მათ დამარწმუნებლად გვიჩვენეს, რომ ამ დამწერლობით სარგებლობდა მიკენისა და პილოსის მოსახლეობა. კნოსის ფიქალები ძვ. წ. XV საუკუნით თარიღდება, ხოლო პილოსის XIII საუკუნით. მართალია, პილოსის ფიქალების წარწერები ძირითადად სამეურნეო ანგარიშგების დოკუმენტებს შეიცავს და შედარებით მცირეა რიტუალური ტექსტები, მაგრამ სხვა არქეოლოგიურ აღმოჩენებთან ერთად „B“ დამწერლობის ამოკითხვას უდავო მნიშვნელობა აქვს მიკენის ეპოქის შესწავლისა და გარკვევის საქმეში. ამიტომ არ შეიძლება „დავამციროთ მიკენის დამწერლობის ამოშიფვრის დარგში მ. ვენტრისისა და დ. ჩადვიკის მიერ მიღწეული შედეგების მნიშვნელობა“[14a]. მეორე მხრივ, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ „ილიადას“ და „ოდისეას“ ავტორები, ემყარებიან რა ზეპირ ტრადიციას, მხატვრულად გვისურათებენ იმ ეპოქას, როცა კრეტა-მიკენური წარწერები წარმოიქმნა[13]. ამიტომ ბუნებრივია, რომ ვენტრისი და ჩადვიკი მათ მიერ ამოშიფრული პილოსის ტექსტების განმარტებისათვის ხშირად მიმართავენ ამ პოემებს. მკვლევართა დიდი ყურადღება მიიპყრო პილოსში აღმოჩენილმა არქივმა. მისი დოკუმენტები გვიმოწმებენ, რომ პილოსის მეფის მეურნეობაში სამეფო ქონების ზუსტი აღრიცხვა წარმოებდა. სპეციალისტებმა დოკუმენტებში ამოიკითხეს რამდენიმე გეოგრაფიული სახელწოდება— პილოსი, კვიპარისია, მილეტი, კნოსი. ფესტი და სხვ., რაც თავისთავად ფრიად საგულისხმო მითითებაა. დოკუმენტებში მოცემულია სამეფოს თანამდებობის პირთა აღმნიშვნელი ტერმინებიც. ფილოლოგებმა ზოგიერთი მათგანი გაარკვიეს: „ვანაქტი“ — მეფე, „ლავაგეტი“ — მხედართმთავარი, „ტელესტი“ — მესამე თანამდებობის პირი. ამოკითხულია აგრეთვე მომუშავეთა განმსაზღვრელი ტერმინები, მაგრამ დიდ კამათს იწვევს ის, თუ რას ნიშნავს ტერმინი „დოერო“, მონას თუ გლეხს. ამ მხრივ, აქეური ბერძნული ენის უდავოდ ზუსტი წაკითხვისათვის მეცნიერული კვლევა-ძიება კვლავ

გაძელდება. აქეური ძველბერძნული კულტურის დაცემისა და დოლიელი ტომების ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და კრეტაზე გადასახლების პროცესში „B“ ხაზოვანი დამწერლობა დავიწყებას მიეცა. კუნძულ კვიპროსის გამოკლებით, სადაც ბერძნულმა მოსახლეობამ შემოინახა კრეტა-მიკენის გრაფიკის ერთგვარი სახე.

ძვ. წ. I ათასწლეულში ბერძნებს ფინიკიელებისაგან უსესხებიათ და ოავიანი ენისათვის მოუმარჯვებიათ ანბანური დამწერლობა. ამ ანბანზე დაწერილ დღემდე აღმოჩენილ წარწერებიდან უძველესია კუნძულ თერას კლდეებზე ამოკვეთილი წარწერები, რომელთაც ძვ. წ. VIII საუკუნეთი ათარიღებენ და რომლებიც მონუმენტალურ, ე. ი. მაგარ მასალაზე, ჩვეულებრივად ქვაზე ამოჭრილ წარწერებს მიეკუთვნებიან. ხშირად ასეთ წარწერებს „ელადის არქივს“ უწოდებენ. ამ არქივს დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი ბერძნული სამყაროს ისტორიის შესწავლისათვის. არქაული პერიოდიდან ასეთი წარწერები მცირედაა შემონახული. მათი უმეტესი ნაწილი კლასიკურსა და ელინისტურ პერიოდებს ეკუთვნის. რა საგნებზე იყო ამოკვეთილი წარწერები? მათ ამოკვეთავდნენ ხოლმე ქვაზე, შენობათა კედლებზე, საკურთხეველთა და ქანდაკებათა კვარცხლბეკებზე, მონეტებსა და ვაზებზე და სხვადასხვა საგნებზე, ზოგჯერ ბრინჯაოსა და მარმარილოს ფიცრებზე — სტელებზე. ვინაიდან ძველი ბერძნები წარწერებს მაგარ მასალაზე წერდნენ, ამიტომ ჩვეულებრივად ცდილობდნენ. რაც შეიძლება მოკლედ გამოეთქვათ აზრი და ამ ნიადაგზე წარმოქმნილა ლაპიდარული, ე. ი. ქვის მოკლე სტილი (ლათინური სიტყვისაგან lapidus — ქვისა).

შინაარსის მიხედვით მონუმენტალური წარწერები შეგვიძლია ორ ნაწილად გავყოთ: ოფიციალურ და კერძო წარწერებად. ოფიციალური ხასიათის წარწერებს ჩვეულებრივ ათავსებდნენ ტაძრებში, მოედნებზე, აკროპოლისში და საჯარო ადგილებში.

როგორ წერდნენ ძველად ბერძნები? ჯერ მარჯვენა ხელიდან მარცხნისაკენ. მერე სტრიქონების წერა იწყეს რიგრიგობით: მარჯვნიდან მარცხნივ, მარცხნიდან მარჯვნივ. წერის ასეთ სახეს ეწოდება ბ ე ს ტ რ ო ფ ე დ ო ნ ი (მსგავსად ხარებისა, რომელთაც ხვნის დროს კვალი გაჰყავთ შენაცვლებით). ძვ. წ. V საუკუნეში გავრცელებული ყოფილა აგრეთვე წერის სახე ს ტ ო ი ხ ე დ ო ნ ი (ქვემო სტრიქონის ასოები ზემოს შესატყვის ასოების ქვეშ ამოიკვეთებოდა და ასოები თითქოს რიგ-რიგად დალაგდებოდა). ცნობილია, რომ წერისა და ასოების სისტემის გარკვევას ის მნიშვნელობა აქვს, რომ გვიადვილებს წარწერების ამოკვეთის დროის დადგენას.

ბერძნული წარწერები საერთოდ მრავალნაირი შინაარსის შემცველია. მათში მოცემულია სახელმწიფო და კერძო ხელშეკრულებები. საბჭოებისა და სახალხო კრებათა დადგენილებები ფოროსზე და თანამდებობის პირებზე, ომში დაღუპულ მეომრების და დღეობებზე გამარჯვებულთა სიები; დეკრეტები ამა თუ იმ პირის საპატიოდ, აგრეთვე მოქალაქეობრივ უფლებათა მინიჭებისა და პროქსენიის შესახებ, გათავისუფლების სიგელები, კონტრაქტები, სავალო ვალდებულებანი, ინვენტარები და ანგარიშები, ეპიტაფიები და საზოგადოებრივი შინაარსის ცნობები. დავასახელოთ ზოგიერთი განსაკუთრებით საყურადღებო წარწერა.

მოვიგონოთ ნუბიაში ამუ-სიმბელეში (594—589 წლებში) რამზეს II-ის უზარმაზარი ქანდაკების ფეხზე ამოკვეთილი წარწერა. იგი ეკუთვნის ეგვიპტის მეფის პსამეტიხ II-ის ბერძენ მოქირავნეებს და მოგვითხრობს ამ მეომრების, მათი სახელების ჩამოთვლით. ლაშქრობაზე მეფესთან ერთად ნილოსის მეორე ჰორომამდე [16]. ეს წარწერა დოკუმენტალურად გვიმტკიცებს ბერძენ მოქირავნეთა ყოფნას ნუბიაში ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში.

ბერძენ-სპარსელთა ომის დროიდან საკმაოდ მრავლადაა შემონახული წარწერები, რომლებიც გვიდასტურებენ ძველი ავტორების ცნობებს. ასე მაგ., მარათონთან გამარჯვების შემდეგ ათენელებს დიდი შესაწირავი მიუტანიათ აპოლონის ტაძარში. რაზეც მოგვითხრობს დელფოში ათენელების საუნჯის კედლის წარწერა. უფრო საყურადღებოა ბრინჯაოს სვეტზე ამოკვეთილი წარწერა, რომელიც სპარტელების მიერ პლატეასთან სპარსელებზე გამარჯვების აღსანიშნავად დელფოს აპოლონისადმია მიძღვნილი; მასში ჩამოთვლილია ის ქალაქები, რომლებიც სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში იღებდნენ მონაწილეობას.

საზოგადოებრივი წყობილებისა და ურთიერთობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ძვ. წ. 460—455 წლებში ჰალიკარნასში მარმარილოს კედელზე ამოჭრილი კანონი, რომელიც ითვალისწინებს უძრავი ქონების გარშემო წარმოქმნილი დავის გარჩევის წესებს. ადრინდელი ბერძნული სამართლის შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს ძველბერძნული ქალაქის გორტინის დიდი წარწერა. იგი ამოკვეთილი იყო ქალაქ გორტინის რომელიღაც სახელმწიფო შენობის კედელზე დაახლოებით ძვ. წ. 450 წელს. წარწერის ტექსტი შეიცავს 17 ათას ასოს და იმ დროს მოქმედი კანონების კრებულს წარმოადგენს. ამ კანონებში თავისი გამოძახილი ჰპოვა გორტინის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა მხარემ[16a]. არქაულსა და კლასიკური პერიოდის პირველ ათეულ წლებში გორტი-

ნის კანონების გარშემო ფართო ლიტერატურაა წარმოქმნილი და კვლევა-ძიება მათ გარშემო დღემდე გრძელდება *.

ყოფაცხოვრებითი დარგიდან აღსანიშნავია V საუკუნის წარწერა კუნძულ კეოსიდან დამარხვის წესების შესახებ. ამ კანონით მიცვალებული არა უმეტეს 200 დრახმის ღირებულების სამ ჰიმატიონში ** უნდა გაეხვიათ. ღვინისა და ზეთის შეწირვის შესრულებისაა *** დაცული უნდა ყოფილიყო ღვინისა და ზეთის ზუსტად განსაზღვრული ოდენობა; ამას გარდა, დამარხვაში მონაწილეთ გაბანვის წესი უნდა შეესრულებინათ.

ათენის დემოკრატიის დიდ სამშენებლო მოღვაწეობას გვიმტკიცებენ სახალხო კრების აღმოჩენილი დადგენილებები, რომლებშიც ჩამოთვლილია ცალკეულ შენობათა აგებაზე გაწეული ხარჯები. ხოლო ათენის ფინანსიური მდგომარეობის გასათვალისწინებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მარმარილოს სტელებს, რომლებზეც აღნიშნულია იმ თანხათა ჯამები, ქალღმერთის ათინას საუნჯედან სხვადასხვა წლებში რომ გამოუტანიათ. აგრეთვე, ათენის მოკავშირეების ფოროსის სიები. მათში ფოროსის ოდენობის აღნიშვნით ჩამოთვლილია ის ქალაქები, რომლებიც ათენს ფოროსს უხდიდნენ. ეს მასალა ძვირფასია ათენის პირველი კავშირის ორგანიზაციის გაცნობის თვალსაზრისით.

ათენის სახალხო კრების დადგენილებები იწერებოდა დაწესებული ფორმის მიხედვით; დადგენილება იწყებოდა სიტყვებით: „საბჭომ და ხალხმა დაადგინეს“, შემდეგ იწერებოდა ის, თუ რომელ პრიტანიას (კომისიას) ჰქონდა სხდომა ხუთასის საბჭოში, ვინ იყო საბჭოს მდივანი, ვინ თავმჯდომარეობდა სახალხო კრებას და სახელი არქონტ-ეპონიმისა (ე. ი. იმ თანამდებობის პირისა, ვისი სახელითაც აღინიშნებოდა მოცემული წელი). ყოველივე ამას მოსდევდა გადაწყვეტილების შემტანი პირის სახელი და თვითონ დადგენილების ტექსტი.

ცნობილია, რომ პელოპონესის ომის დროს ძვ. წ. 415—414 წლებში ადგილი ჰქონდა ათენში ჰერმოკოპიდების (ჰერმესის ქანდაკებათა შეურაცხმყოფელთა) პროცესს. აღმოჩენილია მარმარილოს დაფები ზედწერილით, რომელშიც დაცულია დამნაშავედ ცნობილი პირების გაყიდული ქონების აღნუსხვა: აღნიშნულია ყანა, მიწის ნაკვეთი, სახლი, ზეთის ხე, ლეღვი, ყურძენი და მონები, რომლებიც საერთო ტერმინით კი არ არიან მოხსენებული, არამედ სადაურობისა

* ამჟამად ისინი ქართულად ითარგმნება.

** ჰიმატიონი — ზედა ტანსაცმელი.

*** ამას ეწოდებოდა ხოე (χοή).

და პროფესიის მიხედვით, და მოტანილია მათი ღირებულება: კარიელი ჭაბუკი ღირს 170 დრახმა, თრაკიელი — 170, სკვითი — 144, ილირიელი — 121 და ა. შ. ეს ცნობები საყურადღებო მასალას გვაწვდიან მონათმფლობელური ათენის ისტორიიდან.

ჩვენ ვიცით, რომ ომის პროცესში ძვ. წ. 405 წელს ათენს მთლიანად განუდგნენ მოკავშირეები, გარდა სამოსელებისა. მათ არამცთუ არ უღალატეს ათენს, ბრძოლის ველზე მარცხის განცდის პერიოდში, არამედ პირიქით მოითხოვდნენ ომის გაგრძელებას. ასეთი ერთგულების პატივსაცემად ათენელებს მათთვის გაუგზავნიათ მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილი პასუხი, რომელზეც ორივე სახელმწიფოს მფარველი ქალღმერთები — ათინა და ჰერა ერთიმეორეს ხელს ართმევდნენ. ამას გარდა სამოსელებს მიენიჭათ ათენის მოქალაქეობრიობა და უფლება შემოიღონ მმართველობის ისეთი ფორმა, რომელსაც თვითონ მოისურვებენ.

ეპიგრაფიკული დოკუმენტების საკმაოდ დიდი ნაწილი გვისურათებს ათენის მეორე საზღვაო კავშირის (378—355) ორგანიზაციის ისტორიას. ამ კავშირის დაარსების შესახებ ათენის სახალხო კრების დადგენილება შესანიშნავი ნიმუშია ბერძნული პოლიტიკური აზროვნებისა და დიპლომატიური უნარიანობისა. მასში ჩამოთვლილია კავშირში შესული ქალაქების სახელები, გათვალისწინებულია ის გარანტიები, რომლებიც სურდათ ახალი კავშირის წევრებს, და ამ მხრივ ნაჩვენებია განსხვავება პირველსა და მეორე კავშირს შორის. საყურადღებოა, აგრეთვე, ამას წინათ აღმოჩენილი ეპიგრაფიკული დოკუმენტი ძვ. წ. IV საუკუნის ათენის ისტორიიდან — კანონი ტ ი რ ა ნ ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. კანონი მიღებულია ქერონეას ომიდან ორი წლის შემდეგ, მის თანახმად ტირანიის მითვისების მოწადინე პირის მკვლელი არ უნდა დაისაჯოს. შედარებით მცირეა ის ეპიგრაფიკული დოკუმენტები, რომლებიც ძვ. წ. IV საუკუნის 70—60 წლებში თებეს ამაღლებას შეეხებიან.

ძვ. წ. VI საუკუნეში ბევრ ბერძენ მმართველს ჩვეულებად შემოუღია ღმერთებისადმი შეწირულ ტაძრებსა და ქანდაკებებზე თავიანთი სახელების ამოკვეთა. როგორც ჩანს, ამ ჩვეულებისათვის მიუბაძავს ლიდიის ცნობილ მეფეს კროზს (560—546) და ეფესოში მის მიერ არტემიდის ტაძრისადმი შეწირულ სვეტებზე თავისი მიძღვნა ბერძნულად დაუწერია. შემონახულია ისეთი კერძო წარწერები, რომლებიც ღმერთებისადმია მიძღვნილი და შეიცავენ მათდამი თხოვნას, თუ მადლობას, აგრეთვე საფლავის ქვის წარწერები, რომლებიც გვაცნობენ მიცვალებულის სოციალურ და თანამდებობრივ მდგომარეობას და ა. შ.

ძველი საბერძნეთის ისტორიის კლასიკური და ელინისტური პერიოდებიდან შემონახულია ისეთი წარწერები თიხის ჭურჭლის ნატეხებზე, რომელთაც „გრაფიტი“ ეწოდება. ისინი ყოფაცხოვრებითი ან სარწმუნოებრივი ხასიათისა არიან და შედგებიან ერთი ან ორი სიტყვისა თუ ფრაზისაგან და თითქმის ერთი ასოსაგანაც. ამიტომ ისინი ვერ შეედრებიან თიხის ფირფიტების წარწერებს, მაგრამ მაინც ერთგვარ ცნობებს გვაწვდიან საყოფაცხოვრებო ისტორიის გასათვალისწინებლად.

დიდი მნიშვნელობისაა ძველი საბერძნეთის ეკონომიური ისტორიის შესწავლისათვის, განსაკუთრებით წარმოებისა და ვაჭრობის ხასიათის გარკვევისათვის თიხის ტარზე და აგრეთვე კრამიტზე დაცული ტვიფრები. ისინი შემონახულია უმთავრესად ამფორებზე, უფრო მცირედ პითოსებზე. ამფორები წარმოადგენდნენ ორხელიან დიდ ჭურჭელს, რომლითაც ძველად თხევადი და ფხვიერი საქონელი გადაჰქონდათ, პითოსი კი თიხის დიდი ჭურჭელი (კასრი) იყო. ამ ჭურჭლების ნატეხები, რომლებზეც შემონახულია ტვიფრები, საშუალებას გვაძლევენ გავარკვიოთ სამეურნეო წარმოების მთავარი ცენტრები, მათი წარმოების ხასიათი და გავრცელების ადგილები.

ძველბერძნული წარმოების თავისებურ სახეს წარმოადგენს ტექსტები „ოსტრაკაზე“ (ბერძნული სიტყვა „ოსტრაკონ“ ნატეხს ნიშნავს). ძვ. წ. V საუკუნიდან ათენის პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ეგრეთწოდებული ოსტრაკიზმი, ე. ი. სახელმწიფო წყობილებისათვის, თუ მმართველი წრეებისათვის მიუღებელი პოლიტიკური პირების გაძევება სახალხო კრებაზე ჩატარებული წერილობითი ხმის მიცემით. სახალხო კრების წევრებს ურიგებდნენ გასანთლულ ფირფიტებს, რომლებზეც ისინი აღნიშნავდნენ იმ პირის ვინაობას, ვისი ათენიდან გაძევებაც საჭიროდ მიაჩნდათ. ამ ფირფიტების დიდმა ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე. ოსტრაკას ხმარობდნენ, აგრეთვე, ხელწერილებისა და ქვითრებისათვის. ასეთი ოსტრაკა მრავლადაა შემონახული ელინისტური ეგვიპტიდან და ძვირფას მასალას წარმოადგენს იმდროინდელი ეგვიპტური საგადასახადო სისტემისა და ფინანსური მმართველობის შესწავლისათვის [17].

საერთოდ ძველბერძნული წარწერები წარმოადგენენ თავისებურ საარქივო დოკუმენტებს და ძვირფას მასალას შეიცავენ ბერძენთა მონათმფლობელური პოლისების სამეურნეო, სახელმწიფო და სოციალური წყობილების, საგარეო პოლიტიკის, სოციალური ბრძოლის, კულტურისა და კულტის ისტორიის დარგში: მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში ისინიც საჭიროებენ კრიტიკულ მიდგომას და შეფასებას. წარწერების, როგორც წყაროების, ნაკლს წარმოადგენს

ის, რომ ისინი ზოგჯერ ზუსტად არ გადმოგვცემენ ამბებს, ვინაიდან მათი შემდგენლები, სხვადასხვა მიზეზის გამო, ან ადიდებენ მათ, ანდა პირიქით ამცირებენ. მისაღებია მხედველობაში ისიც, რომ წარწერები გადმოგვცემენ მხოლოდ ცალკეულ ამბებს. ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, ძველი საბერძნეთის ისტორიას მარტო წარწერებსა და უტყვ არქეოლოგიურ ძეგლებზე დამყარებით სრულად ვერ აღვადგენთ.

ცალკე უნდა შევჩერდეთ განსაკუთრებულ საწერ მასალაზე — პ ა პ ი რ უ ს ზ ე დაწერილ ბერძნულ დოკუმენტებზე. პაპირუსები, როგორც ასეთ დოკუმენტს მოკლედ უწოდებენ, უძველეს დროიდან ფართოდ იყო გავრცელებული ეგვიპტეში. ხოლო საბერძნეთში პაპირუსის, როგორც საწერი მასალის, გამოყენება იწყეს უმთავრესად ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან. თვითონ საბერძნეთში პაპირუსები თითქმის არ შემონახულა, ხოლო ეგვიპტეში XIX—XX საუკუნეებში გათხრების შედეგად 200000-მდე პაპირუსი აღმოაჩინეს. ბერძნული პაპირუსების ნაწილი ეკუთვნის ბერძნებისა და მაკედონელების ეგვიპტეში ბატონობის დროს და ჩვ. წ. პირველ საუკუნეებს, როცა ელინისტური ეგვიპტე რომს დაექვემდებარა.

შემონახულ პაპირუსებში მოცემულია ძველ დაწესებულებათა და კერძო პირთა მიმოწერა, ამონაწერები კანონებიდან, სამოსამართლო საქმეები, ყიდვა-გაყიდვის აქტები, გადასახადთა შეტანის ხელწერილები და ა. შ. ამ მხრივ განსაკუთრებით ცნობილია ერთი დიდებულის მოურავის ზენონის არქივი, რომელიც შეიცავს რამდენიმე ათას საქმიან წერილს, განკარგულებას, მოხსენებას, ანგარიშს, საჩივარს და სხვ.

ჩვენამდე მოღწეულ ზოგიერთ პაპირუსში გადმოცემულია მიმოწერა ნათესავებს შორის, სატრფიალო წერილები, ბავშვების ვარჯიშობა წერაში და სხვ. დიდი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ ეგვიპტის ბერძნულ პაპირუსებში შემონახულია ნაწყვეტები ეპოსიდან და ძველბერძენ პოეტთა ჩვენთვის უცნობი ნაწარმოებებიდან. მათ შორის პოეტი ქალის საპფოს ლექსები, ნაწყვეტები „ილიადადან“, ევრიპიდეს ტრაგედიებიდან, მენანდრეს კომედიებიდან და ტიმოთე მილეტელის „სპარსელების“ ტექსტის თითქმის ნახევარი.

პაპირუსების შესწავლასა და გამოკვლევას ემსახურება მეცნიერული დისციპლინა პ ა პ ი რ ო ლ ო გ ი ა.

ლირიკული პოეზია [175]

ძვ. წ. VII—VI საუკუნეებში ძველი საბერძნეთის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების გასათვალისწინებლად უდავო მნიშვნელობა უნდა მივაკუთვნოთ ლირიკულ პოეზიას. რას ნიშნავს ტერმინი ლირიკა? ის პირობითია და წარმომდგარია მუსიკალური ინსტრუმენტის სახელწოდებისაგან — „ლირა". ფიქრობენ, თითქოს ამ ინსტრუმენტის აყოლებით სრულდებოდა პოეტების შესაფერი ნაწარმოებები, მაგრამ სინამდვილეში ისინი სხვა ინსტრუმენტების თანხლებითაც სრულდებოდა და ზოგჯერ უიმათოდაც.

დიდი ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ ლირიკულ პოეზიაში ცხადად იგრძნობა იმ დროის პოეტების გამოხმაურება და თავისებური დამოკიდებულების გამომჟღავნება ცხოვრების საჭირბოროტო და მტკივნეულ საკითხებისადმი. დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი. VII საუკუნის პირველი ნახევრის პოეტი კალინე მოღვაწეობდა იმ დროს, როცა კიმერიელები მცირე აზიას შეესიენ და ბერძნულ ქალაქებსაც დაემუქრნენ. მისი სამშობლო იყო იონური ქალაქი ეფესო, რომელსაც ბრძოლა მოუხდა კიმერიელებთან. ყოველივე ამას გამოხმაურებია კალინე და თავის პოეტურ შემოქმედებაში ხაზს უსვამს არა სამხედრო გმირობას-ნადავლისა და სახელისათვის, არამედ იმ ვაჟკაცების მამაცობას, რომლებიც სამშობლოსათვის, პატარა ბავშვებისათვის და ახალგაზრდა ცოლებისათვის იბრძვიან. მისი სიტყვით, სამშობლოსათვის თავგანწირვაზე უფრო მაღალი პატივი მოკვდავთათვის არ არსებობს.

სპარტელი მგოსანი ტირტეოსი, რომელიც, როგორც სარდალი მესენიის მეორე ომში (ძვ. წ. 680 წ.), საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სპარტის ძველი სოციალ-პოლიტიკური წყობილების შესახებ. მის შემოქმედებაში გვხვდება მესენიელი ჰილოტების აუტანელი ცხოვრების ეპიზოდებიც, მაგრამ ამავე დროს იგი ყოველგვარად ცდილობს, შთაუნერგოს სპარტელ მეომრებს სიმხნევე და მამაცობა. მისი გმირია ის გაბედული მეომარი, რომელიც ფართოდ მიაბიჯებს და მტკიცედ დგას, ფეხებით მიწას მიბჯენილი და ბაგედახშული.

ათენის ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს სოლონს (638—559), რომელსაც „შვიდ ბრძენთა" წრეს მიაკუთვნებდნენ, ატიკურ ნიადაგზე გადმოუნერგავს ელეგია *. სხვებისაგან განსხვავებით სოლონი

---

* ელეგიამ თავისი სახელწოდება მიიღო ფრიგიული ინსტრუმენტის „ელეგინისაგან" (რაც ლარწამს აღნიშნავდა), რომლის თანხლებით სრულდებოდა ელეგიური სიმღერები.

თავის შემოქმედებაში გვიზიარებს არა მარტო პირად გრძნობებს, არამედ უმთავრესად მის თანამედროვე პოლიტიკურ და კლასობრივ მოვლენებს, განსაკუთრებით ატიკაში მის დროს მიმდინარე მწვავე ბრძოლას დაჩაგრულ გლეხობასა და არისტოკრატიას შორის.

მეგარიდან გამოძევებული მგოსანი თეოგნიდე (ძვ. წ. VI ს.) ჩამომავლობითა და მსოფლმხედველობით არისტოკრატი იყო და თავის შემოქმედებაში გამოავლინა არისტოკრატიის იდეოლოგია ბერძნული პოლისების ჩამოყალიბების ეპოქაში. მეგარაში დაწყებულ დემოსის აჯანყებას ის ადარებს ქარიშხალს, რომელიც ხომალდს ერთი მხრიდან მეორეში გადაისვრის, ხოლო დახელოვნებული მესაჭე მეზღვაურების მიერ გადაყენებულია და ხომალდზე უბრალო მტვირთავები უფროსობენო. მისი შემოქმედება მოწამლულია დემოსისადმი სიძულვილით და თავისიანებისადმი მისი მოწოდებაა: „ფეხს ქვეშ გასრისეთ მოლაყბე ბრბო". მაგრამ გვაროვნული არისტოკრატიის იდეალების ნგრევის ეპოქაში მცხოვრები თეოგნიდე სასოწარკვეთილი გვიზიარებს თავის პესიმისტურ სულისკვეთებას: „ადამიანისათვის უკეთესია სრულებით არ დაიბადოს და არ იხილოს მზის სხივები... მართალია, ქალაქი იგივეა, მაგრამ ხალხი შეიცვალაო".

ასეთივე სულიერი განწყობილების გამომსახველია პოეტ ალკეოსის შემოქმედება. წარმოშობით იგი კუნძულ ლესბოსის მიტილენიდან იყო. ძვ. წ. VII საუკუნის მეორე ნახევრიდან მიტილენში მიმდინარეობდა ღრმა სოციალური ბრძოლის პროცესი. ამაყი და შეურიგებელი არისტოკრატი ალკეოსი თავის მომხრეებთან ერთად მიუღებლად თვლის ახალი სოციალური ფენების ამაღლებასა, მათ მიერ პოლიტიკური პოზიციების დაკავებას, იგი გამწარებული და სასოწარკვეთილი ცდილობს შეაჩეროს ეს პროცესი, მაგრამ თვითონვე გრძნობს, რომ ძველი პოზიციების დაბრუნება უიმედოა და სხვა აღარა დარჩენია გარდა იმისა, რომ ისევ ომის სტიქიაში ანდა ღვინოში ეძიოს თავდავიწყება.

ლირიკაში ფართოდ ვლინდება იმ დროის ადამიანთა ფიქრები და გრძნობები მათი მთელი თავისებურებით. ეპიკური პოეზიისაგან განსხვავებით ლირიკაში მოცემულია ცოცხალი ადამიანი თავისი განცდებით და თავგადასავალით. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მგოსნის არქილოქე პაროსელის (ძვ. წ. VII ს. შუალედი) შემოქმედება. არქილოქე წარჩინებული პაროსელი მოქალაქის და მხევალი ქალის ვაჟი იყო. ეს გარემოება მის ცხოვრებაში გარკვეულ როლს თამაშობდა, როგორც მისი ლექსების შემონახული ნაწყვეტებიდან ჩანს, იგი „თავის ცხოვრებაში და თავის პოეზიაში საერთოდ მიღებულ შეხედულებებს კი არ ემყარებოდა, არამედ თა-

ვისი გზით მიდიოდა“ *. მას ახასიათებდა იშვიათი ფხიზელი დაკვირვებულობა. რაც მას საშუალებას ანიჭებდა შეემჩნია ის. რაც სხვებისათვის დაფარული იყო. იგი მონაწილეობდა საკოლონიზაციო მოძრაობაში, რომელიც იმ დროს დიდი ძალით ვლინდებოდა. ეს მოძრაობა ნათლად გამოისახა მის ლექსებში.

მთლიანად ვლინდება მათში, აგრეთვე, მის მიერ განვლილი პირადი ცხოვრების გზა. როგორც მოქირავნეს, მას ბევრი უხეტიალია. ბრძოლასა და ხეტიალში მრავალი საბედისწერო ჭირი და მწუხარება განუცდია და სიცოცხლეც ბრძოლის ველზე დაუმთავრებია. თავის ლექსებში იგი გვიხატავს მოხეტიალე მეომრის საკუთარ სახეს და სხვათა შორის ამბობს: „ვსვამ შუბზე დაყრდნობილიო“. არქილოქე გვაცნობს აგრეთვე თავის დამოკიდებულებას მეგობრებისა და მტრებისადმი, თავის შეხედულებებს ცხოვრებაზე და თავის უიღბლო სიყვარულს მშვენიერი ნეობულესადმი. საერთოდ არქილოქეს ლექსები საყურადღებო ცნობებს გვაწვდის მისი დროის გასათვალისწინებლად.

აქვე უნდა მოვიგონოთ სახელგანთქმული პოეტი ქალი ს ა პ ფ ო, რომელიც სამწერლო ასპარეზზე ძვ. წ. VII—VI საუკუნეების მიჯნაზე გამოვიდა. იგი ცხოვრობდა საბერძნეთის ისეთ ნაწილში — კუნძულ ლესბოსზე, სადაც ქალის მდგომარეობა უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე სხვაგან და მის ლექსებში ცენტრალური ადგილი მიეკუთვნება ქალს, რომელიც აღგზნებულია სიყვარულის ვნებით და იტანჯება ეჭვიანობის ალით.

„თუ შევუპირისპირებთ ალკეოსის, არქილოქესა და საპფოს ლექსებს, შეგვიძლია დავრწმუნდეთ იმაში, თუ რამდენად ფართო გახდა ლირიკული პოეზიის დიაპაზონი, — ველური, თითქმის ბარბაროსული უხეშობიდან, მტრის სიკვდილის გამო დაუფარავი ბოროტი სიხარულიდან „იის გვირგვინდადგმული“ საპფოს უნაზეს სახეებამდე“ [15].

ლოგოგრაფოსები [18ა]

განხილული პერიოდის დასასრულს საბერძნეთში განვითარებას იწყებს ლიტერატურული პროზა. როგორც ჰომეროსის პოემების, ისე ლიტერატურული პროზის სამშობლო იყო მცირე აზიის იონური სანაპირო. ბუნებრივია, რომ ამ ქალაქების მოსახლეობას ზღვისიქითური მხარეების გაცნობის ინტერესი აღეძრა და გაჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებმაც ამ მხარეებში იმოგზაურეს, გაეცვნენ მათ

* С. Лурье, Неугомонный, М., зз. 4.

აწმყოსა და წარსულს და ნახულსა და გაგონილს ზეპირი თხრობის სახით გადმოცემდნენ. ეს მოთხრობები შეიცავდნენ ნაწილობრივ ნამდვილ გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ ცნობებსაც, მაგრამ უმეტეს ნაწილად მონაგონსა და ფანტაზიებს ემყარებოდნენ. იონელ მოსახლეობაში ასეთმა ზეპირმა მოთხრობებმა მიიღო სახელწოდება ლ ო გ ო ს. რას ნიშნავს ტერმინი ლოგოს? სიტყვას, თხრობას. დამწერლობის გავრცელებასთან ერთად ასეთი მოთხრობები არა ლექსად, არამედ პროზად ჩაიწერებოდა და მსგავსი ნაწარმოებების ავტორებს ეწოდებოდათ ლოგოგრაფოსები (სიტყვა-სიტყვით — პროზით მწერლები). ანტიკური ტრადიცია პირველ ლოგოგრაფოსად კ ა დ მ ო ს ს (VI საუკუნის ნახევარი) გვისახელებს, რომელიც მილეტის დაარსების შესახებ თხზულების ავტორადაა მიჩნეული. მაგრამ მისგან არაფერი შემონახულა და თვითონაც ბევრი მკვლევარის მიერ მითურ პიროვნებად არის აღიარებული. ძველად დიდად ცნობილი ყოფილა ს კ ი ლ ა ქ ს ი, წარმოშობით კარიის ქალაქ კარიანდიდან. მოგზაური, რომელსაც ჰისტასპის ძის დარიოსის დავალებით გადაუცურავს მდინარე განგი და ინდოეთის ოკეანე მეწამულ ზღვამდე და თავისი მოგზაურობა ინდოეთში აუწერია.

უფროსი თაობის ლოგოგრაფოსების შემოქმედების შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი ჯერ კიდევ ყოველთვის ვერ ანსხვავებდნენ ერთიმეორისაგან თქმულებებს, მითებსა და რეალურ სინამდვილეს, სრული ნდობით უდგებოდნენ მათ და მათზე დამყარებით ჰქმნიდნენ ნახევრად ლეგენდარულ ისტორიას: ბერძენთა ტომებისა და ქალაქების შორეულ წარსულს, გმირებისა და ცალკეული არისტოკრატიული გვარების გენეალოგიას და ბარბაროსების სამყაროს მიმოხილვას. მოკლედ: ისტორიის თხრობა ჯერ კიდევ არ იყო გამიჯნული მითებისაგან. ლოგოგრაფოსების უმცროსი თაობა კი, ეპოსისა და თქმულებების გარდა, თავის მუშაობაში მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს დოკუმენტალურ მასალას, ცალკეულ ქალაქების ქრონიკებს, ქურუმებისა და წარჩინებული პირების სიებს და ა. შ. ზოგიერთი მათგანი იქამდე მივიდა, რომ დოკუმენტალური მასალისადმი ერთგვარი კრიტიკული მიდგომა გამოავლინა. ლოგოგრაფოსთაგან მხოლოდ ფრაგმენტებია შემონახული.

ლოგოგრაფოსთა შორის ყველაზე მეტად ცნობილია ჰ ე კ ა ტ ე ო ს მ ი ლ ე ტ ე ლ ი (დაახლოებით ძვ. წ. 540—478), ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი. იგი თანამედროვე და თანამონაწილე იყო იონელთა აჯანყებისა სპარსელების ბატონობის წინააღმდეგ. ჰეკატეოსს ბევრი უმოგზაურია და გულდასმით აუწერია თავისი დაკვირვებები. იგი იყო არა მარტო ისტორიკოსი, არამედ გეოგრაფოსიც. მან დაგვიტოვა ისტორიულ-მითოლოგიური შინაარსის ნაშრო-

მი — „გვარტომობითი“ (გენეალოგია), ანუ „ისტორია“, რომელიც ასეთი სიტყვებით იწყებოდა: „ვწერ ამას ისე, როგორც მე ჭეშმარიტად მეჩვენება, ვინაიდან ბერძნებს მრავალი მოთხრობა მოეპოვებათ და, როგორც მგონია, სასაცილონი“ (fr., 332). მეორე ნაშრომში — „დედამიწის აღწერილობა“ იგი აღწერდა ევროპას, აზიასა და აფრიკას (უფრო ზუსტად ლიბიას). იგი შედგენილი იყო მეტწილად თვითონ ავტორის შთაბეჭდილებების საფუძველზე და დართული ჰქონდა გეოგრაფიული რუკა (პინაქსი). ეს იყო ბერძნების მიერ შექმნილი მეორე რუკა, პირველი კი ფილოსოფოს ანაქსიმანდრეს შეუდგენია (ძვ. წ. VI ს.).

სხვათა შორის კელტების ისტორიის ადრინდელი პერიოდის შესახებ წერილობითი ძეგლები თითქმის არ შემონახულა, პირველად მათ იხსენიებს ჰეკატეოსი. მისი დროიდან გაჩნდა, აგრეთვე, სახელი იბერია, რომელიც ესპანეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილს მიეკუთვნებოდა. მაგრამ ჰეკატეოსის შემოქმედების სიფართოვისა და უნივერსალობის მიუხედავად, იგი მაინც მითოგრაფოსი და გეოგრაფოსი იყო და არა ისტორიკოსი.

ლოგოგრაფოსების უმცროსი თაობის ცნობილი წარმომადგენელია ჰ ე ლ ა ნ ი კ ე მ ი ტ ი ლ ე ნ ე ლ ი. ცხოვრობდა იგი ხანგრძლივად და მოწმე იყო პელოპონესის ომის (431—404) უკანასკნელი წლებისა. ისე, როგორც სხვა ლოგოგრაფოსები, ჰელანიკეც ბევრს მოგზაურობდა და აღწერდა სხვადასხვა მხარის ისტორიას, ჩვეულებრივად რომელიმე გმირის გენეალოგიის ფარგლებში. ჰელანიკეს მოთხრობებში მთავარი ადგილი მიეკუთვნებოდა მითებსა და მითურ პერიოდს. ხოლო საბერძნეთის ისტორია, დორიელთა გადმოსახლებიდან ბერძენ-სპარსელთა ომებამდე, მოკლედ იყო მოთხრობილი. ამასთან ერთად მან პირველმა შეადგინა ათენის სახელმწიფოს ამბავთა მატიანე უძველესი ხანიდან თავის დრომდე. ამ მატიანეს „ატთიდა“ ეწოდებოდა და მისი მაგალითით ძვ. წ. IV საუკუნეში გაჩნდა მთელი რიგი „ატთიდები“, სპეციალურად ათენის ისტორიისადმი მიძღვნილი ქრონიკები. მართალია, არც ერთ მათგანს ჩვენამდე არ მოუღწევია მთლიანი სახით, მაგრამ მათში მოცემული ცნობებით ფართოდ უსარგებლიათ სხვა ავტორებს. ეს „ატთიდები“ პირობითად შეიძლება წმინდა ისტორიულ ნაშრომებს მივაკუთვნოთ.

ისტორიოგრაფია

სპარსელების მრისხანე თავდასხმამ საბერძნეთზე, ბერძნების გრანდიოზულმა შებრძოლებამ მტრებთან და მოპოვებულმა ბრწყინვალე გამარჯვებამ უდიდესი გავლენა მოახდინა ძველბერძნულ საზო-

გადოებაზე და გააძლიერა მასში ინტერესი როგორც საკუთარი, ისე მეზობელი ხალხების წარსულისადმი. ასეთმა განწყობილებამ გამოძახილი მხატვრულ მწერლობაშიც, კერძოდ ტრაგედიაშიც ჰპოვა. დიდმა ტრაგიკოსმა ე ს ქ ი ლ ე მ, რომელიც თვითონ მონაწილეობდა ამ ომში, ტრაგედიაში „სპარსელები“ პატრიოტული აღტყინებით მხატვრულად აგვიწერა ეს საბედისწერო ომი და ხაზი გაუსვა ბერძნების გრძნობას. მაგრამ, როგორც თავის დროის შვილმა, პატარა საბერძნეთის უზარმაზარ სპარსეთზე გამარჯვება ღმერთების უშუალო დახმარებით წარმოგვიდგინა.

ბერძენ-სპარსელთა ომებმა უდავო გავლენა იქონიეს ძვ. წ. V საუკუნეში ბერძნული ისტორიოგრაფიის განვითარებაზე.

ჰეროდოტე [19]

პირველ ბერძენ ისტორიკოსად და ძველადვე „ისტორიის მამად“ [19a] წოდებული ჰეროდოტე დაიბადა ძვ. წ. 485 წელს მცირე აზიის სანაპიროს სამხრეთ ნაწილში, ქალაქ ჰალიკარნასში. მისი ჭაბუკობის დროს ჰალიკარნასი ემორჩილებოდა სპარსეთის მეფისადმი დაქვემდებარებული კარიის მთავარს. ტომობრივად ჰალიკარნასი დორიული ახალშენიდან ყოფილა, მაგრამ დორიული ჩამომავლობის მიუხედავად, ჰეროდოტეს ენა იონური დიალექტი იყო. ეს აიხსნება, ალბათ, იმით, რომ მის დროს ჰალიკარნასში მრავლად ცხოვრობდნენ იონელები, ამასთან ბერძნული ინტელიგენციის ენა იონური დიალექტი იყო და მასზე წერდნენ მისი წინამორბედი და თანამედროვე ლოგოგრაფოსები. ჰეროდოტე ეკუთვნოდა წარჩინებულსა და შეძლებულ გვარს და ნივთიერად უზრუნველყოფილი იყო. ახალგაზრდობაში ჰეროდოტეს აქტიური მონაწილეობა მიუღია თავისი ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში. შინაური ბრძოლის შედეგად იქ ტირანია დამყარებულა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში ჰეროდოტეც მონაწილეობდა, მაგრამ ბრძოლის პროცესში იძულებული გამხდარა კუნძულ სამოსზე გადასახლებულიყო. შემდგომში სამშობლოში დაბრუნებულ ჰეროდოტეს მონაწილეობა მიუღია ტირანის დამხობაში, მაგრამ მის გარშემო ისეთი პირობები წარმოქმნილა, რომ იგი სამუდამოდ განშორებია ჰალიკარნასს. ერთ დროს ჰეროდოტეს ათენში უცხოვრია და შემდეგ მრავალმხრივ საყურადღებო, ხანგრძლივი მოგზაურობა დაუწყია. მას უმოგზაურია საბერძნეთში, მცირე აზიის სანაპიროებზე, ეგვიპტეში, სირიაში, არაბეთში, ბაბილონში და, უკანასკნელად სარწმუნო ცნობებით, ყოფილა პონტოს სანაპიროებზე, კოლხიდაში, სკვითებში, თრაკიაში, მაკედონიასა და სიცილიაში. უნდა აღინიშნოს, რომ ჰეროდოტე პირველი ბერძენი მოგზაური იყო,

რომელმაც ინახულა შავიზღვისპირეთი, საეჭვო აღარ არის, რომ ის ყოფილა ბერძნულ ახალშენ ოლბიაში (აწინდელი ოჩაკოვის მახლობლად) და სკვითებით დასახლებულ მომიჯნავე მხარეში, რომ მას კოლხიდაც უნახავს და კოლხებისა და ქართველი ტომების შესახებ ძვირფასი მასალა და ცნობები დაგვიტოვა. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს ისტორიის სპეციალისტები ჰეროდოტეს გვერდს ვერ უხვევენ და სათანადო ანალიზისა და კრიტიკის საფუძველზე ცდილობენ მისი ცნობების გამოყენებას. ასევე ფასდაუდებელია საერთოდ ის მრავალი ცნობა ისტორიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ხასიათისა, რომელიც ჰეროდოტემ ძველი ხალხების შესახებ გვიანდერძა.

გარკვეული არ არის, შეუწყვეტლივ განაგრძობდა თუ არა ჰეროდოტე თავის ხანგრძლივ მოგზაურობას, არ ვიცით მისი მარშრუტების თანმიმდევრობაც. გარკვევით ცნობილია მხოლოდ ის, რომ მოგზაურობის დროს მას მრავლად შეუგროვებია და ჩაუწერია სხვადასხვა ხალხების ზნე-ჩვეულებები, ისტორიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცნობები. აღწერდა იგი იმას, რაც თვითონ უნახავს, რაც უშუალოდ სმენია, ანდა რაც სხვებისაგან გაუგონია და საკუთარი დასკვნებით შეუფასებია. თავის მეორე სამშობლოდ მას ათენი აურჩევია და, ალბათ, მოგზაურობის დამთავრების შემდეგ იქ დამკვიდრებულა და პერიკლეს წრეს მიკედლებია. ხოლო 444 წელს პერიკლეს ინიციატივით მას მონაწილეობა მიუღია თურიოში (სამხრეთ-იტალიაში) „პანელინური“ ახალშენის დაარსებაში. ჰეროდოტე ერთ ხანს იქ დარჩენილა და ამიტომ ზოგიერთი წყარო მას თურიელს უწოდებს. ჰეროდოტე გარდაიცვალა ძვ. წ. 425 წელს.

ნათქვამი იყო, რომ ათენში ჰეროდოტე პერიკლეს წრეს დაუახლოვდა და უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ის პერიკლეს დროის ათენის მონათმფლობელური დემოკრატიის მომხრე იყო. მისთვის იდეალურია მხოლოდ ისეთი პოლიტიკური წყობილება, რომელშიც მოქალაქეები კანონის წინაშე თანასწორი არიან და ყველას აქვს სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის უფლება. ის წინააღმდეგია ტირანიისა და მას ფრიად უარყოფითად ახასიათებს. მისი ცხოვრება და შემოქმედება ელინური პატრიოტიზმით არის გაჟღენთილი. მეორე მხრივ, მას სარწმუნოდ მიაჩნია, რომ ისტორიაში მოქმედებს ბრძნული ღვთაებრივი განგება, რომელიც წარმართავს ადამიანთა, ხალხებისა და სახელმწიფოების ბედს. მას სწამდა სასწაულები, მისნები და ომამასწავებელი ნიშნები, მოჩვენებები და სიზმრები. მაგრამ ჰეროდოტეს მსჯელობაში გარკვეული რაციონალიზმიც იგრძნობა: „მე ვალდებული ვარ — ამბობს იგი, — გადმოვცე ის, რასაც ამბობენ,

მაგრამ არა ვარ ვალდებული ყოველივე ვირწმუნო და ეს ჩემი განცხადება მთელს ჩემს თხრობას შეეხება“ (VII, 152).

სხვათა შორის მას აღნიშნული აქვს ლეგენდა, რომლის მიხედვით დოდონაში ორაკული მას შემდეგ დააარსეს, როცა ეს მტრედმა ადამიანის ხმით გამოაცხადაო. ამის გამო ჰეროდოტე ასეთ აზრს გამოთქვამს: მტრედში, ალბათ, იმ უცხოელ ქალს გულისხმობდნენ, რომელიც წინათ „ფრინველივით“, ე. ი. უცნობ ენაზე ლაპარაკობდა და მერე კი, როცა ბერძნული ენა შეისწავლა, ადამიანურად იწყო ლაპარაკი.

საგულისხმებელია, რომ პერიკლეს წრესთან დაახლოების ზეგავლენით დაებადა ჰეროდოტეს აზრი, დაეწერა ნაშრომი სპარსელებთან ომის შესახებ და ხაზი გაესვა ათენელების დამსახურებისათვის ამ მრისხანე პერიოდში. შესაძლოა, ამ აზრის განხორციელება მან მხოლოდ თურიოში დამკვიდრების შემდგომ შესძლო. აქ ჩაურთო, ალბათ, მან თავის ნაშრომს ახალგაზრდობის დაკვირვებანი, როგორც ექსკურსები და ასე წარმოიშვა მისი ცნობილი „ბერძენ-სპარსელთა ომის ისტორია“, რომელიც მან დაახლოებით ძვ. წ. 430 წლისათვის დაამთავრა.

ნაშრომის დასაწყისში ჰეროდოტე ასე განსაზღვრავს მის მიერ დასახულ მიზანს: „ქვემომომდევნო გამოკვლევებს ჰეროდოტე თურიელი წარმოადგენს იმისათვის, რომ დროის მიერ მეხსიერებიდან არ წარიხოცონ ადამიანთა საქმენი და დავიწყებას არ მიეცეს დიდი და გაკვირვების ღირსნი გმირობანი, რომლებიც ჩაიდინეს როგორც ელინებმა, ისე ბარბაროსებმა, განსაკუთრებით კი — მიზეზი, რომლის გამოც ისინი ურთიერთ შორის ომში ჩაერივნენ“ (I, 1). ამ სიტყვებს ჰეროდოტე მეხუთე თავში ასე განგვიმარტავს: „მე დავასახელებ პირს, რომელსაც ელადის პირველ შეურაცხმყოფელად ვთვლი, და მერმე განვაგრძობ ჩემს თხრობას, თანაბრად მიმოვიხილავ რა დიდსა და მცირე ქალაქებს, ვინაიდან ქალაქები, რომლებიც ოდესღაც დიდნი იყვნენ, შემდგომში მცირენი გახდნენ და პირიქით, ჩემს დროში მნიშვნელოვანი ქალაქები წინათ მცირენი იყვნენ“. აქედან შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ამ წინასიტყვაობის დაწერისას ჰეროდოტეს ჯერ კიდევ დაწერილი არ ჰქონია თავისი უნივერსალური ნაშრომი. მას წინასწარ შეუდგენია რამდენიმე დამოუკიდებელი ექსკურსი, რომლებიც ამა თუ იმ მხარის აღწერილობას შეიცავდნენ. მაგრამ უფრო გვიანაც ეს ექსკურსები ძირითად მთლიანობაში არ მოუცია და, როცა განუზრახავს დაეწერა თხზულება ევროპის ბრძოლაზე აზიასთან, თავის საბოლოო სახით მის ნაშრომს ცხადად შემოუნახავს პირვანდელი ცალკეული ექსკურსების კვალი.

ჰეროდოტეს „ისტორია“ (ასე უწოდა მან თავის ნაშრომს — „ისტორია“ — კვლევა-ძიებანი) 9 წიგნად (ჩვენებურად — კარად) ელინისტური ეპოქის ავტორებს დაუყვიათ და თითოსთვის თითო მუზის სახელი დაურქმევიათ. ჰეროდოტეს ნაშრომი, გარდა ისტორიული ხასიათის თხრობისა, შეიცავს სხვადასხვა ტომის ყოფა-ცხოვრების აღწერასა და გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ ცნობებს, რომლებიც მას მოგზაურობის დროს მოუგროვებია და ლოგოგრაფოსებისაგან, განსაკუთრებით ჰეკატეოსისაგან გადმოუღია.

მართალია, მისი ნაშრომის ძირითადი ხაზი ბერძენ-სპარსელთა ომების ისტორიაა, მაგრამ ის ორ ნაწილად უნდა გავყოთ. პირველი ოთხი კარი ამ ომების წინაისტორიას წარმოადგენს. პირველი კარი ეხება ლიდიისა და სპარსეთის წარსულს კამბიზის გამეფებამდე, მეორე — ეგვიპტეს, მესამე — პირველის გაგრძელებას წარმოადგენს და შეიცავს სპარსეთის ისტორიას დარიოსის ტახტზე ასვლამდე, მეოთხე კი სკვითების ქვეყანაში დარიოსის ლაშქრობაზე მოგვითხრობს. ამასთან დაკავშირებით ქრონოლოგიურად გადმოცემულია პარალელური ამბები ბერძნების ისტორიიდან.

ნაშრომის მეორე ნაწილის სტრუქტურა არსებითად სხვანაირია: აქ ძირითადად მოცემულია ბერძენ-სპარსელთა ომების უწყვეტი თხრობა, აღწერილია იონიის ამბოხება (V, 28—VI, 32), მარდონიოსის ლაშქრობა (VI ბოლომდე), ქსერქსეს საბერძნეთზე გალაშქრება, თერმოპილთან ბრძოლის ჩათვლით (VII), ბრძოლები არტემიასა და სალამინთან (VIII) და პლატეასა და მიკალესთან (IX). ამგვარად, ჰეროდოტეს ნაშრომი შეიცავს თანმიმდევრულ ისტორიულ თხრობას ბერძენ-სპარსელთა ომების შესახებ და ძვ. წ. 500 წლიდან 479-მდე საბერძნეთის ისტორიის ძირითად წყაროს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ჰეროდოტეს ნაშრომში სპარსელებისადმი არავითარი მტრული განწყობილება არ იგრძნობა და პირიქით მისთვის აღმოსავლეთი კულტურისა და სიბრძნის აკვანია და ამ მიმართულებით იგი გადაჭარბებასაც კი ააჭკარავებს, რისთვისაც მას ისტორიკოს-ბიოგრაფოსი პლუტარქე „ფილობარბაროსს“ უწოდებს.

ჰეროდოტე ათენისადმი თანაგრძნობითაა გამსჭვალული. თავის ნაშრომს იგი პელოპონესის ომის დასაწყისის პოლიტიკურ ვითარებაში ამთავრებს და ყოველგვარად ცდილობს ხაზი გაუსვას ათენის ისტორიულ როლსა და მის დამსახურებას საბერძნეთის წინაშე. საერთოდ მისთვის ნათელია სპარსელების ურდოების წინააღმდეგ ბერძნების ბრძოლის მთელი სიდიადე. განსაკუთრებით საგულისხმოა თერმოპილის კლდე-კართან მცირერიცხოვანი სპარტელების გმირული ბრძოლის აღწერა.

ჰეროდოტეს შემოქმედების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცნობების ნოველისტური თხრობის შეერთება მხატვრულ გაფორმებასთან. იგი იშვიათი მთხრობელია და ამ მხრივ ბერძნულ პროზაულ ლიტერატურაში თავისებურ ჰომეროსს წარმოადგენს. მისი სტილი თითქოს ეპიკური სტილია პროზაში.

რა წყაროებს ემყარებოდა ჰეროდოტე? პირველ რიგში მის წყაროს წარმოადგენდა პირადი დაკვირვებები, დასკვნები და ძიებანი, ხოლო მთავარი წყარო ზეპირი ტრადიცია იყო: ქურუმების, თარჯიმანთა და გამყოლთა ნაამბობი, ხალხური თქმულებები და ლეგენდები; იგი, აგრეთვე, წერილობითი ძეგლებით სარგებლობდა. ჰეროდოტე მიუთითებს ჰომეროსზე და თავის წინამორბედ ლოგოგრაფოსებზე, პირველ რიგში ჰეკატეოსზე, რომლისაგანაც მას ბევრი რამ გადაუღია, განსაკუთრებით ეგვიპტის შესახებ. ჰეროდოტეს ეპოქაში ჯერ კიდევ გავრცელებული იყო მრავალნაირი ზეპირი თქმულებები, რომლებსაც იგი, ალბათ, მოგზაურობის დროს გაეცნო. მაგრამ, ეგვიპტესა და სპარსეთში ყოფნის დროს სპარსული და ეგვიპტური ენების არცოდნის გამო, ის იძულებული ყოფილა თარჯიმანებისა და მცოდნე ადამიანების დახმარებისათვის მიემართა და ხშირად მათ ნაამბობს კრიტიკის გარეშე ენდობოდა.

როცა ჰეროდოტე თავის ნაშრომს წერდა, უნდა ვიფიქროთ, რომ მაშინ ათენში და საბერძნეთის სხვა კუთხეებში ჯერ კიდევ ცოცხალი იყვნენ ბერძენ-სპარსელთა ომების თვითმხილველები, რომელთაც შეეძლოთ ბევრი რამ შემოენახათ მეხსიერებაში. არსებობდნენ ამ ომებთან დაკავშირებული ძეგლებიც, მაგალითად, თერმოპილთან დახოცილი მეომრების საფლავის ძეგლის ზედწერილი, პლატეასთან გამარჯვების აღსანიშნავად აღმართული დელფოს ძეგლი და სხვ. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ჰეროდოტეს ყურადღების გარეშე ვერ დარჩებოდა. ამას გარდა ჰეროდოტე კარგად იცნობდა ეპიკურ პოეზიას და ტრაგედიებს, კერძოდ ესქილესა და სოფოკლეს, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში ფართოდ ეხებოდნენ ბერძენ-სპარსელთა ომებს.

მართალია, ჰეროდოტეს ლოგოგრაფოსებთან ბევრი რამ აკავშირებს, მაგრამ მათგან იგი პირველ რიგში თავის ნაშრომის მიზანდასახულობით და თემის ერთიანობით განსხვავდება. მისთვის ბერძენ-სპარსელთა ომები მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული ამბავია. მისი ნაშრომი მის მიერ ნახული, გაგონილი და წინამორბედთაგან გადმოღებული მრავალნაირი მასალის მთლიანობაში მოცემის პირველი ცდაა. და ეს ცდა დაკავშირებულია მის ძირითად თემასთან, რომელიც ბერძნებსა და „ბარბაროსებს“ შორის ხანგრძლივი ბრძო-

ლის გაბუქებისაკენაა მიმართული. ამ თემის გაშლას თან სდევს ისეთი ამბების ჩართვა. რომლებიც მას ყურადსაღებად მიაჩნია და ამ მხრივ ჰეროდოტეს თხზულება თავისებური ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ენციკლოპედიაა.

როგორ უნდა შევაფასოთ ჰეროდოტე, როგორც ისტორიკოსი? ჯერ კიდევ ძველად ზოგიერთი ავტორი დამცირებით იხსენიებდა ჰეროდოტეს. არისტოტელე მას „მითოლოგს" უწოდებდა; სტრაბონი ხაზს უსვამდა მის სიყვარულს მითებისადმი და ჰომეროსი და ჰესიოდე უფრო მეტი ნდობის ღირსად მიაჩნდა, ვიდრე მისი მსგავსი ისტორიკოსები. განსაკუთრებით მტრულადაა მისადმი განწყობილი პლუტარქე. რომელმაც მთელი ტრაქტატი დასწერა „ჰეროდოტეს ბოროტგანმეობის შესახებ"[20]. ამ ტრაქტატში პლუტარქე ცდილობს ჰეროდოტე მიკერძოებაში ამხილოს და სიბოროტის უდიდეს გამოვლინებად მიაჩნია ის, რომ იგი თითქოს თავის გაკიცხვებსა და ცილისწამებას გულმართლობისა და გულჩვილობის ნიღაბით ფარავდეს. ძვ. წ. I საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი და ფილოლოგი დიონისე ჰალიკარნასელი კი პირიქით ჰეროდოტეს დიდად აფასებს და მას თუკიდიდეზე მაღლაც კი აყენებს.

ჩვენს დროშიც ჰეროდოტეს შეფასება სხვადასხვა მიდგომით განისაზღვრება: ზოგს იგი აინტერესებს როგორც ისტორიკოსი და არა როგორც ლეგენდების ავტორი და ცდილობს ამ მხრივ აღნიშნოს მისი ღირსებაც და ნაკლიც. არიან ისეთი მკვლევარებიც, რომელნიც გვარწმუნებენ, რომ ჰეროდოტეს ნაშრომი უფრო ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათისაა, ვიდრე ისტორიული. გვხვდება ისეთი მსჯელობაც. რომლის მიხედვით ჰეროდოტე საუკეთესო სტილისტია და მრავალი საყურადღებო ცნობები შემოგვინახა, მაგრამ მას ისტორიკოსს ვერ ვუწოდებთ ამ სიტყვის თანამედროვე გაგებითო. ზოგიერთი მკვლევარი გადაჭარბებული კრიტიკით უდგება ჰეროდოტეს, ზოგი კი ასე მსჯელობს: „ჰეროდოტეს ნაშრომი, მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის ერთი ფრიად მომხიბლავი ნაწარმოებია; ის მრავლად შეიცავს უაღრესად საყურადღებო გეოგრაფიულ, ეთნოლოგიურ და ისტორიულ ფაქტებს. მაგრამ მას რომ ისტორიული ნაშრომი ვუწოდოთ იმ მნიშვნელობით, როგორც ეს ჩვენ დღეს გვესმის, არასგზით არ შეიძლება" (ს. ლურიე).

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი დროის სპეციალურმა გამოკვლევებმა დაადასტურა ჰეროდოტეს ზოგიერთი ისეთი ისტორიული ცნობა, რომელიც გაურკვევლად თუ საეჭვოდ ითვლებოდა. ასე. მაგალითად, ჩვენი დროის არქეოლოგიურ აღმოჩენათა და სპეციალურ გამოკვლევათა საფუძველზე გამოირკვა, რომ ისტორიული თვალსაზრისით ძვირფასია ჰეროდოტეს ცნობები „ოლბიასა და

მის მომიჯნავე ადგილებზე, სკვითების ყოფაცხოვრებაზე. ბერძნებთან ვაჭრობაში მათ მონაწილეობაზე, დნეპრისპირეთის ბინადარი ტომების მიწათმოქმედებაზე, რიგი ცნობებისა მცირე აზიის ქალაქებისა და ეგეოსის ზღვის კუნძულების ისტორიიდან, ტავრებსა და კიმერიელებზე" (ВДИ, 1960 წ., I).

შევეხებით კიდევ ერთ ისტორიულ ამბავს. ცნობილია, რომ ძვ. წ. 522 წელს სპარსეთში თვითმარქვია მაგმა გაუმატამ გადატრიალება და სამეფო ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა. ჰეროდოტეს მიხედვით, თვითმარქვია მაგის მიერ სამეფო ძალაუფლების უზურპაცია მიჩნეული იყო სახელმწიფოში ხელისუფლების გადასვლაც სპარსელებისაგან ისევ მიდიელებთან. იმავე ჰეროდოტეს სიტყვით, მაგს თავისი სამეფოს ყველა ხალხისათვის დაუგზავნია განკარგულება სამხედრო სამსახურისა და გადასახადებისაგან სამი წლით თავისუფლების შესახებ და, როცა ის დაღუპულა, აზიაში თურმე ყველა სწუხდა, თვითონ სპარსელების გამოკლებით. „და როცა მიწყნარდა უწესრიგობა — განაგრძობს ჰეროდოტე — და გავიდა ხუთი დღე, იმათ ვინც აღსდგა მაგების წინააღმდეგ, იწყეს თათბირი ყველა საქმეზე და წარმოთქმული იყო სიტყვები, მართალია, ზოგიერთი ელინისათვის საეჭვო, მაგრამ მაინც იყვნენ გამოთქმული". ლაპარაკია იმ საუბარზე, რომელიც გამართულა მაგ გაუმატას მოკვლის შემდეგ წარჩინებულ სპარსელებს შორის სპარსეთის სახელმწიფოს მომავალი მოწყობის შესახებ (III, 80—82). საუბარში ოტანესი თურმე დემოკრატიულ სახელმწიფო წყობილებას იცავდა, მეგაბიზი — ოლიგარქიულს და დარიუსი — მონარქიულს. ამასთან ერთად თითოეულ მათგანს მოუტანია თავისი წინადადების დასაცავი და საწინააღმდეგო არგუმენტები.

იბადება კითხვა რა წყაროებით სარგებლობდა ჰეროდოტე სპარსელების სიტყვების გადმოცემისას? ამ კითხვაზე ისტორიულ მეცნიერებაში სამი ძირითადი პასუხი არსებობს: ა) ჰეროდოტემ ამ სიტყვების შინაარსი გადმოიღო ათენში მის დროს არსებული პოლიტიკური, ალბათ სოფისტური ლიტერატურიდან; ბ) ჰეროდოტემ თვითონ შეადგინა ეს სიტყვები, გავრცელებული პოლიტიკურ-თეორეტიული მსჯელობის საფუძველზე; გ) ჰეროდოტეს ცნობას ისტორიული საფუძველი აქვს და გადმოღებულია თუ არა უშუალოდ აღმოსავლეთიდან, ელინიზირებული სპარსელებისაგან მაინც. მართალია, ეს უკანასკნელი მოსაზრება სხვადასხვა ვარიაციით გამოთქვა საზღვარგარეთელი მეცნიერების გარკვეულმა ნაწილმა, მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ისტორიკოსებმა განსაზღვრეს ამ ცნობის რეალური აღმოსავლური საფუძვლის უფრო კონკრეტული დამამტკიცებელი საბუთები

და აღნიშნეს, რომ ჰეროდოტეს III წიგნში მოცემული მოთხრობა არ არის სხვა ბერძნული წყაროდან ნასესხები, ძირითადად ისტორიულ სინამდვილეს შეესაბამება და ამით ის დარიოსის დროის სპარსეთში პოლიტიკური ბრძოლის ისტორიის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს [20].

შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰეროდოტეს უნივერსალური ნაშრომი არა მარტო ბერძენ-სპარსელთა ომების, არამედ საერთოდ ძველი ისტორიის ღირსშესანიშნავი წყაროა. მასში მოცემული ცნობების კრიტიკული განხილვის საფუძველზე შეიძლება სრული გარკვევა მიიღოს არა ერთმა საეჭვოდ მიჩნეულმა ამბავმა. ჯერ კიდევ დიონისე ჰალიკარნასელი წერდა: „ჰეროდოტემ ისტორია უმაღლეს და უფრო მეტად ღირსეულ საფეხურზე აიყვანა: მან გადაწყვიტა დაეწერა არა ერთი სახელმწიფოს და არა ერთი ხალხის საქმეებზე, არამედ თავის გადმოცემაში შეაერთა მრავალრიცხოვანი და სხვადასხვანაირი მოთხრობები, ევროპული და აზიური“ [21]. ალბათ, მართალი იყო ძველი სამყაროს ცნობილი მოღვაწე და ორატორი ციცერონი, როცა ჰეროდოტეს „ისტორიის მამა“ უწოდა.

თუკიდიდე [22].

(დაახლოებით ძვ. წ. 460—396)

ჰეროდოტეს უმცროსი თანამედროვე იყო სახელგანთქმული ანტიკური ისტორიკოსი თუკიდიდე, რომელიც მთელი საბერძნეთის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდის — „პელოპონესის ომის“ (431—404) ავტორია. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ანტიკურმა ისტორიოგრაფიამ უდიდეს წარმატებას თუკიდიდეს შემოქმედებაში მიაღწია, არსებობს საფუძველი თუკიდიდე ისტორიული მეცნიერების ფუძემდებლად ჩავთვალოთ. მის მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომს დიდად აფასებდნენ როგორც თანამედროვე, ისე შემდგომი თაობების, არა მარტო ისტორიკოსები, არამედ პოეტებიც კი. ასე. მაგ., დიდი რუსი პოეტი ალექსანდრე პუშკინი ერთ თავის მიმართვაში აღნიშნავდა: „აღტაცებით ვკითხულობ თუკიდიდესო“.

თუკიდიდეს ნაშრომი იმითაც არის შესანიშნავი, რომ საბერძნეთის ისტორიის ფრიად საყურადღებო პერიოდის — პელოპონესის ომის აღწერის გარდა, მან ანტიკურ ისტორიოგრაფიაში შეიტანა და ისტორიას ნაყოფიერად მიუყენა ძველი დროის უდიდესი ექიმის ჰიპოკრატეს (დაახლოებით ძვ. წ. 460—377) სკოლის კვლევის მეთოდები და ტერმინოლოგია. თუკიდიდე ცხოვრობდა პერიკლეს ღირს-

შესანიშნავ ეპოქაში, თვითმხილველი და მონაწილე იყო პელოპონესის ომისა.

რა თქმა უნდა, თუკიდიდეს ცხოვრების გათვალისწინებით დაინტერესებული ყოფილან ჯერ კიდევ ძველი ავტორები, განსაკუთრებით ეგრეთწოდებული ალექსანდრიული განათლების ეპოქაში, მაგრამ მათ ნარკვევებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ხოლო მათი ერთგვარი გამოძახილი მოჩანს ორიოდე შემონახულ ბიოგრაფიაში. ერთი მათგანი ეკუთვნის მარცელინუსს. ზუსტად არ არის დადგენილი, თუ ვინ იყო ეს მარცელინუსი. ფიქრობენ, რომ ის ცხოვრობდა ჩვ. წ. V საუკუნეში, იყო რიტორი, ლექციებს უკითხავდა მოწაფეებს და უმთავრესად არჩევდა თუკიდიდეს სტილს. შესაძლოა, თავის ლექციებს მან წარუმძღვარა თვითონ თუკიდიდეს ბიოგრაფიაც (Vita Thucydidis). მარცელინუსის ბიოგრაფიის გარდა გვაქვს თუკიდიდეს ისტორიის ხელნაწერებში მოთავსებული მისი ანონიმური ბიოგრაფია და აგრეთვე ბიზანტიის ეპოქის (X ს.) ლექსიკოგრაფოსის სვიდას მიერ შედგენილი ბიოგრაფია, რომელიც ძირითადად მარცელინუსს ემყარება და ამდენად მოკლებულია რაიმე მნიშვნელობას [23].

ეს ბიოგრაფიები, სამწუხაროდ, თუკიდიდეს ცხოვრების შესახებ ფრიად მცირე დამაჯერებელ ცნობებს გვაწვდიან. თუმცა მათი ცნობების სრული უარყოფა მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მათზე დამყარებით შეუძლებელია ზუსტად დავადგინოთ ის, თუ როდის დაიბადა და გარდაიცვალა თუკიდიდე. მარცელინუსის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ: „დაამთავრა მან სიცოცხლე, როგორც ამბობენ, დაბადებიდან 50 წელზე მეტის მქონემ და ვერ დაასრულა თავისი ნაშრომი დაწესებულ ბოლომდეო“ (§ 34), ე. ი. ძვ. წ. 404 წლამდე. აქედან კი, თითქოს შეგვიძლია თუკიდიდეს დაბადების თარიღად დაახლოებით 454 წელი მივიჩნიოთ. მეორე მხრივ ჩვენ ხელთ არის ჩვ. წ. II საუკუნის რომაელი მწერლის ავლუს გელიუსის ცნობა (Noctes Atticae, XV, 23), რომლის მიხედვით პელოპონესის ომის დასაწყისში თუკიდიდე 40 წლისა უნდა ყოფილიყო. დადგენილია, რომ ასეთი ცნობა ავლუს გელიუსს ნერონის დროის (54—68) სწავლული მწერალი ქალის პამფილასგან აქვს ნასესხები [24]. თუ ამ ცნობას დავუჯერებთ, თუკიდიდეს დაბადების თარიღად ძვ. წ. 471 წელი უნდა მივიღოთ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სპეციალისტების აზრით, თვითონ პამფილას ცნობები ძვ. წ. II საუკუნის მწერლის აპოლოდორის ნაშრომს ემყარება. აპოლოდორეს ლექსად დაწერილ „ქრონიკაში“

კი ამის მიერ მოხსენებული პირების ცხოვრების სხვადასხვა დრო განსაზღვრულია ეგრეთწოდებული აკმეს მიხედვით, აკმე კი ადამიანის ძომწიფების, ტალანტისა და მოღვაწეობის უდიდესი განვითარების ხანას ნიშნავდა. ძველი ავტორები მათ მიმართ იტყოდნენ, რომ ისინი იმყოფებოდნენ სიცოცხლის აყვავებისა და გაფურჩქვნის ხანაში [25]. ასეთ ხანად 40 წელი იყო მიჩნეული. ცხადია, მსგავს ცნობებზე დამყარებით არ შეგვიძლია ზუსტად დავადგინოთ თუკიდიდეს როგორც დაბადების, ისე სიკვდილის თარიღები.

ჯერ კიდევ თუკიდიდეს ნაშრომის საუკეთესო გამომცემი და კომენტატორი კლასენი (Classen'ი) აღნიშნავდა: „თუმცა ჩვენ თუკიდიდეს რამდენიმე ძველი ბიოგრაფია მოგვეპოვება, მაგრამ მისი ცხოვრების ვითარების ყოველი სარწმუნო ცნობა თითქმის მხოლოდ თვითონ მის მიერ გზადაგზა გამოთქმულ ზოგიერთ ამბავს ემყარება". დაახლოებით ასეთსავე აზრს გამოთქვამს აკადემიკოსი ს. ჟ ე ბ ე ლ ი ო ვ ი. „თუკიდიდეს ძველი ბიოგრაფიების მეცნიერული ღირებულება — ამბობს იგი — ფრიად მცირეა და ხშირად ისინი, მგონი, იმდენად არ გვეხმარებიან, რამდენადაც გვიძნელებენ თუკიდიდეს ცხოვრების ნამდვილი სურათის დადგენას... ისეთი მდგომარეობის გამო, როცა თუკიდიდეს ბიოგრაფიის აღდგენისათვის თითქმის ერთადერთი სარწმუნო წყაროა ის მოკლე ავტობიოგრაფიული ხასიათის შენიშვნები, რომლებიც მის ნაშრომში მოიპოვება, ოცნებაც კი არ შეიძლება, რომ თუკიდიდეს ბიოგრაფია წარმოადგენდეს რაიმე დალაგებულს".

ნათქვამიდან გამომდინარე იძულებული ვართ განვიხილოთ ბიოგრაფიული ხასიათის ის მცირე ცნობები, რომლებიც თვითონ თუკიდიდეს თავის ნაშრომში აქვს მოტანილი.

თუკიდიდე ცხოვრობდა ძველი საბერძნეთისათვის უაღრესად რთულ პერიოდში. ამ დროს ათენში პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ახალგაზრდობაში იგი თვითმხილველი იყო პერიკლეს ბრწყინვალე ეპოქის, ხოლო სრული დავაჟკაცებისას თანადამხდური და მონაწილე პელოპონესის ომისა. „მე განვიცადე მთელი ომი — ამბობს თუკიდიდე — ხნოვანების წყალობით ვერკვეოდი მასში და ყურადღებით თვალს ვადევნებდიო" (V, 26, 4). მეორე ადგილას იგი გვარწმუნებს, რომ თავის ნაშრომის დაწერას იგი შეუდგა მაშინვე, „ომის წარმოქმნის მომენტიდან, იმაში დარწმუნებული, რომ ეს ომი იქნება ყველა წინანდელთაგან უფრო მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით ღირსშესანიშნავიო" (I, 1). მაშასადამე, პელოპონესის ომის დასაწყისში — ძვ. წ. 431 წელს თუკიდიდე საკმაოდ მოწიფული ყოფილა და შეეძლო შეგნებულად თვალყური ედევნებინა ომისა და მასთან დაკავშირებულ

მოვლენების მსვლელობისათვის. თუკიდიდეს ზემომოტანილი სიტყვებიდან მხოლოდ ასეთი დასკვნის გამოტანა შეგვიძლია, მაგრამ-ის, თუ ზუსტად რომელ წელს დაიბადა იგი, ჩვენთვის უცნობი რჩება.

სამაგიეროდ მისი დ ა ბ ა დ ე ბ ი ს ა დ გ ი ლ ი სავსებით გარკვეულია. თვითონ თუკიდიდე თავის თავს ათენელს უწოდებს: „თუკიდიდე ათენელმა დაწერა პელოპონესელებსა და ათენელებს შორის ომის ისტორიაო“ (I, 1). მეორე მხრივ, იგი თავს ოლორუსის შვილად წარმოგვიდგენს (IV, 104, 4) [26]. ვინ იყო ეს ოლორუსი? ყოველ შემთხვევაში ეს სახელი ბერძნულად არ ჟღერს.

მარცელინუსი გვარწმუნებს: „თუკიდიდე ისტორიკოსი იმ ოლორუსის ვაჟი იყო, რომელმაც ეს სახელი თრაკიის მეფის ოლორუსისაგან მიიღო; თუკიდიდეს დედას ჰეგესიპილე ეწოდებოდა. თავისი გვარი მას სახელგანთქმული სტრატეგოსებიდან გამოჰყავდა: მე მხედველობაში მყავან მილტიადე და კიმონიო“ (2). მილტიადესა და კიმონთან თუკიდიდეს ნათესაობა მტკიცედ არის მიღებული. ასე, მაგ., პლუტარქე კიმონის ბიოგრაფიაში გადმოგვცემს, რომ ისტორიკოსი თუკიდიდე კიმონს ნათესავად ერგებოდა, მამამისი ოლორუსი კი მისი წინაპრის სახელს ატარებდაო.

მარცელინუსის სიტყვით, თუკიდიდეს საფლავის ძეგლს ასეთი წარწერა ჰქონია: „თუკიდიდე, ოლორუსის ძე, ჰალიმუსელი“ (17). აქედან ჩანს, რომ მისი დაბადების ადგილი იყო ატიკური დემი ჰალიმუსი, რომელიც ლეონტიდის ფილეში შედიოდა.

როგორც ჩანს, თუკიდიდე ქონებრივად თავის დროზე შეძლებულთა კატეგორიას ეკუთვნოდა. მარცელინუსი გვარწმუნებს: „თუკიდიდემ ცოლად შეირთო თრაკიელი ქალი სკაპტეგილედან [27], ფრიად მდიდარი ადამიანი, რომელიც თრაკიაში ოქროს საბადოებს ფლობდაო“ (19). ამას თვითონ თუკიდიდეს სიტყვები გვიდასტურებს: „სპარტის სარდალმა ბრასიდასმა იცოდაო, რომ თუკიდიდეს ეკუთვნის ოქროს ბუდობების დამუშავება თრაკიის ამ ნაწილში და ამის წყალობით, ის მატერიკზე ფრიად გავლენიან ადამიანებში მნიშვნელობით სარგებლობსო“ (IV, 105, 1). მაშასადამე, თუკიდიდემ მემკვიდრეობით მიიღო თრაკიაში მდიდარი ოქროს საბადოების ექსპლოატაცია და ამ გარემოებას მისთვის ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მას გაძევების ხანაში შეეძლო შედარებით უზრუნველი ცხოვრება გაეტარებინა.

როგორი იყო თუკიდიდეს ახალგაზრდობის წლები? ამის შესახებ ძველი ავტორები ბუნდოვან და უმეტეს ნაწილად არაზუსტ ცნობებს გვაწვდიან. ასე, მაგ., მარცელინუსი გადმოგვცემს: „არსებობს კიდევ ერთი ასეთი ნაამბობი, თითქოს ერთხელ ჰეროდოტე საჯაროდ

კითხულობდა თავის ისტორიას და ამის დამსწრე თუკიდიდე კითხვის მოსმენისას ატირებულა. ამბობენ, ეს ჰეროდოტემ შეამჩნია და თუკიდიდეს მამას, ოლორუსს უთხრა: „ოლორუსო, შენი ვაჟის ბუნებას ცოდნა სწყურიაო“ (54). ეს ცნობა უფრო გამოგონილი ხასიათისაა, ვიდრე ნამდვილი ამბავი.

ანონიმური ბიოგრაფიის ავტორი გვარწმუნებს, თუკიდიდე ატიკის განთქმული ორატორის ანტიფონტეს მოწაფე იყო (2). ამას დადასტურებენ სხვა ძველი ავტორებიც. მარცელინუსი, მაგალითად, ამბობს: „უსმენდა თუკიდიდე ორატორ ანტიფონტეს, ორატორულ ხელოვნებაში შესანიშნავ კაცს“ (22). ძნელია დადასტურებით ვთქვათ, რომ თუკიდიდე ანტიფონტეს უშუალო მოწაფე იყო, მაგრამ იმის თქმა კი შეგვიძლია, რომ, როგორც მისი ნაშრომიდან ჩანს, იგი კარგად იცნობდა ანტიფონტეს, რამდენჯერმე იხსენიებს მას და დიდი ქებით იგონებს მის სახელს (განსაკუთრებით VIII, 68).

მარცელინუსი იმაშიც გვარწმუნებს, თითქოს თუკიდიდე უსმენდა სახელგანთქმულ ფილოსოფოს ანაქსაგორას (ძვ. წ. 500—428). „თუკიდიდე — ამბობს იგი — უსმენდა ფილოსოფოს ანაქსაგორას, რის გამო ცნობილი იყო უღმერთოდ... ვინაიდან განიმსჭვალა ანაქსაგორას შეხედულებით“ (22). მართალია, ძველი ავტორები ამ ფილოსოფოსის მოწაფეების დასახელებისას, თუკიდიდეს არ იხსენიებენ, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ თუკიდიდემ განიცადა ისეთი ცნობილი ფილოსოფოსის გავლენა, როგორიც ანაქსაგორა იყო.

ასეთია ბუნდოვანი და ხშირად შეთხზული ძველი ცნობები თუკიდიდეს ახალგაზრდობის შესახებ. სავსებით ბუნებრივია, რომ თუკიდიდე ახალგაზრდობიდანვე განიცდიდა ათენის ისტორიაში ყველაზე მეტად ბრწყინვალე ფურცლის, პერიკლეს ეპოქის მოაზროვნეთა და მოღვაწეთა გავლენას და გასაგებია ისიც, რომ ყოველივე ეს თავისებურ გამოძახილს იპოვიდა მის შემოქმედებაში.

თუკიდიდეს ბიოგრაფიისათვის უდავოდ მნიშვნელოვანია მისი ცნობა და აღწერილობა იმ საშინელი ჭირისა, რომელიც 430—29 წელს ატიკაში მძვინვარებდა და რომელმაც მრავალი ათენელი იმსხვერპლა: „ათენს ეს შავი ჭირი მოულოდნელად დაატყდა თავს და უწინარეს ყოვლისა პირეუსის მცხოვრებლებს მოედვა, რის გამო ათენელები ამბობდნენ, თითქოს პელოპონესელებმა ცისტერნები მოწამლესო; წყალსადენები კი იმ დროს პირეუსში ჯერ კიდევ არ არსებობდა. შემდეგში სენმა ზედა ქალაქსაც მიაღწია და ადამიანები უფრო მეტი რიცხვით იხოცებოდა... მე მოვუთხრობ მხოლოდ იმას, თუ როგორი იყო ეს სენი და მივუთითებ იმ სიმპტომებზე, რომელთა ნახვაზე, თუ ის ოდესმე განმეორდა, ყველას საშუალება ექნება... გამოიცნოს ის. ყოველივე ამაზე მივუთითებ, რადგანაც მე თვითონ

ვიღაცი ავად და პირადად ვაკვირდებოდი სხვებს, რომლებიც იმავე სენით იტანჯებოდნენო“ (II, 48). შემდეგ თუკიდიდე აგვიწერს ამ სენის სიმპტომებს (II, 49) და ამბობს: „ამ სენის ხასიათი რომ აღემატება ყოველგვარ აღწერას, სხვათა შორის ჩანს უკვე იქიდან, რომ იგი ყველას ისეთი ძალით გმირავდა, რომლისადმი წინააღმდეგობის გაწევა ადამიანის ბუნებას არ შეეძლო. და ეს სენი რომ რაღაც არაჩვეულებრივს წარმოადგენდა, უფრო ნათლად შემდეგიდან ჩანს: ყველა ფრინველი და ოთხფეხი, რომლებიც გვამებით იკვებებიან, — ბევრი გვამი დაუმარხავი რჩებოდა, — ან არ ეკარებოდნენ მათ, ან მათი გემოს გასინჯვის შემდეგ იღუპებოდნენ“ (II, 50. 1—2).

თუკიდიდე ხაზს უსვამს ატიკის მოსახლეობის ათენში თავმოყრას, ანტისანიტარულ პირობებს და განაგრძობს: „ათენელები შევიწროებული იყვნენ კიდევ ხალხის მინდვრებიდან ქალაქში თავმოყრით, განსაკუთრებით ახალმოსულები. ვინაიდან სახლები საკმარისი არ იყო და ზაფხულობით ისინი ჰაერდახშულ ქოხებში ცხოვრობდნენ, ამიტომ ისინი კვდებოდნენ სრულ უწესრიგობაში; მომაკვდავნი ერთიმეორეზე იწვნენ როგორც გვამები, ან ნახევრადმკვდრები მისოხავდნენ ქუჩებში და ყველა წყაროს მახლობლად, წყურვილით განაწამებნი. სალოცავები, სადაც ახალმოსულები კარვებში იყვნენ დაბანაკებული, სავსე იყო გვამებით, რადგან ადამიანები აქვე კვდებოდნენ“ (II, 52, 1—3).

ასეთი მრავალმხრივ სწორი და მართლისმთქმელი სურათის დახატვა მხოლოდ ღრმად დაკვირვებულ თვითმხილველს შეეძლო და მით უმეტეს იმას, ვინც თვითონ გადაიტანა ეს საშინელი სენი. მან იმსხვერპლა ათენის ცნობილი მოღვაწე პერიკლეც, ხოლო, სხვას რომ თავი დავანებოთ, 27 ათასი ჰოპლიტიდან შავმა ჭირმა 4400 კაცი გამოასალმა წუთისოფელს.

თუკიდიდე მოგვითხრობს ათენელებში ამ სენის გავრცელების ნიადაგზე წარმოქმნილ სასოწარკვეთილებაზე. შერყვნილ ზნეობასა და შერყეულ დისციპლინაზე: „არავის არ ჰქონდა იმედი, — ამბობს იგი, — რომ იცოცხლებს იმ დრომდე, როცა თავისი დანაშაულისათვის სასამართლოთი სასჯელს მოიხდის. გაცილებით უფრო მძიმე განაჩენად ითვლებოდა ის, რაც უკვე თავს დატრიალებდათ და ამიტომ ბუნებრივად ეჩვენებოდათ ადრე, ვიდრე ის შეემთხვეოდათ. სიცოცხლისაგან თუნდაც ზოგი რამით მაინც დამტკბარიყვნენ“ (II, 53, 4).

თუკიდიდეს ნაშრომის ეს ადგილი ერთი მხრივ იმას გვიმოწმებს, თუ რაოდენ კეთილსინდისიერი და მიუდგომელი მეთვალყურე იყო ის ძველი ათენის ისტორიის საბედისწერო ეპოქისა და მეორე მხრივ, რა ახლოს იდგა იგი ათენის ხელმძღვანელ წრეებთან და სახელმწიფო

მმართველობასთან. ზემოთ მოხსენებული მარცელინუსი კი გვარწმუნებს: „მიაღწია რა მოწიფულობის ასაკს, ისტორიკოსი მონაწილეობას არ იღებდა სახელმწიფოს მმართველობაში, არ ადიოდა ორატორის ტრიბუნაზე, მაგრამ ის იყო სტრატეგოსი“ (23). როგორც თვითონ თუკიდიდეს სიტყვებიდან ჩანს (IV, 104, 4), ძვ. წ. 424 წლის ბოლოს ის თრაკიის სანაპიროს სტრატეგოსად იყო არჩეული. სტრატეგოსად კი თუკიდიდეს ვერ აირჩევდნენ, თუ იგი სამხედრო საქმეს კარგად არ იცნობდა. კლისთენის დროიდან ირჩევდნენ ათ სტრატეგოსს (მთავარ სამხედრო უფროსებს), რომლებიც ერთ კოლეგიას შეადგენდნენ. ისინი წარმოადგენდნენ არა მარტო სახელმწიფოს ყველა სამხედრო ძალის მთავარ უფროსებს, არამედ მათ ხელში იყო საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობაც. აღსანიშნავია, რომ მარცელინუსის ზემოთ მოტანილი დებულების საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს ანონიმური ბიოგრაფიის ავტორი. „ვინაიდან თუკიდიდე,—ამბობს იგი,—გაწაფულ ორატორად ითვლებოდა, ამიტომ ისტორიის შედგენამდე სახელმწიფო საქმეებში მოღვაწეობას ეწეოდა“ (6). საერთოდ, სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ სტრატეგოსად არჩევამდე თუკიდიდე უდავოდ ღებულობდა მონაწილეობას, როგორც ათენის სახელმწიფოს ორგანოების საქმიანობაში, ისე ომის მსვლელობაში.

ცნობა 424 წელს თუკიდიდეს სტრატეგოსად არჩევის შესახებ ჩვენთვის ფრიად საგულისხმო იქნებოდა, რომ ზუსტად იყოს დადგენილი, თუ რა ხნოვანობითი ცენზი იყო საჭირო ათენში სტრატეგოსად არჩევისათვის. ამ საკითხის განსაზღვრა კი სადავოა.

რა ბედი ეწია თუკიდიდეს თრაკიის სანაპიროზე სტრატეგოსად ყოფნის დროს? როგორც ვიცით, პელოპონესის ომის პროცესში სპარტის სარდალმა ბრასიდასმა საომარი მოქმედება გადაიტანა ჩრდილოეთით, კერძოდ თრაკიის სანაპიროზე. როცა სტრიმონის ყურესთან ათენის მთავარი ქალაქის ამფიპოლისის კედლებთან დაბანაკდა, მისიანებმა მაცნე წარგზავნეს სტრატეგოს თუკიდიდესთან, „ოლორუსის შვილთან, რომელმაც დასწერა ეს ისტორია და რომელიც მაშინ თასოსის მახლობლად იმყოფებოდა... მოთხოვნით საჩქაროდ წასულიყო მათ დასახმარებლად. ამ ცნობასთან ერთად თუკიდიდე სწრაფად წავიდა 7 ხომალდით, რომლებიც მის განკარგულებაში იყო“ (IV, 4—5). ვინაიდან ათენის სტრატეგოსი თუკიდიდე თავის დროზე ვერ მივიდა ქ. ამფიპოლისის დასახმარებლად, ქალაქი ბრასიდას დანებდა. ათენელებისათვის ამ ფრიად სამწუხარო ამბავს ასე აგვიწერს თვითონ თუკიდიდე „ამფიპოლისის დაპყრობამ დიდად შეაშფოთა ათენელები, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ქალაქი მათ-

-თვის სასარგებლო იყო საბომალდო ტყის მიტანით და იმ ფულადი შემოსავლით, რომელსაც ისინი იქიდან იღებდნენ. აგრეთვე იმით. რომ ამ დრომდე ლაკედემონელებს იმ შემთხვევაში, როცა მათ თან თეაალიელები ახლდნენ, შეეძლოთ ათენელი მოკავშირეების წინააღმდეგ გაევლოთ მხოლოდ სტრიმონამდე". მაგრამ თუ ხიდი არ ჰქონდათ, მათ, არ შეეძლოთ შეეღწიათ უფრო ღრმად, ვინაიდან გადასასვლელის ზემოთ დიდ სივრცეზე მდებარეობდა მდინარისაგან შექმნილი ფართო ტბა" (IV, 108, 1).

იშვიათი ობიექტურობით აგვიწერს თუკიდიდე ამფიპოლისთან განცდილ მარცხს. ის მხოლოდ ფაქტებს მოგვითხრობს და, თითქოს, გვეუბნება, თქვენ თვითონ განსაჯეთ, რამდენად ვიყავი მე დამნაშავეო. მაგრამ ათენელებმა, როგორც ჩანს, მწვავედ განიცადეს ამფიპოლისის დაკარგვა, თუკიდიდე სტრატეგოსობიდან გადააყენეს, სამართალში მისცეს და სიცოცხლეულად გაძევება მიუსაჯეს. თვითონ თუკიდიდე გვარწმუნებს, რომ ის 20 წლის განმავლობაში გაძევებაში იმყოფებოდა (V, 26, 5). ამასთან ერთად ის გადმოგვცემს, რომ გაძევებაში ყოფნის დროს ახლოს იდგა ორივე მეომარი მხარის საქმეებთან, განსაკუთრებით კი „პელოპონესელების საქმეებთან" და ამ მოცლის დროს უფრო მეტი საშუალება მქონდა გამომერკვია ესა თუ ის ამბავიო (V, 26, 6). აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაძევების დროს თუკიდიდე მოგზაურობდა ერთგვარი სიფრთხილის დაცვით საომარ მოქმედებათა მხარეებში და თვალყურს ადევნებდა ომის მსვლელობას. ამაში გვარწმუნებს თვითონ თუკიდიდეს შემდეგი სიტყვები: „რაც შეეხება ომის მსვლელობაში მომხდარ ამბებს, მე ჩემი მიზანდასახულობის შესაბამისად არ ვთვლიდი საჭიროდ ჩამეწერა ყველაფერი, რასაც კი ვინმე მეტყოდა, ან რაც შემეძლო მევარაუდნა, არამედ ვწერდი იმ ამბებს, რომელთა მხილველიც მე თვითონ ვიყავ. აგრეთვე რაც სხვისგან მქონდა გაგონილი, მაგრამ მას შემდეგ, რაც, რამდენადაც შეიძლებოდა, ზუსტად გამოვიკვლევდი" (I, 22, 2). როდის და რა პირობებში იქნა გატარებული ის ამნისტია, რომელმაც თუკიდიდე გაძევებიდან დაბრუნა, ეს დღემდე საკამათოა. თუ მარცელინუსის ცნობას დავუჯერებთ, გამოდის, რომ „ათენელებმა სიცილიაზე დამარცხების შემდეგ ნება დართეს ყველა გაძევებულს, გარდა პისისტრატიდებისა, ათენში დაბრუნებულიყვნენ" (32). მაგრამ ეს ცნობა სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს. უფრო საფიქრებელია, რომ თუკიდიდეს დაბრუნება მოხდა 404 წლის ზავის დადებამდე. ჩვენთვის ცნობილია, რომ თუკიდიდეს მიზნად დაუსახავს, როგორც მისივე სიტყვებიდან ჩანს, დაეწერა პელოპონესის ომის მთლიანი ისტორია იმ დრომდე, „ვიდრე ლაკედემონელებმა და

მათმა მოკავშირეებმა ბოლო არ მოუღეს ათენელების ბატონობას და არ დაეუფლნენ გრძელ კედლებსა და პირეუსს. ამ მომენტამდე ომი გრძელდებოდა საერთოდ ოცდაშვიდი წელი" (V, 26, 1). ეს ომი კი 404 წელს დამთავრდა. მაშასადამე თუკიდიდეს ძვ. წ. IV საუკუნის პირველ წლებამდე უნდა ეცხოვრა. ხოლო, მეორე მხრივ, ცნობილია ისიც, რომ ამ ომის ისტორია მან მხოლოდ 411 წლამდე მიიტანა.

სად და რა პირობებში გარდაიცვალა თუკიდიდე, ჩვენთვის სარწმუნოდ ცნობილი არ არის. უდავოა მხოლოდ ის, რომ კიმონის საგვარეულო აკლდამაში აღმართული ყოფილა თუკიდიდეს საფლავის ძეგლი, რომელიც პლუტარქეს პირადად უნახავს, როგორც ამას იგი კიმონის ბიოგრაფიაში გადმოგვცემს (Kim., 4), ძეგლზე ყოფილა წარწერა: „თუკიდიდე, ოლორუსის ვაჟი, ჰალიმუსელი აქ განისვენებს" [30].

ასეთია ზოგადად ის ცნობები, რომლებიც ჩვენ თუკიდიდეს ცხოვრების შესახებ მოგვეპოვება.

როდესაც თუკიდიდეს შემოქმედების დახასიათებასა და შეფასებას შევუდგებით, საჭიროდ მიგვაჩნია პირველ რიგში განვიხილოთ საკითხი, თუ რა პოლიტიკური მიმართულებისა იყო იგი იმდროინდელი ათენის სინამდვილეში, ამ მხრივადაც ძირითადად ისევ მის ნაშრომს უნდა მივმართოთ. მის მიერ გამოთქმული აზრების მიხედვით, თუკიდიდე ზომიერი ოლიგარქიის მომხრედ და დემოკრატიისადმი უარყოფითად განწყობილ ადამიანად გვევლინება. ის რამდენჯერმე დაცინვით აღნიშნავს დემოსის განწყობილების ცვალებადობასა და მერყეობას. ასე, მაგალითად, როცა იგი პერიკლეს მოღვაწეობას ეხება, გვარწმუნებს, რომ სახელით მისი მმართველობა დემოკრატია იყო, საქმით კი ხელისუფლება პირველ მოქალაქეს ეკუთვნოდა და იქვე თვალცხადლივ გვისურათებს მისდამი მოქალაქეების განწყობილების მუდმივ მერყეობას (II, 65). მეორე ადგილას, თუკიდიდე ალაპარაკებს ცნობილ ათენელ მოღვაწეს ალკიბიადეს, რომლის „წარმოშობა, სიმდიდრე, ბრძოლებში მამაცობა, მეგობრებისა და ნათესავების სიმრავლე" უქმნიდა მას დიდ შესაძლებლობას სახელმწიფო თანამდებობათა დაუფლებაში, მაგრამ ყველაზე მეტად იგი მიისწრაფოდა ხალხში გავლენა თავისი სიტყვის მომხიბვლელობით მოეპოვებინა (Plut., Alc. 10). თუკიდიდეს გადმოცემით (VI, 89, 5—6), ანტიდემოკრატიულად განწყობილი ალკიბიადე ხაზს უსვამდა თურმე „დემოკრატიულ წყობილებისათვის ჩვეულ თავგასულობას, კიცხავდა დემოსის ბატონობას და დემოკრატიულ წყობას საერთოდ აღიარებულ სიგიჟეს" უწოდებდა.

განსაკუთრებით უარყოფითია თუკიდიდეს მიერ რადიკალური დემოკრატიის მეთაურების დახასიათება. ასე, მაგ., ათენის რადიკალური დემოკრატიის ცნობილ მეთაურს კლეონს ის ერთი მხრივ, „მოქალაქეთაგან ძალმომრეობისადმი ყველაზე მეტად მიდრეკილ" ადამიანად წარმოგვიდგენს, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნავს. რომ ეს თავხედი და ულმობელი პიროვნება, ხალხის უდიდესი ნდობით სარგებლობდა" (III, 36, 6). უაღრესად საყურადღებოა კლეონის შეხედულება მოკავშირეთადმი დამოკიდებულების საკითხზე, რაც თუკიდიდეს გარკვევით აქვს მოცემული (III, 34—40). ათენის სახალხო კრებაზე (ეკლესიაზე) წარმოთქმულ სიტყვაში კლეონი არწმუნებს დამსწრე მოქალაქეებს, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს სხვებზე ბატონობის უნარი არ შესწევს, „თქვენ ანგარიშს არ უწევთ იმას, — ეუბნება იგი კრებას, — რომ თქვენი ბატონობა ტირანიაა, რომ მოკავშირეებს თქვენდამი მტრული განზრახვები აქვთ და უხალისოდ ითმენენ თქვენს ბატონობას. ისინი გემორჩილებიან თქვენ არა იმიტომ, რომ სიკეთეს უშვრებით და ამით თქვენს თავს ავნებთ. არამედ უფრო იმიტომ, რომ თქვენ აღემატებით მათ ძლევამოსილებით და აქ არავითარ როლს არ თამაშობს მათი თქვენდამი განწყობილება".

კლეონი ომის პროცესში ათენისაგან განდგომილ მიტილენელების (მიტილენა — ქალაქი კუნძ. ლესბოსზე) სასტიკ დასჯას მოითხოვს, ყველა მიტილენელი მამაკაცის სიკვდილით დასჯას, ხოლო მათი ცოლებისა და ბავშვების მონად გაყიდვას. იგი ასე ათავებს სიტყვას: „სანიმუშოდ დასაჯეთ მიტილენელები და დანარჩენ მოკავშირეებს ნათელი მაგალითი უჩვენეთ: ყოველს, ვინც განდგება, თქვენ სიკვდილით დასჯითო" (III, 37—43). კლეონის წინადადების წინააღმდეგ და სიკვდილით დასჯის სისტემის მიზანშეუწონლობის დასასაბუთებლად სიტყვით გამოსულა დიოდოტე (III, 44—48). იგი კრების წევრებს უმტკიცებდა, არ აჩქარებულიყვნენ და მიტილენელების სიკვდილით დასჯა უარეყოთ. მისი მტკიცებით სიკვდილით დასჯა ვერ აღწევს თავის მიზანს და არსებითად ვერ სპობს ამა თუ იმ დანაშაულის წარმოშობის პირობებს, ამიტომ არ ვარგა სიკვდილით დასჯაზე დამყარება, როგორც მშვიდობიანობის საწინდარზე და დამღუპველი გადაწყვეტილების გამოტანა... „ის, ვინც მტრების შესახებ ბრძნულ გადაწყვეტილებას მიიღებს, იმაზე უფრო ძლევამოსილია, ვინც მათზე მიდის და უგუნური ძალით მოქმედებს". მართალია ათენელებს შეუცვლიათ პირვანდელი დადგენილება, მაგრამ სიკვდილით მაინც დაუსჯიათ ათასი მიტილენელი მამაკაცი" [30].

ათენის რადიკალური დემოკრატიის მეორე წარმომადგენლის ჰიპერბოლოსის შესახებ ძველი ლიტერატურული წყაროები საერთოდ უარყოფით დახასიათებას შეიცავენ. კერძოდ თუკიდიდე გადმოგვცემს მისი მოკვლის ამბავს 411 წელს კუნძულ სამოსზე და ახასიათებს მას „დაბალი მდგომარეობის ადამიანად, რომელიც ოსტრაკიზმოთი იქნა გაძევებული არა მისი ძლიერებისა და გავლენის შიშით, არამედ ვერაგობისათვის და იმისათვის, რომ არცხვენდა სახელმწიფოს“ (VIII, 73).

თუკიდიდეს სახელმწიფო წყობილების საუკეთესო ფორმად მიაჩნია ის ფრიად ზომიერი დემოკრატია, რომელიც ათენში 411 წელს დამყარდა ოთხასის ოლიგარქიის დამხობის შემდეგ და ხელისუფლება გადაეცა 5000 შეძლებულ მოქალაქეს. ეს ფორმა, მისი აზრით, ოლიგარქიისა და დემოკრატიის ზომიერ შეერთებას წარმოადგენს. განსაკუთრებულად მოსწონს მას ოლიგარქოსების ზომიერი ფრთის მეთაურის თერამენის მოქმედება და ფიქრობს, რომ თერამენის კონსტიტუციამ უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო გამოიყვანა იმ სავალალო მდგომარეობიდან, რომელშიც იგი იმყოფებოდა (VIII, 97).

მოკლედ: ხუთიათასის უაღრესად ზომიერი დემოკრატია წარმოადგენდა ძველი სამყაროს სახელგანთქმული ისტორიკოსის თუკიდიდეს პოლიტიკურ იდეას.

თუკიდიდეს მიზნად დაუსახავს, მთლიანად გადმოეცა იმ ომის ისტორია, რომელიც დღეს პელოპონესის ომის სახელითაა ცნობილი, მაგრამ ვერ დაუმთავრებია და 411 წელზე შეჩერებულა.

საკითხავია, რა სათაური მისცა თუკიდიდემ თავის ნაშრომს? როგორც ჩანს, რაიმე გარკვეული სათაური მას არ შეუქმნია. ნაშრომის დასაწყისშივე იგი გვეუბნება: „თუკიდიდე ათენელმა დაწერა ომის ისტორია პელოპონესელებსა და ათენელებს შორის“ [31]... ნაშრომის მეორე თავიც: „ომი ათენელებსა და პელოპონესელებს შორის... იწყება ქვემომოყვანილი ამბებით“ (II, 1, 1). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი ამ ომს პელოპონესელებსა და ათენელებს შორის ამტყდარი ომის საერთო სახელით გვაცნობს. მის ნაშრომში ვხვდებით მხოლოდ ასეთ გამოთქმებს: „ეს ომი (ξδε ὁ πόλεμος), „ამ ომში“ და ა. შ. [32]. თუკიდიდეს გადმოცემით, ათენელები ამ ომს უწოდებდნენ „დორიულს“. „დადგება დორიული ბრძოლა და მასთან შავი ჭირი“ (II, 54, 2), ხოლო პელოპონესელები — „ატიკურს“ (V, 28, 2).

პირველად მას პელოპონესის ომი უწოდა იულიუს ცეზარისა და ავგუსტუსის თანამედროვე ისტორიკოსმა დიოდორე სიცილიელმა (XII, 36), ხოლო პლუტარქემ ლიკურგოსის ბიოგრაფიაში (28) თუკიდიდეს ისტორიას „პელოპონესიაკა“ (πελοποννησιακά) უწოდა ე. ი.

„პელოპონესის ისტორია“, რომელიც, რასაკვირველია, პელოპონესის ომს შეიცავდა. ყოველივე ამის მიხედვით, თუკიდიდეს მიერ აღწერილი ომი დღეს პელოპონესის ომის სახელით არის ცნობილი. აკადემიკოსი ს. ყუბელიოვი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ზოგიერთ საუკეთესო ხელნაწერში, რომელშიც დაცულია თუკიდიდეს ნაშრომი, მას უბრალოდ „ისტორია“ (ξυγγραφή) ეწოდება და დაასკვნის: „ეს სათაური ჩვენც დავტოვეთ, თუმცა დარწმუნებული არა ვართ, რომ სწორედ ასე უწოდებდა თავის ნაშრომს თვითონ ავტორიო“ (გვ. XLVII).

თუკიდიდეს ნაშრომის ზოგადი შინაარსი ასეთია: თუკიდიდეს ისტორია 8 წიგნად არის დაყოფილი და ეს დაყოფა დღეს საერთოდ მიღებულია. პირველი წიგნი პელოპონესის ომის ისტორიის თავისებური შესავალია. მასში მოცემულია ბერძენი ხალხის ისტორიული განვითარების მოკლე, მაგრამ საერთო სურათი (I, 1—22). აქვეა განხილული პელოპონესის ომის მიზეზი და საბაბი (I, 23—88) და წარმოდგენილია ე. წ. პენტეკონტაეტიის * (ორმოცდაათწლეულის) ამბების მიმოხილვა (I, 89—118). მასშია აგრეთვე ექსკურსი პისისტრატეს ტირანიის, სპარტის მეფის პავსანიასისა და თემისთოკლეს შესახებ (I, 118—146). რასაკვირველია, ყველა ამ ამბების თანამედროვე თუკიდიდე ვერ იქნებოდა, მაგრამ მას ეს მიმოხილვა დიდი კეთილსინდისიერებით და გულმოდგინებით დაუწერია: „დაე იცოდნენ, რომ შემთხვევები — ამბობს იგი — ჩემ მიერ აღდგენილია უმეტესად უტყუარ ჩვენებათა მოხმარებით, იმდენად სრულად, რამდენადაც ამის ნებას მათი სიძველე გვაძლევდა“ (I, 21, 1).

ნაშრომის II—VIII წიგნები უკვე პელოპონესის ომის მსვლელობისადმია მიძღვნილი, წლების მიხედვით. მეხუთე წიგნი შეიცავს 421—415 წლების ამბების გადმოცემას და თითქოს მეექვსე და მეშვიდე წიგნების თავისებურ პროლოგს წარმოადგენს, რომელშიც მოთხრობილია სიცილიის ექსპედიციის შესახებ. სპეციალისტების აზრით, მეშვიდე წიგნი თავისი შესრულებით ანტიკური ისტორიული თხრობის საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს.

უკანასკნელ მერვე წიგნში აღწერილია დეკელეის ომის პირველი წლები და 411 წლის ოლიგარქიული გადატრიალება ათენში.

როგორ უყურებდა თავის ნაშრომს თვითონ თუკიდიდე? იგი ამას ასეთი სიტყვებით განსაზღვრავს: „შესაძლოა ჩემი მოთხრობა, რომლისათვისაც უცხოა არაკები, სმენისათვის უფრო ნაკლებ სასიამოვ-

---

* პენტეკონტაეტია — ეპოქა სპარსეთის მეფის ქსერქსეს ბალკანეთის საბერძნეთში დამარცხებიდან პელოპონესის ომის დაწყებამდე.

ნო გამოჩნდეს: სამაგიეროდ მას საკმაოდ სასარგებლოდ მიიჩნევს ყველა ის, ვინც მოისურვებს ნათელი წარმოდგენა იქონიოს წარსულზე... ჩემი ნაშრომი გამიზნულია იმდენად არა იმისაკენ, რომ მოცემულ მომენტში სიტყვიერი შეჯიბრების საგანი გახდეს, რამდენადაც იმისაკენ, რათა სამკვიდრებელი იქნას სამარადისოდ" (I, 22, 4) [33].

აღსანიშნავია, რომ ომის საერთო მსვლელობასთან დაკავშირებით თუკიდიდე გზადაგზა საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ზოგიერთი მხარისა და ტომის შესახებ. ასე, მაგ., როცა თუკიდიდე მოგვითხრობს თრაკიელი ტომის ოდრისების მეფის სიტალკეს გალაშქრებაზე მაკედონიის მეფის პერდიკას (453—413) წინააღმდეგ, იქვე გვიხასიათებს ოდრისების სამეფოს თრაკიაში და მაკედონიას მოხსენიებულ პერდიკას მეფობაში (II, 96—98). სიცილიასთან დაკავშირებულ ამბებთან ერთად თუკიდიდემ დაგვიტოვა, აგრეთვე, სიცილიის ეთნოგრაფიისა და სიცილიის უძველესი ისტორია.

ჩვენ ვიცით, რომ თვითონ თუკიდიდეს არ გამოუცია თავისი ნაშრომი. მაშ, ვინ გამოსცა ის? აკადემიკოს ს. ჟებელიოვს, რომელმაც ამ საკითხს ცალკე ნარკვევი მიუძღვნა, სარწმუნოდ მიაჩნია ჩვ. წ. III საუკუნის ერთი მწერლის ცნობა (Diog. Laërt., II. 56), რომ ის ქსენოფონტემ გამოსცა.

საკითხავია, თუ რა წყაროებით სარგებლობდა თუკიდიდე? უნდა გვახსოვდეს, რომ პირველ რიგში თუკიდიდე წერდა როგორც თვითმხილველი და თანადამხდური და ნახულსა და გაგონილს უმატებდა ნდობის ღირსი სხვა პირების ნაამბობსაც. როცა, მაგ., ის ეხება საბერძნეთის შორეულ წარსულს, კერძოდ პენტეკონტაეტიის ეპოქას, რომლის უშუალო თანამედროვე, რასაკვირველია, ის ვერ იქნებოდა. ყველაფერს აღწერს მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებით და გულმოდგინებით. იგი უდავოდ კარგად იცნობდა იმ დროის ისტორიულ ლიტერატურას, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ მიმართულებით საყურადღებოა, რომ თუკიდიდე იხსენიებს ლოგოგრაფოსებს, რომლებსაც, მისი სიტყვით, თავიანთი მოთხრობები შეუქმნიათ არა იმდენად ჭეშმარიტებისათვის ზრუნვაში, რამდენადაც სმენისათვის სასიამოვნო შთაბეჭდილებისათვის (I, 21). თუკიდიდე, აგრეთვე, ლოგოგრაფოსების უმცროსი თაობის წარმომადგენელ ჰელანიკეს იხსენიებს, რომელმაც პირველმა დაწერა ათენის სახელმწიფოს ამბების მატიანე უძველეს ეპოქიდან თავის დრომდე „თითქმის ის ჩემი წინამორბედთაგანიც, რომელიც ეხება ატიკის ისტორიაში ამ ამბებს, ჰელანიკე, გადმოგვცემს მათ მოკლედ და ქრონოლოგიის მხრივ არაზუსტად" (I, 97, 2).

თუკიდიდე კარგად იცნობდა დოკუმენტურ წყაროებსაც, წარწერებს, ხელშეკრულებათა ტექსტებს, ნივთიერ ძეგლებს. აღსანიშნავია ისიც, რომ თუკიდიდე პირდაპირ არ ასახელებს ჰეროდოტეს, მაგრამ უდავოდ ჩანს, რომ ახლოს იცნობდა მის ნაწარმოებს და ერთგვარი კრიტიკით უდგება ზოგიერთ იმ ცნობას, რომელიც ჰეროდოტეს ეკუთვნოდა, და მათში შესწორებები შეუტანია. რაც შეეხება სიცილიის ეთნოგრაფიასა და უძველეს ისტორიას, თუკიდიდეს წყაროდ ძვ. წ. V საუკუნის ისტორიკოსი ანტიოქოს სირაკუსელი უნდა მივიჩნიოთ.

ნათქვამი იყო, რომ თუკიდიდე ჰელანიკეს ქრონოლოგიის არასიზუსტეს უკიჟინებს. როგორია თვითონ თუკიდიდეს ქრონოლოგია? თუკიდიდემდე მატიანეები ჩვეულებრივად ყოველწლიური ამბების აღრიცხვით იწყებოდა და წლები ისეთი ქრონოლოგიური სისტემით აღინიშნებოდა, როცა თითოეული მათგანი ამა თუ იმ ეპონიმის * სახელს უკავშირდებოდა. ასეთი ქრონოლოგიური სისტემა თუკიდიდეს არ მოსწონს და თავის მხრივ სწორად მიაჩნია ამბების გადმოცემა „დროის პერიოდების" მიხედვით: „უფრო სწორია — ამბობს იგი — ამბების გამოკვლევა დროის პერიოდების მიხედვით და არ უნდა მიეცეს უპირატესობა იმ თანამდებობის თუ სხვა პირთა სახელებს, რომლებიც ამა თუ იმ საპატიო თანამდებობით არიან აღჭურვილი ყოველ სახელმწიფოში და რომელთა მიხედვით აღინიშნება წარსული ამბები. ეს გამოანგარიშება არაზუსტია, ვინაიდან ამა თუ იმ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ასეთი პირის სამსახურის დროსაწყისში, შუახანაში ან სხვა რომელიმე ვადაში" (V. 20, 2). რას წარმოადგენს თუკიდიდეს „დროის პერიოდები"? თუკიდიდე თავის წელთაღრიცხვას მზის წელიწადს უკავშირებს და მას ორ ნაწილად ჰყოფს — ზაფხულისა და ზამთრის პერიოდებად. მის ნაშრომში სამხედრო-მოქმედებათა განხილვა ზაფხულისა და ზამთრის კომპანიების მიხედვით არის დალაგებული. და უნდა ითქვას, რომ „თუკიდიდეს მიერ მიღებული ქრონოლოგიური სისტემის საფუძველი, თანამედროვე თვალსაზრისით ყველა მის ნაკლოვანებასთან ერთად, მაინც იმ დროის ისტორიულ ლიტერატურაში წინსვლის დიდ ნაბიჯს წარმოადგენდა" — აღნიშნავს ჟებელიოვი.

თუკიდიდეს ნაშრომისათვის დამახასიათებელია ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ც, რომლებსაც ის ათქმევინებს ზოგიერთ მოქმედ პირს. სიტყვებს თუკიდიდე მიმართავდა უმთავრესად იმ შემთხვევებში, როცა სურდა განემარტა სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების თვალსაზრისი და

---

* Eponimos— თანამდებობის პირი, რომლის სახელით აღინიშნებოდა წელ-

ვეკმები და დაესურათებინა შინაპოლიტიკური სიტუაცია. თვითონ თუკიდიდე აღნიშნავს: „რაც შეეხება სიტყვებს, რომლებიც ცალკეულ პირებს წარმოუთქვამთ ომისადმი მზადების ჟამს, ან უკვე თვით ომის დროს, ჩემთვის ძნელი იყო სრული სიზუსტით დახსომება ამ სიტყვებში ნათქვამისა, როგორც იმის, რაც მე თვითონ გავიგონე, აგრეთვე იმისა, რასაც სხვები გადმომცემდნენ სხვადასხვა მხრიდან. სიტყვები ჩემთან ისეა შედგენილი, როგორც ჩემის აზრით, ოითოეულ ორატორს, ყოველთვის მოცემული მომენტის გარემოებასთან შეფარდებით, შეეძლო ელაპარაკა საქმეთა ახლანდელ მდგომარეობაზე. ამასთან მე შესაძლებლად ახლოს ვითვალისწინებდი ნამდვილად ნათქვამის ზოგად აზრს“ (I, 22, 1). თუ თუკიდიდეს ნაშრომის თხრობითი ნაწილი შემთხვევათა გარეგანი მსვლელობის ნათელ სურათს გვიხატავს, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეების სიტყვებში ის საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ შინაგანი ისტორიის საერთო წარმოდგენაში. ამ მხრივ თუკიდიდეს მიერ გადმოცემული სიტყვები ორგანულად დაკავშირებულია მის თხრობით ნაწილთან.

თუკიდიდეს ნაშრომში გადმოცემულ სიტყვებიდან შევჩერდებით ისეთებზე, რომელთაც ჩვენი მიზნისათვის უდავო მნიშვნელობა აქვთ. სპარტაში მოწვეულ პირველ კრებაზე კორინთოს ელჩების სიტყვა (I, 68—71) სპარტელების და ათენელების საყურადღებო დახასიათებას შეიცავს. სპარტელებისადმი მიმართვაში მათ ათენელების მიმართ მთელი რიგი ბრალდებები წაუყენებიათ და სრული ერთგულება აღუთქვამთ, თუ ისინი საქმეს ენერგიულად მოკიდებდნენ ხელს. როცა ამ სიტყვის შინაარსი ლაკედემონში მყოფ ათენელების წარმომადგენლებს შეუტყვიათ, გადაუწყვეტიათ თავის მხრივ ლაკედემონელების წინაშე წარმოეთქვათ საპასუხო სიტყვა (I, 72—79). ისინი ამტკიცებდნენ თურმე, რომ ათენს უფლება აქვს იბატონოს იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელიც მას უკავია ბერძენთა პოლისებს შორის და ამართლებდნენ ათენელების საქციელს მოკავშირეების მიმართ.

განსაკუთრებით საყურადღებოა პერიკლეს შესანიშნავი სიტყვა ომში დაღუპული მეომრების სამარესთან (II, 35—46), თავისებური სამგლოვიარო სიტყვა, რომელიც მოსალოდნელ საბედისწერო განსაცდელთა წინაშე ათენის წყობილების აპოთეოზს წარმოადგენს. მეორე სიტყვა პერიკლეს წარმოუთქვამს მისი ავტორიტეტის შერყევის პირობებში თავისი პოლიტიკისა და სამხედრო გეგმის გასამართლებლად (I, 59—64). ჩვენ მოკლედ უკვე გავეცანით კლეონისა და დიოდოტეს სიტყვებს (III, 37—49), რომლებშიც მკაფიოდაა დასმული საკითხი სიკვდილით დასჯის და საერთოდ დაშინების პოლიტიკის მიზანშეწონილობის შესახებ.

ასეთ სიტყვებს უნდა მივაკუთნოთ აგრეთვე უაღრესად საყურადღებო დიალოგი ათენელებსა და მელოსის მცხოვრებლებს შორის. ძვ. წ. 416 წელს ათენელებმა ალყა შემოარტყეს ლაკონიკის ახალშენ მელოსს, რომელიც ამავე სახელის კუნძულზე მდებარეობდა. მელოსი სრულ ნეიტრალიტეტს იცავდა და ათენელებს არავითარი საბაბი არ ჰქონდათ მათზე თავდასხმისათვის. ათენელებმა მელოსი აიღეს 7 თვის გარემოცვის შემდეგ და შეუბრალებლად მოექცნენ მცხოვრებლებს: მამაკაცები ამოხოცეს, ხოლო ქალები და ბავშვები მონებად გაყიდეს. თუკიდიდეს მიერ გადმოცემულ დიალოგში (V, 85—105) ერთმანეთს უპირისპირდება ძალმომრეობა და სიმართლე. მელოსელები ამტკიცებენ თავის სიმართლესა და უდანაშაულობას, ათენელები კი მათ უძლიერესის უფლებაზე მიუთითებენ, როგორც ბუნების კანონზე, რომელიც მათ არ დაუწესებიათ და რომელიც მუდამ იარსებებს.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თუკიდიდემ თვითონ გადაიტანა პელოპონესის ომი. მონაწილეობდა მასში, რამდენიმე წლის განმავლობაში ფრიად ახლოს იდგა ისტორიულ შემთხვევებთან და გაძევების შემდეგაც ხვდებოდა ისეთ ადამიანებს, რომლებიც კარგად იცნობდნენ მიმდინარე ამბებს. თუკიდიდე „ისტორიის მამად“ წოდებულ ჰეროდოტეზე. თავის უფროს თანამედროვეზე მაღლა იდგა. მისთვის უცხო იყო ჰეროდოტეს დამახასიათებელი ზოგიერთი გულუბრყვილო მოსაზრება და სასწაულებისა და წინასწარმეტყველებათა რწმენა. მას ახასიათებდა საღი კრიტიკა და თავისუფალი იყო შეგნებული ტენდენციურობისაგან. მისი შემოქმედება ემყარებოდა ამბების ღრმა შესწავლასა და ანალიზს, დოკუმენტებს, ხელშეკრულებათა ტექსტებს, წარწერებსა და თვითმხილველთა და მცოდნე პირებისაგან მიღებულ და შემოწმებულ ცნობებს. მისი ნაშრომის ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა მოფიქრებული და შინაარსიანია. როგორც ისტორიკოსი, თუკიდიდე გამოირჩევა ადამიანისათვის მისაწვდომი ობიექტურობით. ის ცდილობს მიუდგომელობით და პირადი სიმპათია-ანტიპათიის შეძლებისდაგვარად უკუგდებით აგვიწეროს პელოპონესის ომთან დაკავშირებული ამბები. მისი მიუდგომლობა ნათლად ჩანს, მაგ., იმ ფაქტების გადმოცემაში. რომლებიც ამფიპოლისის ექსპედიციასთან დაკავშირებულ მის პირად მარცხს შეეხება; ასევე მიუდგომელია ორივე მებრძოლი მხარის დახასიათება და მათი მოქმედების შეფასება.

მოკლედ: თუკიდიდეს ობიექტურობა იმ რწმენიდან გამომდინარეობს, რომ ისტორიკოსი, ბუნებისმეტყველის მსგავსად, ისტორიული მოვლენების ყოველმხრივ მიუდგომელ შესწავლასა და

პროგნოზს უნდა ემსახურებოდეს. ეს გასაგებიცაა: თუკიდიდეს ცხოვრება და მოღვაწეობა პერიკლეს ბრწყინვალე ეპოქაში მოუხდა და იგი ნამდვილი შვილი იყო იმ განათლებისა, რომელსაც ათენი იმ საუკუნეში განიცდიდა. თუკიდიდე აღიზარდა ანაქსაგორასა და პროტაგოროს დროის რაციონალისტური და ჰუმანისტური იდეების სფეროში და, როგორც ისტორიკოსი და მოაზროვნე, მძლავრად განიცდიდა ამის თანამედროვე პუნებისმეტყველების განვითარების ზეგავლენას. „შედარებით დიდი ხანი არ არის, რაც გარკვეულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თუკიდიდეს შემოქმედებისათვის პუნებისმეტყველების, უწინარეს ყოვლისა ბიოლოგიის და მედიცინის წარმატებებს... თუკიდიდემ შეიტანა ისტორიოგრაფიის დარგში და ნაყოფიერად მიუყენა საზოგადოების ისტორიას ჰიპოკრატეს საექიმო ტერმინოლოგია და შესწავლის ხერხები. მაგრამ რა თქმა უნდა, უაზრობა იქნებოდა მისი დიდი ნაშრომის მხოლოდ ამ თვალსაზრისით განმარტების ცდები. ამ ნაშრომის თავისებურობა გამოიხატება ბუნებისმეტყველური ხერხებისა და ცნებების კომბინაციაში ღრმა ფილოსოფიურ-პოლიტიკურ აზრთან, საზოგადოებრივი განვითარებისა და „ადამიანის ბუნების“ თეორიებთან, ἀρχή-ს იდეასა და მისი შინაარსის გახსნასთან, ისტორიულ პირების დახასიათებაში სოფისტიკისა და რიტორიკის ხერხების განუმეორებელ გამოყენებასთან...“ [34].

თუკიდიდე ითვლება ისტორიული კრიტიკის ფუძემდებლად. როდესაც ის გვაძლევს საბერძნეთის შორეული წარსულის მოკლე მიმოხილვას, გვეუბნება: „აი, როგორი იყო ძველი დრო ჩემი გადმოკვლევით. თუმცა ძნელია დაყრდნობა მის შესახებ ჩვენებებზე, განუსინჯველად, როგორიც არ უნდა იყვნენ ისინი. საქმე იმაშია, რომ ადამიანები ერთიმეორისაგან გადმოიღებენ ხოლმე თქმულებებს წარსულზე, თუნდაც ეს მათ სამშობლოს ეხებოდეს, ერთნაირად ყოველგვარი კრიტიკის გარეშე... ადამიანთა უმრავლესობას ეგოდენ მცირედ აფიქრებს ჭეშმარიტების ძიება [35] და უფრო ხალისით იღებს მზა აზრებს“ (I, 20).

იმ ამბების შესახებ, რომლის თანამედროვეც თუკიდიდე ყოფილა, ის გარკვევით გვეუბნება, რომ არ ენდობოდა პირველი შეხვედრილი პირისაგან გადმოცემულ ამბებს, აღწერდა მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, რომელთა თვითმხილველი იყო, იზიარებდა სხვებისაგან მოწოდებულ ცნობებს მხოლოდ თითოეული ფაქტის სრული შემოწმების შემდეგ. ძიება ამ მხრივ ძნელი ყოფილა, ვინაიდან ერთსა და იმავე შემთხვევაზე მნახველნი ისე სხვადასხვანაირად მოუთხრობდნენ, როგორც თითოეულს შეეძლო მებრძოლი მხარეებისადმი თანაგრძნობისა და მეხსიერების მიხედვით (I, 22). ამგვარად, თუკიდიდე

პირველი სვამს ანტიკურ ისტორიოგრაფიაში წყაროების შემოწმებისა და თვითმხილველების მიმართაც ანტიპათია-სიმპათიის საკითხის გარკვევის მოთხოვნილებას. თუკიდიდეს მოტანილი სიტყვები გვიჩვენებენ, თუ რა მაღლა აყენებს იგი ისტორიკოსის ამოცანას და ისტორიოგრაფიის ისეთ პირველ წარმომადგენლად გვევლინება, რომელიც ცდილობდა მისთვის ნამდვილად მეცნიერული ხასიათი მიეცა.

თუკიდიდე ერთმანეთისაგან განასხვავებს პელოპონესის ომის უშუალო საბაბს (კერკირის და პოტიდეას კონფლიქტები, მეგარის ფსეფიზმა) მისი ძირითადი მიზეზისაგან. რაში მდგომარეობდა, მისი სიტყვით, ეს ძირითადი მიზეზი? ომის ნამდვილი მიზეზი, მისი აზრით, იყო ის რომ „ათენელებმა თავისი გაძლიერებით ლაკედემონელებს შიში აღუძრეს და ამით აიძულეს ისინი დაეწყოთ ომი" (I, 23. 5). და, რომ ეჩვენებინა, თუ რატომ წარმოიქმნა ეს მტრობა, თუკიდიდე მოკლედ მოგვითხრობს ათენის ძლევამოსილების განვითარების ისტორიას პენტეკონტაეტიის ეპოქაში.

თუკიდიდეს ახასიათებს ისტორიულ მოვლენათა კანონზომიერების წარმოდგენა და იმის რწმენა, რომ მსგავსი მიზეზები და პირობები მსგავს შედეგებს იწვევს. მაგრამ ისტორიულ მოვლენათა განმარტებაში ის დიდ როლს ფსიქოლოგიურ მოტივებს მიაკუთვნებს. ცნობილია, რომ პელოპონესის ომის დროს მთელ საბერძნეთში მძვინვარებდა პოლიტიკური და სოციალური ბრძოლა. თუკიდიდე ამ ბრძოლის ამბებს ერთი მხრივ, მხოლოდ სამხედრო ისტორიასთან დაკავშირებით ეხება, ხოლო მეორე მხრივ, იგი წარმოდგენილი აქვს ბერძნების გაველურებისა და მორალური დონის დაქვეითების მაჩვენებლად. ამ მიმართულებით განსაკუთრებით საყურადღებოა მისი დასურათება და მსჯელობა ყუნძულ კერკირაზე მომხდარ სამოქალაქო ომის შესახებ.

თუკიდიდე მიუდგომელობით ცდილობს აგვიწეროს კერკირაზე დაწყებული სამოქალაქო ომის ეპიზოდები (III, 70—85). ის არ მალავს, რომ როცა კერკირაზე მწვავე ბრძოლის პროცესში დემოკრატებმა და ოლიგარქოსებმა მახლობელ მინდვრებში მაცნეები წარგზავნეს და მონებს, თავისუფლების აღთქმით თავიანთ მხარეზე მოუწოდეს, მათი უმრავლესობა დემოკრატებს მიემხრო (III, 73) და დემოკრატებმა გაიმარჯვეს. არ მალავს იგი ორივე მებრძოლი მხარის სისასტიკეს, ულმობლობასა და დაუნდობლობას და ყოველივე ამას ასე ახასიათებს: „ასეთ გამძვინვარებამდე მივიდა შინაბრძოლის შუღლი და მტრობა. ის მით უფრო საშინელი გამოჩნდა, რომ პირველად გამოვლინდა... ამგვარად, შინაომი სუფევდა საბერძნეთში... ადამიანთა უმეტესი ნაწილი უფრო ხალისით

ეოანხმება მათ მოხერხებული ბორორტმოქმედი უწოდონ, ვიდრე კეთილმოქმედი მიამიტი: უკანასკნელი სახელწოდების მათ რცხვენიათ, პირველით კი ამაყობენ". თუკიდიდეს სიტყვით დემოკრატიული პარტიის მესვეურები უპირატესობას ხალხის პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობას აკუთვნებდნენ, მოპირდაპირეები კი — არისტოკრატიის ზომიერ მმართველობას, მაგრამ ერთიც და მეორეც „სინიდისს არაფრად აგდებდნენ და, გარეგნულად საპატიო მოსაზრების მოხმარებით, აიძულებდნენ მათზე უფრო ხმამაღლა ელაპარაკათ იმათ. ვინც ახერხებდა სამარცხვინო გზით რაიმე მიზნის მიღწევას. ორივე მხარე სპობდა უპარტიო მოქალაქეებს ან იმიტომ, რომ ისინი მათგან მოთხოვნილ დახმარებას არ უწევდნენ, ანდა იმიტომ, რომ შურს აღუძრავდნენ თავისი არსებობით".

ამგვარად, შინაბრძოლის გამო ყოველნაირი სახის ზნეობრივი დაცემა დამყარდა ელინებს შორის და ის გულმართლობა, რომელიც ყველაზე უფრო მეტად დამახასიათებელია კეთილშობილებისა, სასაცილოდ იქნა აგდებული და გაჰქრა (III, 82, 8; III, 83, 1—2). მკვლევარ კოხრეინის განმარტებით, თუკიდიდეს ნაშრომი ცდაა ძვ. წ. V საუკუნის ბერძნული ბიოლოგიისა და მედიცინის მეთოდების სოციალური ცხოვრების შესწავლაში გამოყენებისა: საზოგადოებაში, როგორც ცალკეულ ორგანიზმში, შეიძლება განვითარდეს ავადმყოფური სიმპტომები, სენი შეიძლება გაძლიერდეს და კრიზისამდე მივიდეს: ანარქიისა და დემორალიზაციის საერთო აფეთქებამდე [36]. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ კუნძულ კერკირაზე ამტყდარი სამოქალაქო ომის მიზეზებს (III, 84) თუკიდიდე სათანადო სიღრმით ვერ ჩასწვდა, თავისებურ ფსიქოლოგიურ მოტივებზე დამყარებით ადამიანის დანაშაულებრივ ბუნებაზე ჩივილით დაკმაყოფილდა და საერთოდ იმ დროის სოციალური ბრძოლის ამბებიც მხოლოდ სამხედრო და პოლიტიკურ ისტორიასთან დაკავშირებით წარმოგვიდგინა.

ყურადღების ღირსია ის, რომ საბერძნეთის ისტორიის უძველესი პერიოდის რეკონსტრუქციაში თუკიდიდეს მომარჯვებული აქვს ეგრეთწოდებული უკუქცევითი დასკვნის მეთოდი: აწმყოდან წარსულისაკენ, ნაცნობიდან უცნობისაკენ. ამ მიმართულებით იხილავს და ფართოდ იყენებს იგი „ეპოსის მოწმობას, ტოპოგრაფიულ ცნობებს, ნივთიერ ძეგლებს, კულტურის მხრივ უფრო მეტად ჩამორჩენილ ბერძენ ტომთა და „ბარბაროსების" ყოფაცხოვრებას, შემონახულ სახელწოდებებს, ჩვეულებებს, დღესასწაულებს და სარწმუნოებრივ წესებს, — ერთი სიტყვით იმას, რასაც ჩვენ ახლა კულტურულ გადანაშთებს ვუწოდებთ".

ისტორიულ ამბებს თუკიდიდე გადმოგვცემს ზებუნებრივი ძალებისა და ღვთაების უშუალო ჩარევის სრული უკუგდებით. მართალია, იგი არ უარყოფს ღმერთებს და ღვთაებრივ საწყისს, მაგრამ დაუშვებლად მიაჩნია ზებუნებრივი ძალებისა და ღვთაების უშუალო ჩარევა ადამიანთა საქმეების მსვლელობაში და ცდილობს ისტორიული პროცესის მამოძრავებელი ძალები ძირითადი ბუნებრივი მიზეზების ზეგავლენით გაგვიშუქოს.

კრიტიკულად უდგებოდა იგი სხვადასხვა ორაკულსა და წინათმოსწავებას. მართალია, ზოგჯერ იგი მათზე ლაპარაკობდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ მათი სჯეროდა, არამედ ხალხის განწყობილებაზე მათი გავლენის აღნიშვნისათვის. ორაკულის ზოგიერთი წარმონათქვამის განმარტებისადმი თუკიდიდე თავისებურ კრიტიკულ მიდგომას გვიჩვენებს. დავასახელებთ ორ მაგალითს. ომის დასაწყის პერიოდში პელოპონესელების შემოსევის დროს ატიკელები იძულებული იყვნენ თავშესაფრები ათენში მოეძებნათ და, ვინაიდან ზოგიერთს ადგილი არ ყოფნია, მათ დაუკავებიათ ეგრეთწოდებული პელარგიკონი, ათენის აკროპოლისის ძირში მდებარე, რომელზეც თურმე არავინ ბინადრობდა მისნის წყევლა-კრულვის გამო, რომელიც აცხადებდა: „უმჯობესია პელარგიკონი დაუმუშავებელი იქნესო". „მე მგონია, — ამბობს თუკიდიდე, — ორაკული შესრულდა იმის შებრუნებული აზრით, რასაც ვარაუდობდნენ, სახელდობრ: ქალაქს თავს დაატყდა უბედურება არა ამ ადგილის უკანონო დასახლების გამო, არამედ თვით საჭიროება პელარგიკონის დასახლებისა წარმოიქმნა ომის მიზეზით; ორაკულს ომი არ დაუსახელებია, წინასწარ გამოიცნო, რომ ეს ადგილი არასოდეს არ იქნებოდა დასახლებული ბედნიერ მდგომარეობაში" (II, 17).

მეორე მაგალითი გულისხმობს იმ მძიმე განწყობილებას, რომელმაც მოიცვა ათენელები ჭირის გავრცელების დროს. „უბედურებაში, რაც ბუნებრივია, — გადმოგვცემს თუკიდიდე, — მოიგონეს შემდეგი ტაეპი, რომელიც მოხუცების სიტყვით ძველი დროიდან ასე ეღერდა: „დადგება დორიული ომი და მასთან ერთად ჭირი". წარმოიქმნა დავა, რომ ამ ტაეპში ძველების მიერ დასახელებულია არა ჭირი (λοιμός), არამედ სიმშილი (λιμός). არსებულ ვითარებაში, ცხადია, გაიმარჯვა იმ აზრმა, რომ ტაეპში მოხსენებულია ჭირი, იმიტომ რომ ადამიანები თავის მოგონებებს უკავშირებდნენ განცდილ უბედურებას. მე კი მგონია, რომ თუ ოდესმე ატყდება სხვა დორიული ომი და მას სიმშილი დაემთხვევა, მაშინ ალბათ სწორედ ასე წაიკითხავენ ამ ტაეპს" (II, 54).

ასეთია ზოგად ხაზებში თუკიდიდეს, როგორც ისტორიკოსის შემოქმედება.

აღნიშნული იყო, რომ თუკიდიდეს პელოპონესის ისტორია მის მიერ ნავარაუდევ ბოლომდე არ აღუწერია და 411 წელზე შეჩერებულა. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ამ თემის დამუშავების დროს მას სიკვდილმა მოუსწრო და ძვ. წ. IV საუკუნის პირველ წლებში გარდაიცვალა.

ჩვენი დროის მკვლევარები მაღალ შეფასებას აძლევდნენ თუკიდიდეს შემოქმედებას და მას ანტიკური ისტორიოგრაფიის ბრწყინვალე წარმომადგენლად მიიჩნევენ. და უნდა ითქვას, რომ არც ერთ ანტიკურ ისტორიკოსთაგანს ისე არ უახლოვებდნენ თანამედროვე მკვლევარებს მეთოდისა და მასალისადმი კრიტიკული მიდგომის მხრივ, ისე არ აფასებდნენ განსაკუთრებული მიუდგომლობისათვის, მხატვრული თხრობისათვის, პოლიტიკური გაგებისა და ფილოსოფიურ იდეათა სიღრმისათვის და ისე ხშირად მაგალითად არ უყენებდნენ გვიანდელ თაობებს, როგორც თუკიდიდეს. შეხედულებამ თუკიდიდეზე, როგორც უდიდეს ისტორიკოს-რაციონალიზატორზე, რომელმაც განსჭვრიტა XIX—XX საუკუნეთა კრიტიკული ხერხები და ისტორიულ-სოციოლოგიური თეორიები, ნათელი და სრული გამოხატულება ჰპოვა XIX დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის მკვლევართა შრომებში [37].

ცნობილი მკვლევარი ე დ. მ ა ი ე რ ი მისებური გადაჭარბებით გვარწმუნებს, რომ „არის და იქნება ისტორიის მხოლოდ ერთი ტიპი და ისტორიული პრობლემების ერთი მეთოდი, — ის სრულყოფილი და აღუმატებელი, რომლის ნიმუში ათენელმა თუკიდიდემ წარმოგვიდგინა“ [38]. „თუ მიუდგომლად და ყოველმხრივ შევაფასებთ მას, — წერს აკად. ვ. ბ უ ზ ე ს კ უ ლ ი, — მისთვის ჩვეული ზომიერების დაცვით, და მხედველობაში მივიღებთ მისი ცხოვრების დროს და მეცნიერების მაშინდელ მდგომარეობას, საერთოდ ის დარჩება... ერთ უდიდეს ისტორიკოსად და სარწმუნო წყაროდ იმდენად, რამდენადაც შეიძლება სარწმუნო იყოს ადამიანის ნაწარმოები“ [39]. ამასთან ერთად ბუზესკული გულისხმობდა, რომ თუკიდიდეში შეიძლება ვნახოთ ბევრი საერთო თანამედროვე ისტორიოგრაფოსებთან [40].

საყურადღებოა, რომ პროფ. მ. ხ ვ ო ს ტ ო ვ ი ა თავის დროზე ასეთი შეფასება მისცა თუკიდიდეს: მან განსჭვრიტა უახლესი ისტორიოგრაფიის ზოგიერთი ხერხი და მას ვაეგებოდა უკვე რეტროსპექტური მეთოდის მნიშვნელობაო [41].

აკად. ს. ჟებელიოვს თუკიდიდე მიაჩნია არა მხოლოდ დიდ ისტორიკოსად, არამედ ფრიად გამოჩენილ თავისებურ მწერალ-

სტილისტად. „ახლა უყვართ — წერს იგი · თუკიდიდე დაუპირისპირონ თანამედროვე ისტორიკოსებს და ეს დაპირისპირება მეტწილად სავსებით საფუძვლიანია“ [42].

მაგრამ არიან ისეთი მკვლევარებიც, რომლებიც ამცირებენ თუკიდიდეს, როგორც ისტორიკოსს. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს უახლესი დროიდან. 1907 წელს ინგლისელმა მკვლევარმა კ ო რ ნ ფ ო რ დ მ ა გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც მკვეთრად გაილაშქრა თუკიდიდეს წინააღმდეგ. განსაკუთრებით წინააღმდეგია იგი თუკიდიდეს შედარებისა თანამედროვე ისტორიოგრაფიასთან. მისი აზრით, უდიდესი კონტრასტი ანტიკურსა და ახალ ისტორიოგრაფიას შორის იმაში მდგომარეობს, რომ მაშინ, როდესაც ახალი დროის მეცნიერები ინსტიქტურად მოცული არიან საზოგადოებრივი პირობების, ეკონომიური და ტოპოლოგიური ფაქტორების, პოლიტიკური ძალებისა და ევოლუციის პროცესების ზეგავლენის შეუწყვეტელი ძიებით, ძველებს აინტერესებდათ ცალკეულ ადამიანთა და მთელ პერსონიფიცირებულ სახელმწიფოთა მხოლოდ გრძნობები, მოტივები და ხასიათები [43]. მისი სიტყვით, თუკიდიდეს მიერ მასალის დალაგება და დამუშავება მისი დროის მხატვრულ შემოქმედებასთან და, პირველ რიგში, ესქილესთანაა დაკავშირებული. თავის დროზე კორნფორდის მოსაზრებები მკაცრად გააკრიტიკა აკად. ვ. ბუზესკულმა: „მაგრამ არსებითად თუ თუკიდიდეს ნაშრომში — ამბობს იგი — იგრძნობოდა დრამა, ეს ავტორის სახვითი ტალანტის შედეგია, მით უმეტეს რომ თვითონ იმ ეპოქის შემთხვევები არაიშვიათად დრამატიზმით იყო აღსავსე. ხოლო ისეთ უკიდურესობამდე დაყვანა თუკიდიდესთან დრამატული ელემენტებისა, როგორც ამას Cornford-ი ჩადის, ნიშნავს ჭეშმარიტების ნაწილის უზომოდ გადიდებას და თუკიდიდეს ნაშრომის ძირითადი ხასიათისა და მასში ცნობილი მსოფლმხედველობის სავსებით დამახინჯებას“ [44].

კორნფორდთან შედარებით, თუკიდიდეს უფრო რადიკალურად უარყოფითი შეფასება წამოაყენა 1919 წელს გამოცემულ ნაშრომში ე. შ ვ ა რ ტ ც მ ა. მისი აზრით, თუკიდიდეს ნაშრომი შეიცავს არა მარტო დაუმთავრებელ, არამედ ავტორის მიერ დაუმუშავებელ მასალას და წარმოადგენს დაუსრულებელი მონახაზების კონგლომერატს [45]. სამაგიეროდ თუკიდიდეს მაღალი შეფასებაა მოცემული კ ო ხ რ ე ი ნ ი ს 1929 წლის ნარკვევში: „პელოპონესის ომის ისტორიის“ ავტორი მას მიაჩნია განათლების ეპოქის ნამდვილ შვილად, მოაზროვნედ, რომელიც ანაქსაგორას და პროტაგორას ეპოქის რაციონალისტურსა და ჰუმანისტურ ატმოსფეროში აღიზარდა; იგი იყო მეცნიერი, რომელიც მისი თანამედროვე ბუნებისმეტყველების ძლიერ ზეგავლენას განიცდიდა.

თუკიდიდე გენიალური მოაზროვნეა, რომელმაც ისარგებლა მისი თანამედროვე ბუნებისმეტყველურ-მეცნიერული ცოდნის მიღწევებით და მიუყენა ისინი ადამიანთა ცხოვრების ანალიზს, ის მეცნიერული ისტორიის შემოქმედია [40].

ამ დარგის დიდი სპეციალისტი განსვენებული აკადემიკოსი ვ ლ ა დ ი ს ლ ა ვ ბ უ ზ ე ს კ უ ლ ი საბოლოოდ ასე დაასკვნის: „მე აზრად არა მაქვს ამოვწურო საკითხი თუკიდიდესა და უახლეს ისტორიოგრაფიას შორის დამოკიდებულების შესახებ და არ შევჩერდები იმ განსაკუთრებულობებზე, რომლებიც არსებითი სახით განასხვავებენ ძველ ისტორიკოსს თანამედროვეთაგან... მე მინდოდა მხოლოდ რამდენიმე მაგალითზე მეჩვენებინა, თუ რამდენად ახლოს მივიდა ძველი დროის უდიდესი ისტორიკოსი იმ ამოცანებთან, ხერხებთან და შეხედულებებთან, რომლებიც XIX საუკუნის მეცნიერებამ წამოაყენა“ [47].

ქსენოფონტე

(დაახლოებით 430—355) [48]

ისტორიკოსი, მწერალი და პუბლიცისტი ქსენოფონტე ეკუთვნოდა მდიდარ ათენელ ოლიგარქოსებს, რომლებიც მტრულად იყვნენ გაწყობილი მონათმფლობელური დემოკრატიისადმი, ახალგაზრდობაში იგი მოწმე იყო ათენის სახელმწიფოში ანტიდემოკრატიული მოძრაობის გაძლიერებისა და ლაკონომანიის ფართოდ გავრცელებისა (საზოგადოების რეაქციულ ნაწილს სპარტა წარმოედგინა სახელმწიფო წყობილების იდეალად და მიძაბვის საუკეთესო ნიმუშად).

ერთ დროს ახალგაზრდა ქსენოფონტე ფილოსოფოს სოკრატეს უსმენდა და მის შეხედულებებს ეცნობოდა. 401 წელს მას მიუტოვებია ათენი და როგორც მოქირავნეს მონაწილეობა მიუღია სპარსეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტის კიროს უმცროსის ლაშქრობაში მეფე არტაქსერქსე მნემონის წინააღმდეგ. ამ ლაშქრობაში მან მიაღწია სპარსეთის მონარქიის შორეულ მხარეებს ბაბილონის მიდამოებამდე. კიროსის დაღუპვის შემდეგ ბერძენთა მოქირავნე ლაშქრის მეთაურები ვერაგულად იქნენ მოკლული და ქსენოფონტემ მთავარი როლი ითამაშა ბერძენთა ლაშქრის უკან დაბრუნებაში, მთელი მცირე აზიის გამოვლით, შავი ზღვის სამხრეთ სანაპირომდე. დაბრუნებისას თავის ლაშქარს მან საშუალება მისცა, შეერთებოდა სპარტელების ჯარს, რომელიც სპარსეთის სატრაპის ტისაფერნეს წინააღმდეგ მიდიოდა. თვითონ კი დაუახლოვდა სპარტის მეფეს აგესილაოსს და მოქირავნეთა ნაწილით სპარტის ჯარში შევიდა. ათენის

წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობისათვის ათენის მმართველობამ მას დაუსწრებლივ სიცოცხლეული გაძევება მიუსაჯა. როგორც მოღალატეს. ერთ დროს ქსენოფონტე პელოპონესში სპარტელების მიერ სკიდუნტში, ოლიმპიის მახლობლად, ნაჩუქარ მამულში ცხოვრობდა და სოფლის მეურნეობას, ნადირობას, ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა. როცა პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა და თებეს გაძლიერებით შეშფოთებულ ათენსა და სპარტას შორის დროებით დაახლოება მოხდა, ქსენოფონტეს გაძევების განაჩენი გააუქმეს და მას, უკვე ღრმად მოხუცს, ამნისტია გამოუცხადეს.

ქსენოფონტეს მთავარი ნაშრომი „საბერძნეთის ისტორია" 7 წიგნადაა (ძველი გაგებით) დაყოფილი. იწყება ის ძვ. წ. 411 წლის ამბების გადმოცემით და, ამ მხრივ, ქსენოფონტე თუკიდიდეს პირდაპირ გამგრძელებლად გვევლინება. ქსენოფონტე მიმოიხილავს პელოპონესის ომის უკანასკნელი რვა წლის ისტორიას 403 წლამდე, როცა ათენში დაამხეს ოცდაათის მმართველობა და აღადგინეს დემოკრატია. ქსენოფონტეს „ისტორია" მთავრდება 362 წლით, როცა არკადიის ქალაქ მანტინეასთან ბეოტიელებმა და მათმა მოკავშირეებმა დაამარცხეს სპარტელები. ქსენოფონტე ყოველთვის არ იცავს ისტორიულ პერსპექტივას, მის ნაშრომში ზოგი რამ მიჩქმალულია ანდა სრულებით არ არის მოხსენებული (მაგ., ათენის მეორე საზღვაო კავშირის დაარსება), ნათლად ჩანს მტრული განწყობილება თებესადმი და პირიქით გაზვიადებულია სპარტისადმი თანაგრძნობა და მისი მეფის აგესილაოსის როლი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქსენოფონტე „იმ დროის ლიტერატურაში რეაქციის ტიპიური და დარწმუნებული წარმომადგენელია. მისი იდეალია — წესრიგი და დისციპლინა, სამხედრო აღზრდა და სუბორდინაცია... ე. ი. სპარტაში გაბატონებული წყობილება, რომელიც მტკიცედ ფლობდა ამ თვისებებს ბოროტი დემოკრატიების საწინააღმდეგოდ" [49].

მართალია, ქსენოფონტე მშვენიერი სტილისტი იყო და ძველად მას „ატიკურ ფუტკარს" უწოდებდნენ კარგი ენისა და მოთხრობისათვის, მაგრამ „ერთადერთი გულწრფელი გრძნობა ამ ადამიანისა — დემოკრატიისადმი სიძულვილია; ამას გარდა იგი პროფესიონალი კონდოტიერია და მზად არის ემსახუროს ყველას, ვინც უნდა იყოს, იქნება ეს სპარსეთის მეფე კიროსი, თუ მისი კერპი — სპარტის მეფე აგესილაოსი. მას აქვს განსაკუთრებული ჭკუა და იშვიათი დიპლომატური ნიჭი და მართალს ამბობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს სასარგებლოა მისი საქმისათვის" (ს. ლურიე).

კიროს უმცროსის ექსპედიცია ქსენოფონტემ აღწერა თავის „ანაბაზისში" [50]. ქსენოფონტეს ის თემისტოგენე სირაკუსელის ფსევდონიმით გამოუცია. აკად. ბუზესკულის განმარტებით, ასე იმიტომ მოქ-

ცეულა, რომ უფრო თავისუფლად ელაპარაკნა თავის თავზე და თავის დამსახურებაზე: საქმე ისაა, რომ „ანაბაზისი“ არა მარტო თავისებური მემუარებია, არამედ აპოლოგიაცაა. პლუტარქე მიგვითითებს: „ქსენოფონტე საკუთარი ისტორიკოსი იყო, ვინაიდან მან აღწერა საკუთარი სარდლობა, წარმატებით დაგვირგვინებული. ეს თხრობა მან მიაწერა სირაკუსელ თემისტოგენეს და სხვას დაუთმო ამ ნაშრომის დაწერის სახელი, რათა მისი მოთხრობა, რომელიც განასახიერებდა თითქოს არა თვითონ ავტორს, არამედ სხვა პირს, უფრო სარწმუნოდ გამოჩენილიყო“ („ათენელების დიდების შესახებ“, 345 E).

მართალია, ქსენოფონტე ძირითადად სწორ ცნობებს გვაწვდის ამ ექსპედიციისა და მასში მონაწილეების შესახებ, მაგრამ იგი ზოგჯერ სათანადოდ ვერ ამჟღავნებს მოვლენების სიღრმეში ჩაწვდომის უნარს. ეს განსაკუთრებით ჩანს იქ, სადაც ლაპარაკია ბერძნებისათვის უცნობი და შორეული ქვეყნებისა და ხალხების შესახებ. მიუხედავად ამისა ჩვენთვის ძვირფასია ის მასალა, რომელიც ეხება მცირეაზიის ხალხთა ბინადრობასა და ყოფაცხოვრებას და განსაკუთრებით „ანაბაზისის“ IV და V წიგნები, რომლებშიც უხვად არის მოცემული ცნობები სამხრეთ საქართველოში და შავი ზღვის სანაპიროზე ბინადარ ქართველ ტომებზე.

განსაკუთრებული ტრაქტატები დაგვიტოვა ქსენოფონტემ მისთვის იდეალური სპარტის წყობილებაზე — „ა გ ე ს ი ლ ა ო ს ი“ და „ლ ა კ ე დ ე მ ო ნ ი ს პ ო ლ ი ტ ი ა“, რომელშიც საკმაო სისრულით აქვს აღწერილი სპარტელების სახელმწიფოს დამახასიათებელი თვისებები და ამ მხრივ საყურადღებო წყაროთაგანია.

ტრაქტატში „კიროპედია“ (კიროსის აღზრდა) მოცემულია სპარსეთის მეფის კიროს უფროსის პიროვნების იდეალიზაცია და მონარქიული იდეების პროპაგანდა. ტრაქტატი წარმოადგენს რაღაც თავისებურ „ისტორიულ-პოლიტიკურ ტენდენციურ რომანს“, რომელშიც ფაქტები უკიდურესობამდე დამახინჯებულია. საყურადღებოა ქსენოფონტეს ტრაქტატი — „მეურნეობაზე“, რომელიც შეიცავს მსჯელობას მეურნეობის წარმოების ყველაზე უფრო მიზანშეწონილ წესებზე და საყურადღებო ცნობებს ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის საბერძნეთის ეკონომიკის, სოციალური და ყოფაცხოვრებითი პირობების შესახებ. ტრაქტატი დიალოგის სახითაა დაწერილი და მთავარი მოსაუბრეა სოკრატე. ქსენოფონტეს მიაწერენ, აგრეთვე, ტრაქტატს ათენის „შემოსავალთა“ შესახებ. მასში ათენის ფინანსების მოწესრიგებაზეა საუბარი და გამოთქმულია მონათმფლობელის თვალსაზრისით ლავრეიონის მაღაროებში მონური შრომის უფრო რაციონალური გამოყენების მეთოდები, რომ ამით, მოკავში-

რეების გადაუტვირთავად, გადიდდეს სახელმწიფო შემოსავალი და მასში მოცემულია, აგრეთვე, საყურადღებო ცნობები მეტეკების მდგომარეობაზე, ვაჭრობაზე, ლავრიონის მაღაროების ექსპლოატაციის წესებსა და შემოსავალზე.

დავასახელებთ ქსენოფონტეს კიდევ ერთ ტრაქტატს — „მ ო გ ო ნ ე ბ ა ნ ი ს ო კ რ ა ტ ე ზ ე". ამ ტრაქტატის მიზანს წარმოადგენს ქსენოფონტეს მასწავლებლის, ფილოსოფოს სოკრატეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა. მასში წარმოდგენილია სოკრატეს მრავალი საუბარი და ამ მხრივ ის ფრიად საინტერესოა, როგორც თვითონ ფილოსოფიის, ისე მისი გარემოცვის დახასიათებისათვის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქსენოფონტე ღრმად ვერ ჩასწვდომია ვერც სოკრატეს ფილოსოფიურ მოძღვრებას და ვერც ასახული ამბების ისტორიულ მნიშვნელობას.

ფსევდო-ქსენოფონტეს „პოლიტიკა"

იმ გამწვავებულმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ბრძოლამ, რომელიც V—IV სს. ათენში მიმდინარეობდა, როგორც ჩანს, წარმოქმნა ერთგვარი პუბლიცისტური ნაწარმოებებიც. ასეთებს უნდა მივაკუთვნოთ უცნობი ავტორის პოლიტიკური ტრაქტატი — „ფსევდო-ქსენოფონტეს პოლიტია". მას ასე იმიტომ ეწოდება, რომ იგი აღმოაჩინეს ქსენოფონტეს ნაწერთა შორის. მაგრამ ამ ტრაქტატის შესწავლამ ცხადყო, რომ არც სტილით და არც შინაარსით ის ქსენოფონტეს ნაწარმოებად არ ჩაითვლება. მისი უცნობი ავტორი, ფიქრობენ, ათენელი იყო და ეს ნაშრომი, ალბათ, პელოპონესის ომის დასაწყისში დაიწერა. ანონიმური ტრაქტატის ავტორი ათენის მონათმფლობელური დემოკრატიის დარწმუნებული მტერი და ოლიგარქიის დიდი მომხრე ყოფილა. ტრაქტატი ასეთი სიტყვებით იწყება: „რაც ათენელების სახელმწიფო წყობილებას შეეხება, რაკი მათ წყობილების აწინდელი სახე აირჩიეს, მე მას არ ვიწონებო". შემდეგ იგი გვიზიარებს თავის მოსაზრებებს, თუ რატომ არ მოსწონს მას ათენის დემოკრატიული წყობილება, თურმე ძირითადად იმისათვის, რომ ათენში უბრალო ხალხი უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე „კეთილშობილნი", ხოლო მონები და მეტეკები თავაშვებული არიან. „ათენში ფრიად დიდია მონებისა და მეტეკების აღვირახსნილობა—ამბობს იგი — და არ შეიძლება აქ მონის ცემა და ის შენს წინ არც ჩამოდგებაო".

არისტოკრატ-მონათმფლობელ ავტორს მოსწონს სპარტის წყობილება და განსაკუთრებით კმაყოფილია იმით, რომ იქ მონები საკვებით ალაგმული არიანო. მაგრამ ამასთან ერთად იგი აღნიშნავს,

რომ ათენის დემოსი მის მიერ არჩეული გზის განხორციელებაში თანმიმდევრულად და მიზანშეწონილად მოქმედებს და, თუ დანარჩენი ბერძნები ფიქრობენ, თითქოს ათენელები ცდებიან და ტლანქ შეცდომებს უშვებენო. ეს უსაფუძვლოა, რაც განზრახული აქვს მას უნდოს თავის ტრაქტატში (I, 1). მოკლედ, უცნობი-ავტორი ცდილობს დაგვიხასიათოს ათენის დემოსის საქმიანობის მიზანშეწონილობა იმ გზის მიხედვით, რომელიც მას აურჩევია და რომელიც მას, რასაკვირველია, არ მოსწონს. ეს ტრაქტატი, მიუხედავად მისი ავტორია ტენდენციურობისა, კარგ მასალას გვაწოდებს ათენის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების შესწავლისათვის[51].

ძვ. წ. V საუკუნის ატიკური დრამა და კომედია

ძველი საბერძნეთის ისტორიის წყაროდ უნდა გამოვიყენოთ, აგრეთვე, ატიკური დრამა და კომედია. ცნობილია, რომ ძვ. წ. V საუკუნე ბერძნული დრამის აყვავების ხანაა. დიდი ტრაგიკოსების ესქილეს, სოფოკლეს და ევრიპიდეს ღირსშესანიშნავი ქმნილებები, მართალია, მითოლოგიურ სიუჟეტებზეა აგებული, მაგრამ მათში ცხად გამოძახილს ვგრძნობთ მათი თანამედროვე ისტორიული ეპოქისას. ე ს ქ ი ლ ე, მაგალითად, თავის ტრაგედიაში „სპარსელები" მხატვრულად აგვიწერს სალამინის ბრძოლას, რომლის უშუალო თანამონაწილე თვითონ იყო. ხოლო მის ტრაგედიაში — „ევმენიდები" მოჩანს იმ დროის პოლიტიკური ამბების, კერძოდ არეოპაგის რეფორმისათვის ბრძოლის გამოძახილი. ე ვ რ ი პ ი დ ე ს ტრაგედიებში კი გარკვევით იგრძნობა მისი დამოკიდებულება თავის ეპოქის ისტორიულ სინამდვილეში წამოჭრილი საჭირბოროტო საკითხებისადმი. საკმარისია მოვიგონოთ თუნდაც მისი ცნობილი ტრაგედია „მ ე დ ე ა".

დიდი ისტორიული ღირებულება აქვს ბერძნულ კომედიებს, კერძოდ მისი ბრწყინვალე წარმომადგენლის არისტოფანეს შემოქმედებას. ბევრი მისი კომედია დაწერილია პოლიტიკურ და სოციალურ თემებზე. მათში ცხადად გამოკრთის ძვ. წ. V საუკუნის ათენის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება, რადიკალური პროგრამის გარშემო სხვადასხვა დაჯგუფების გართულებული ბრძოლა, წინააღმდეგობანი ქალაქსა და სოფელს შორის, ომისა და ზავის საკითხები, ტრადიციული იდეოლოგიის კრიზისი, ისტორიული მოღვაწეების დახასიათება. ამ მხრივ არისტოფანეს კომედიები ფრიად საგულისხმო დამატებაა თუკიდიდესი. ვინაიდან არისტოფანე თავის კომედიებში განსაკუთრებით ესხმოდა თავს ათენის ქალაქის რადიკალური დემოკრატიის ლიდერებს, ამიტომ ზოგიერთ მკვლევარს ყალბად აქვს წარმოდგენილი მისი პოლიტიკური პოზიცია, თითქოს იგი

იყო უპრინციპო მჭირდავი და დემოკრატიის საერთოდ უარმყოფელი. მაგრამ არისტოფანე წვრილი და საშუალო შეძლების გლეხობის ინტერესებს გამოსახავდა და მათი განწყობილების მიხედვით ახასიათებდა ამა თუ იმ მოვლენას, განსაკუთრებით გახანგრძლივებულ პელოპონესის ომს და მისი დასრულებისა და ზავის დამყარებისადმი მისწრაფებას. ამ მხრივ ატიკური კომედია სრული თავისუფლებით სარგებლობდა. ზავისათვის ბრძოლითაა გამსჭვალული არისტოფანეს მწვავე პოლიტიკური კომედიები. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მაყურებლების წრეში განსაზღვრული განწყობილების შესაქმნელად კომედიების ავტორები არ ერიდებოდნენ ზოგიერთი კარიკატურული სურათების გამოყენებას[32].

პლატონი

(ძვ. წ. 427—374) [33]

ქსენოფონტეს თანამედროვე იყო სოკრატეს მეორე მოწაფე პლატონი, იდეალური ფილოსოფიური სისტემის შემქმნელი. წარმოშობით იგი როგორც მამის, ისე დედის მხრივ ათენის არისტოკრატიას ეკუთვნოდა. ერთი ძველი ცნობის თანახმად, პლატონისათვის დედის მხრივ პაპის პატივსაცემად არისტოკლე უწოდებიათ, ხოლო მეტსახელი — პლატონი მას მიუღია თავისი მძლავრი აგებულებისა და ფართო გულმკერდისათვის (πλατύς—განიერი). 8 წელი პლატონს სოკრატესთან მჭიდრო კავშირში გაუტარებია. სოკრატეს დასჯის შემდეგ კი მალე დაუტოვებია ათენი და რამდენიმე წლით მეგარაში წასულა. დიდი მოგზაურობის შემდეგ, ერთ დროს, პლატონი სირაკუზის ტირანის დიონისე უფროსის კარზე ცხოვრობდა და მისი ნათესავის, ახალგაზრდა დიონის აღმზრდელი ყოფილა. მაგრამ მალე მასთან უსიამოვნება მოსვლია და ათენში დაბრუნებულა. არსებობს გადმოცემა, თითქოს დიონისეს მეზღვაურთათვის მისი მოკვლა დაუვალებია, მაგრამ უკანასკნელთ უმჯობესად ჩაუთვლიათ იგი ეგინაზე მონად გაეყიდათ, ხოლო მონობიდან ერთ მის შეძლებულ მეგობართაგანს გამოუსყიდია.

ათენში დაბრუნების შემდეგ პლატონს საკუთარი სკოლა დაუარსებია, რომელსაც „აკადემია“ უწოდეს, ათენის მითური გმირის აკადემის სახელით, რომლის აკლდამა ამ სკოლის მახლობლად მდებარეობდა. ოცი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა პლატონი ამ სკოლას, რომელიც მრავლად იზიდავდა მსმენელებს. მაგრამ ძვ. წ. 368 წელს იგი კვლავ მიემგზავრება სიცილიაში, სადაც თავის ყოფილ მოწაფე დიონთან ერთად ცდილობს უხელმძღვანელოს დიონი-

სე უმცროსს სიცილიაში ასეთი „გონიერი სახელმწიფოს“ შექმნაში, რომლის გეგმა მან ჩამოაყალიბა თავის დიალოგში — „სახელმწიფო“. მაგრამ დიონისე უმცროსმა დიონი მალე გააძევა, პლატონი კი ათენში დაბრუნდა. შემდგომშიც უშედეგოდ უცდია პლატონს დიონის შერიგება დიონისესთან და საბოლოოდ დაბრუნებულა ათენში, სადაც 13 წლის შემდეგ გარდაცვლილა.

ძველი საბერძნეთის ცნობილ ფილოსოფოსად, პოეტად და პროზაიკოსად მიჩნეული პლატონი დიდი მოწინააღმდეგე იყო მონათმფლობელური დემოკრატიისა და სწამდა, რომ უკიდურესი დემოკრატია ათენა დაღუპვისაკენ მიაქანებს. თავის მხრივ მან წარმოგვიდგინა მისი აზრით საუკეთესო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების პროექტი და ამ მიმართულებით დაგვიტოვა ორი ტრაქტატი: „სახელმწიფო“ და „კანონები“. პირველში მან მოგვცა, იდეალური სახელმწიფოს პროექტი, რომელსაც დაუპირისპირა მის დროს ნამდვილად არსებული სახელმწიფო წყობილების ფორმები და ისინი „შემცდარებად“ მიიჩნია. ამავე დროს მან კონკრეტული მონაცემების საფუძველზე დაწვრილებით განიხილა ეს ფორმები, უმთავრესად ოლიგარქია და დემოკრატია და ამ მხრივ მრავალი საგულისხმიერო ისტორიული მითითებები მოგვცა.

ტრაქტატში პლატონი ანვითარებს სოკრატეს მოძღვრებიდან გამომდინარე იმ იდეებს, რომლის თანახმად სახელმწიფოს საუკეთესონი უნდა განაგებდნენ. პლატონის შეხედულებით, იდეალურ სახელმწიფოში „მმართველობის, წესრიგის დაცვისა და ყველა მოქალაქისათვის აუცილებელი ნივთიერი დოვლათის მოპოვების ფუნქციები სამ კლასს შორის უნდა ნაწილდებოდეს: 1. ფილოსოფოსებს, 2. მცველებსა თუ მეომრებს და 3. ხელოსნებსა და მიწათმოქმედებს შორის“. თავის დროზე ამის შესახებ კ. მარქსმა აღნიშნა: „რამდენადაც პლატონის რესპუბლიკაში შრომის დანაწილება სახელმწიფოს აგებულებისა ძირითად პრინციპად გვევლინება, ის წარმოადგენს მხოლოდ ეგვიპტური კასტური წყობილების ათენურ იდეალიზაციას“*.

მეორე დიალოგში — „კანონები“ პლატონი არა იმდენად იდეალურ სახელმწიფოს შექმნის საკითხს ეხება, რამდენადაც უკვე ისტორიულად წარმოქმნილი სახელმწიფოების გაუმჯობესების გეგმებს. აქ მას კიდევ მეტი კონკრეტული მონაცემები აქვს მოტანილი ისტორიული სინამდვილიდან, რასაც ჩვენი მიზნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ისტორიულ მასალას შეიცავს ნაწილობრივ პლატო-

* К. Маркс, Капитал, т. I, 1953, გვ. 374—375.

ნის სხვა თხზულებებიც. მკვლევართა დიდი ინტერესი გამოიწვია, სხვათა შორის, პლატონის მიერ ერთ თავის ტრაქტატში დასახელებულმა მითურმა სახელმწიფომ — ატლანტიდამ და მის გარშემო წარმოიქმნა მრავალი ჰიპოთეზი.

V—IV საუკუნეების ორატორები და რიტორები

ბერძენთა ორატორების სიტყვებში მრავლადაა გაფანტული მონაცემები, როგორც ისტორიულ ამბებზე, ისე სახელმწიფო დაწესებულებებზე, კანონებსა და ბერძენთა ჩვეულებებზე, ქონებრივსა და სოციალურ ვითარებაზე. ორატორულმა ხელოვნებამ განსაკუთრებულ განვითარებას ათენში მიაღწია.

ბერძენ-სპარსელთა ომების დამთავრების შემდეგ (ძვ. წ. 479 წ.) ათენში სწრაფად ვითარდებოდა დემოკრატიული წყობილება. არეოპაგს ჩამოერთვა სამოსამართლო ძალაუფლება და ჰელიეას (სახალხო სასამართლოს) გადაეცა. ეს კი ხელსაყრელი გახდა ორატორული ხელოვნების განვითარებისათვის. ხოლო ეფიალტესა და პერიკლეს რეფორმების შემდეგ ათენის ხალხმწიფოში მთავარ როლს თამაშობდა სახალხო კრება, ხუთასის საბჭო და სახალხო სასამართლო. პირველი კანონებს ამტკიცებდა, მეორე სახალხო კრებისათვის ამზადებდა განსახილველ საკითხებს, მესამე კი სამართლის საქმეებს უძღვებოდა. ყველა ამ დაწესებულებაში საქმეების გადაწყვეტა საჯარო განხილვის შედეგად ხდებოდა. განხილვა კი ხშირად ცხარე კამათს და ბრძოლას იწვევდა და ერთადერთი იარაღი ამ შეტაკებაში მოფიქრებული და დალაგებული სიტყვა იყო. სახალხო კრებაზე და ხუთასის საბჭოში საჭირო იყო დამსწრეთა დარწმუნება ნათქვამის სისწორეში და ამიტომ ჩვეულებრივად ორატორები გრძელ სიტყვებს წარმოთქვამდნენ ხოლმე. სასამართლოში გამოსვლისათვის კი მარტო ასეთი გრძელი სიტყვები საკმარისი არ იყო; ორატორსაეცილებლად ესაჭიროებოდა გამოეჩინა კამათის წარმოების უნარი. ამ ნიადაგზე სასამართლო გადაიქცა რიტორიკული მოსწრებულობის სკოლად და ხელი შეუწყო „სასამართლო" — (δικανική) მჭევრმეტყველების განვითარებას.

ათენის დემოკრატიის მეთაური პერიკლე გამოჩენილი ორატორი იყო. არსებობს მოსაზრება, რომ თუკიდიდემ შემოგვინახა მისი სამი დიდი სიტყვა. ცნობილი ორატორი ციცერონი კი გვარწმუნებს, რომ „პერიკლემდე არ არის არც ერთი ასო, რომელსაც რაიმე რიტორიკული სამკაული ჰქონდეს და ორატორის ნაწარმოებად გვეჩვენებოდეს" (Brut., 7, 27). შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ პერიკლესაგან დაწერილი სახით რაიმე ნაწარმოებებია დარჩენილი, მაგრამ

საბოლოო საბუთი ჩვენ არ მოგვეპოვება. პერიკლეს ორატორულ ნიჭს მაღალ შეფასებას აძლევს პლუტარქეც. მისი გადმოცემით, ის „ჭექდა და გრგვინავდა, როცა ხალხის წინაშე ლაპარაკობდა“, მაგრამ „ათაფეული დაწერილი, გარდა დადგენილებებისა მას არ დაუტოვებიაო“ (Pericl, VIII).

ჩვენამდე, არც ათენის რადიკალური დემოკრატიის მეთაურის კლეონის სიტყვებს მოუღწევია, რომელიც ათენში პერიკლეზე არა ნაკლებ პოპულარულ ორატორად ითვლებოდა. თუკიდიდეს, როგორც უკვე იყო ნათქვამი, მოჰყავს ერთი მისი სიტყვა (III, 37—41), რომელშიც ოვი ათენელებს ურჩევს, სიკვდილით დასაჯონ ამბოხებული მიტილენის ყველა მცხოვრები. პლუტარქე კი ნიკიასის ბიოგრაფიაში (VIII) მის შესახებ აღნიშნავს, რომ ხალხისადმი მიმართვის დროს „მან პირველმა იწყო ყვირილი, ლაბადის ტანიდან გადაგდება, ბარძაყებზე ხელის დარტყმა, სიტყვის დროს სირბილი და ამით სახელმწიფოს საქმეებისადმი მიდრეკილ ადამიანებს თვითნებობისა და ზრდილობის უპატივცემლობის მაგალითი მისცა....“

ათენში დემოკრატიული წყობილების განმტკიცებასთან ერთად ყოველი პოლიტიკური მოღვაწე ორატორიც უნდა ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით გაჩნდნენ როგორც პროფესიონალი ორატორები, ისე მჭევრმეტყველების მასწავლებლები — სოფისტები ან რიტორები. ყველა სოფისტი უნერგავდა მსმენელებს „მოხერხებული ლაპარაკის“ უნარს. მაგრამ ერთნი მათ რიტორიკის საერთო წესებს განუმარტავდნენ, მეორენი პოლიტიკურსა და სასამართლო სიტყვების შედგენასა და წარმოთქმას ასწავლიდნენ, მესამენი კამათის წარმოებას.

ისტორიული პირობების ზეგავლენით ათენში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სასამართლო მჭევრმეტყველებას: ეს დაკავშირებული იყო სასამართლო პროცესების სიმრავლესთან: ათენის სასამართლო არჩევდა არა მარტო ათენელ მოქალაქეთა შორის ამტყდარ დავას, არამედ იმ მოკავშირეების საქმეებსაც, რომელთა გასამართლება კანონით ათენში მიმდინარეობდა. ათენის სასამართლოში მოდავე მხარეები ვალდებული იყვნენ პირადად წამოეყენებინათ ბრალდებაც და თავიც დაეცვათ. მხოლოდ მცირეწლოვანთა და ქალების საქმეებში იყო ნებადართული წარმომადგენლის დაშვება. ასეთ თანაშემწე ორატორებს სინეგორები ეწოდებოდათ, ხოლო მათ სიტყვებს სინეგორია. ამ ნიადაგზე ათენში წარმოიქმნა ისეთი სპეციალობა, რომელსაც ჩვენ დროში ადვოკატობა ეწოდება. ხოლო უნდა გვაცნობდეს, რომ როგორც თანამედროვე სამართლის წარმოება განსხვავდება ათენურისაგან, ისე თანამედროვე ადვოკატურა ათენური ადვოკატურისაგან. რა თქმა უნდა, ბუნებრივად საჭირო გახდა იმ ადამიანების დახმარება, რომლებიც კარგად იცნობდნენ

კანონებსა და სახალხო დადგენილებებს. ამას გარდა მოდავეების მიერ სასამართლოში წარმოთქმული სიტყვები კარგად და დამახსოვრებლად უნდა ყოფილიყო წინასწარ შედგენილი, რომ შესაფერი შთაბეჭდილება მოეხდინათ, ამისათვის კი აუცილებელი გახდა ისეთი ადამიანების დახმარება, რომელთა შედარება შეიძლება თანამედროვე ადვოკატებთან. ესენი იყვნენ ლოგოგრაფები, ე. ი. „სიტყვების დამწერლები თუ შემდგენლები“.

როგორც პოლიტიკურ, ისე სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული სიტყვები ძველი საბერძნეთის ისტორიის ფრიად საყურადღებო მასალას წარმოადგენს. ელინისტურ ეპოქაში ძვ. წ. V—IV საუკუნეების მრავალრიცხოვან ორატორთაგან მხოლოდ ათი სცნეს საუკეთესო ორატორად და ასე წარმოიქმნა „ათი ატიკელი ორატორის კანონი“, რომელშიც შედიოდნენ ანტიფონტე, ანდოკიდე, ლისიასი, ისოკრატე, ლიკურგოსი, დემოსთენე, ესქინე, ჰიპერიდე და ორი სხვა.

ა ნ ტ ი ფ ო ნ ტ ე ს, როგორც ორატორის, მოღვაწეობა უნდა მივაკუთნოთ ძვ. წ. 421 და 411 წლებს. თუკიდიდე გადმოგვცემს (VIII, 68, 1), რომ მას „შეეძლო დახმარებოდა თითოეულს, ვისაც საქმე ჰქონდა სახალხო კრებაზე და მიმართავდა მას რჩევისათვის“. თავისი მიმართულებით იგი ოლიგარქიული პარტიის იმ შეურიგებელ წარმომადგენლებს ეკუთვნოდა, რომლებიც დემოკრატიისადმი ყოველგვარი დათმობის წინააღმდეგნი იყვნენ და პელოპონესის ომში სპარტასთან ზავის დამყარებას ცდილობდნენ. ანტიფონტე ოლიგარქიული პარტიის ლიდერი გახდა, მონაწილეობა მიიღო 411 წლის ანტიდემოკრატიულ გადატრიალებაში და ათენში „ოთხასის“ საბჭოს ხანმოკლე მმართველობის დროს ელჩებთან ერთად გაემგზავრა სპარტაში საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ მოსალაპარაკებლად, მაგრამ იმავე 411 წელს, „ოთხასის“ საბჭოს დამხობის შემდეგ, მას სამშობლოსადმი ღალატში დადეს ბრალი და სიკვდილით დასაჯეს, ატიკის ფარგლებში დამარხვის უფლების ჩამორთმევით. ანტიფონტე ატიკის ორატორთაგან პირველი იყო, რომელმაც თავისი სიტყვების გამოცემა დაიწყო. არსებობს ძველი ცნობები, რომ მან დააარსა ორატორული ხელოვნების სკოლა და თვითონ ასრულებდა რიტორიკის მასწავლებლის მოვალეობას. ათენში ოლიგარქიული პარტიის მოღვაწეობისა და „ოთხასის“ საბჭოს მმართველობის შესწავლის თვალსაზრისით ანტიფონტეს სიტყვებს უდავო ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

მეორე ორატორი ა ნ დ ო კ ი დ ე დაბადებით ათენის უწარჩინებულეს გვარს ეკუთვნოდა და ახალგაზრდობაშივე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სახელმწიფოს ცხოვრებაში. ძვ. წ. 415 წელს, რო-

ცა სიცილიის ექსპედიცია უნდა გამგზავრებულიყო, ათენში მოხდა ამბავი, რომელიც ანდოკიდესათვის საბედისწერო გახდა: ღამით ვიღაცებმა დაამტვრეს ჰერმეები, ე. ი. ღმერთ ჰერმესის ბიუსტები, რომლებიც ქუჩებზე, მოედნებზე, კერძო სახლებისა და საკურთხეველების შესასვლელებთან იდგნენ. ათენელები განგაშმა მოიცვა და ასეთ ქმედობაში წინასწარ განზრახულ შეთქმულებას ხედავდნენ. ბევრი დააპატიმრეს. მათ შორის ანდოკიდეც. ბოლო რომ მოეღო იმ აუტანელ პირობებისათვის, რომლებშიც დაპატიმრებულნი იმყოფებოდნენ, ანდოკიდემ უჩვენა, რომ ჰერმების შერყვნა ერთი ოლიგარქიული საიდუმლო საზოგადოების საქმე იყო. ანდოკიდეს მიერ დასახელებული პირებისაგან ნაწილი სიკვდილით დასჯეს, ხოლო გაქცეულებს დაუწერელად მიუსაჯეს სიკვდილი. ანდოკიდეს დაბეზღებისათვის დაუსჯელობა აღუთქვეს, მაგრამ იგი მაინც იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო. 403 წელს ოცდაათი ტირანის დამხობა შემდეგ გამოცემული ამნისტიით ის დაბრუნდა სამშობლოში და კვლავ იღებდა მონაწილეობას სახელმწიფოს მმართველობაში. კორინთოს ომის დროს (394—390) ათენელებმა იგი მოსალაპარაკებლად სპარტაში წარგზავნეს. მაგრამ მისმა მოლაპარაკებამ სპარტასთან ათენელები ვერ დააკმაყოფილა და იგი კვლავ გაძევეს და, ალბათ, გაძევებაში გარდაიცვალა. მისი სიტყვებიდან ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს: სიტყვას „თავის დაბრუნების შესახებ", რომელიც მან წარმოთქვამს 411 წელს, „ოთხასის" დამხობის შემდეგ; 399 წელს წარმოთქმულ სიტყვას „მისტერიების შესახებ", რომელშიც იგი თავს იმართლებდა ბიწიერებაში ბრალდებისაგან; და მესამე სიტყვა — „მშვიდობის შესახებ", რომელშიც ათენელებს სპარტასთან დაზავებას ურჩევდა.

მესამე ორატორის, მდიდარი მეტეკის ლ ი ს ი ა ს ი ს (დაახლოებით 458—372) სიტყვები კი მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის ძვ. წ. V საუკუნის დასასრულის და IV ს-ის დასაწყისის ამბების შესახებ. მისი ძმა ეგრეთწოდებული „ოცდაათი ტირანის" ბატონობის დროს გაუსამართლებლად სიკვდილით დაუსჯიათ და მისი ოჯახისათვის ქონება ჩამოურთმევიათ. მაშასადამე, ის ამ ამბების თანადამხდური ყოფილა და ამიტომ, როგორც „ოცდაათი ტირანის" მმართველობის, ისე ათენში დემოკრატიული წყობილების აღდგენის დახასიათებისათვის ლისიასის სიტყვებს უდავო მნიშვნელობა აქვთ.

ძვ. წ. IV საუკუნის, კერძოდ ფილიპე მაკედონელის ეპოქის ისტორიის მთავარ წყაროს წარმოადგენს ორატორების, ისოკრატეს, დემოსთენისა და ესქინეს ჩვენამდე მოღწეული სიტყვები.

საბერძნეთის ისტორიის ფრიად პასუხსაგებ პერიოდში მცხოვრები, ცნობილი მოღვაწე, ორატორი და პუბლიცისტი ი ს ო კ რ ა ტ ე

(436—338) ჯერ კიდევ მაკედონიის ამაღლებამდე ანვითარებდა ბერძნების გაერთიანების იდეას საერთო მტრის, სპარსეთის წინააღმდეგ, თუნდაც ეს გაერთიანება მაკედონიის ეგიდის ქვეშ მომხდარიყო. ამ მხრივ საყურადღებოა მისი სიტყვა „ფილიპე", საერთოდ მის სიტყვებში, უკეთ რომ ვთქვათ ტრაქტატებში, მოიძმის იმ დროის ბერძნების საზოგადოებრივი განწყობილება. თავისი მსოფლმხედველობით, ისოკრატე იმ ოლიგარქიულ დაჯგუფებას ეკუთვნოდა, რომელიც არსებული დემოკრატიული სისტემის წინააღმდეგი იყო. ისოკრატეს აზრით, ამ სისტემაში გაბატონებულია თავაშვებულობა, უკანონობა, თავხედობა და არ არიან უზრუნველყოფილი შეძლებული მოქალაქეები. სოციალური ბრძოლის უკეღმართობისაგან ხსნას იგი მონარქიული წესწყობილების დამყარებაში ხედავდა. მას სწამდა, რომ მაკედონიის მეფე გააერთიანებდა ბერძნებს, ბოლოს მოუღებდა შინაურ განხეთქილებასა და მთლიან შეტევას დაიწყებდა სპარსეთის მეფის წინააღმდეგ. აწმყოთი უკმაყოფილო ისოკრატე 380 წელს ბერძენთა საერთო კონგრესზე წარმოთქმულ სიტყვაში — „პანეგირიკოს" დიდი ქებით იგონებდა ათენის ძველ წყობილებასა და ყოფაცხოვრებას და, რაკი იგი უკვე შეცვლილი იყო მისთვის მიუღებელი დემოკრატიული სისტემით, იმედს მაკედონიაზე ამყარებდა. ისოკრატეს დიდი ინტერესით ეცნობოდნენ რრატორული ხელოვნების თეორეტიკოსები. არისტოტელე თავის რიტორიკულ შრომებში მუდამ სარგებლობდა ისოკრატეს თხზულებებიდან ამოღებული მაგალითებით. ციცერონი დიდად აფასებდა ისოკრატეს და მიუთითებდა იმაზე, რომ საბერძნეთის ბევრი ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მისი სკოლიდან გამოვიდა (de orat., II, 94).

მეორე მეთაური პრომაკედონური პარტიისა ათენში ე ს ქ ი ნ ე (ძვ. წ. 390—323), რომელიც დემოსთენეს დიდი მოწინააღმდეგე იყო, წარმოშობით მოქალაქეთა საშუალო წრეს ეკუთვნოდა. ის ჯერ ჯარში მსახურობდა და რამდენიმე ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. შემდეგ მსახიობად მუშაობდა და უფრო გვიან პოლიტიკურ მოღვაწეობას შეუდგა. თავდაპირველად ის „მშვიდობისა და წესრიგის" პარტიას უთანაგრძნობდა და ბერძნებს ფილიპეს წინააღმდეგ გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა. მაგრამ შემდგომ ფილიპეს უერთგულესი მიმდევარი და პრომაკედონური მიმართულების ერთ-ერთი ლიდერი გახდა. მის შესახებ ფართოდ იყო გავრცელებული ხმა, რომ იგი ფილიპეს მიერ იყო მოსყიდული.

პოლისური საბერძნეთის მაკედონიის სამეფოსთან ბრძოლის პერიოდისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა სახელგანთქმული ორატორის დ ე მ ო ს თ ე ნ ე ს (384—322) სიტყვები. იგი მდიდარი საჭურვლის ოსტატის შვილი იყო, მალე დაობლებულა. მეურვეებს

უსარგებლიათ მისი მცირეწლოვანებით და მამამისის დიდი ქონება მიუთვისებიათ. დავაკაცებულმა დემოსთენემ სასამართლოში წარმატებით დაამთავრა საქმე მეურვეების წინააღმდეგ და ნაწილი მიტაცებული ქონებისა მაინც დაიბრუნა. მეურვეების წინააღმდეგ სასამართლოში წარმოთქმულ სიტყვაში დემოსთენე საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ათენში მონათმფლობელური წარმოების განვითარებაზე. მოხსენებული აქვს მასში ტრაპეზები — მევახშეთა „ბანკები", კრედიტი და მამამისის ქონების ოდენობა (დემოსთენე, XXVII, 4—5, 9—11)[35].

დემოსთენე მალე სახელგანთქმული ორატორი გახდა და პირველად პოლიტიკური სიტყვით 354 წელს გამოვიდა. გამოდიოდა რა ანტიმაკედონური პოზიციებიდან, იგი მთელი თავისი მაღალი ორატორული ნიჭით იცავდა იმ აზრს, რომ ათენის სახელმწიფო გადარჩენოდა მაკედონიის უღელს და შეენარჩუნებია დამოუკიდებლობა მონათმფლობელური დემოკრატიის ფორმით. იგი განსაკუთრებით მაკედონიის მეფის ფილიპეს წინააღმდეგ ილაშქრებდა და სხვა უარყოფითი თვისებების აღნიშვნასთან ერთად ხაზს უსვამდა იმას, რომ იგი ბარბაროსია და არა ელინი. ამ მხრივ დიდად საყურადღებოა მისი „ფილიპიკა". ის ლაპარაკობდა როგორც მაკედონიასთან ბრძოლის თვითმხილველი და თანამონაწილე. ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ (323 წ.) დემოსთენე, რომელიც გაძევებაში იმყოფებოდა, ათენში დაბრუნდა. იგი უახლოეს მონაწილეობას იღებდა მაკედონიის წინააღმდეგ ეგრეთწოდებულ „ლამიის ომში", რომელიც ჯერ ათენელების წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ 322 წელს მათი სრული დამარცხებით დამთავრდა. მძიმე საზავო პირობებთან ერთად მაკედონელებმა წამქეზებელ დემოსთენეს გადაცემა მოითხოვეს. ის ათენიდან გაიქცა კვლავ და სახალხო კრებამ მას დაუსწრებლად სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. მდევრებით გარემოცულმა დემოსთენემ შხამი დალია და სიცოცხლეს გამოესალმა. გავიდა 42 წელი, ათენელებმა მას ბრინჯაოს ქანდაკება აღუმართეს შემდეგი წარწერით: „შენი სიმძლავრე, დემოსთენო, ისეთივე რომ ყოფილიყო, როგორიც გონება, ელადაში ძალაუფლების აღებას ვერ შესძლებდა მაკედონური პრესი", (მ. გ რ ა ბ ა რ-პ ა ს ს ე კ ი ს თარგმანი). ორატორების შესახებ სამართლიანად შენიშნა თავის დროზე აკად. ვ.ბუზესკულმა: უდავოდ დანდობა ორატორების და კერძოდ დემოსთენეს მოწმობაზე, რასაკვირველია, არ შეიძლება... „ჩვენ აქ გვაქვს უკიდურესად სუბიექტური შეფერვა. ორატორის განზრახვაში შედის მსმენელებზე, როგორათაც არ უნდა იყოს, გარკვეული შთაბეჭდილების მოხდენა, არაიშვიათად მოწინააღმდეგისათვის ჩირქის მოცხება და ის ყოველ საშუალებას ხმარობს, ოღონდ კი მის მიერ დასაცავ

საქმეს გამარჯვება მოუპოვოს. არ შეიძლება მაგ., ყველაფერი დავუჯეროთ დემოსთენეს, როცა ის ლაპარაკობს ესქინეზე, მის უპატიოსნებასა და გამყიდველობაზე, ანდა ფილიპეზე". საერთოდ, ორატორების სიტყვებში მოცემული მასალით სარგებლობის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი ხშირად ისტორიულ ამბებს სუბიექტური მიდგომით გვიშუქებენ და ამიტომ საჭიროა მათდამი სიფრთხილე, კრიტიკული შემოწმება და ანალიზი გამოვიყენოთ.

დემოსთენეს თანამოღვაწეები ჰიპერიდე და ლიკურგოსი

დემოსთენეს მსგავსად ჰ ი პ ე რ ი დ ე ც საშუალო შეძლების ოჯახიდან იყო გამოსული და ერთ დროს ისოკრატეს მოწაფედ ითვლებოდა. მაკედონელების მიერ მოსყიდული ფილოკრატეს წინააღმდეგ გამოსვლამ ჰიპერიდე ანტიმაკედონური პოლიტიკის მომხრეთა პირველ რიგებში წამოაყენა და დემოსთენესთან დააახლოვა. როცა ამფიკტიონებსა და დელოსს შორის განხეთქილება ჩამოვარდა დელოსის საკურთხევლის გამგეობის გარშემო, ჰიპერიდე ელჩად და ორატორად იქნა წარგზავნილი და თავის „დელოსის სიტყვაში" კარგად დაიცვა ათენის უფლებები, ხოლო, როცა ათენელებმა წარმატებით მოიგერიეს ფილიპეს შემოტევა, ჰიპერიდემ წამოაყენა საკითხი დემოსთენეს ოქროს გვირგვინით დაჯილდოების შესახებ, მისი პატრიოტული მოღვაწეობისათვის. მაკედონიის ოქრო ვერ იზიდავდა და გავლენას ვერ ახდენდა ჰიპერიდეს მოუსყიდველობაზე. „შეხედეთ არა იმას, უკმეხი ვარ თუ არა მე, არამედ იმას, რომ უკმეხი ვარ უსასყიდლოდ", უპასუხა მან ერთხელ ათენელებს, როცა ისინი მისი მწარე სიტყვებით იყვნენ გამწარებულნი. როცა ალექსანდრემ თებე გაანადგურა, მან მოითხოვა ათენის მთავარი მოღვაწეების, მათ შორის ჰიპერიდეს გაცემა.

ერთ დროს ჰიპერიდე დაშორდა დემოსთენეს და მისდამი მტრული პოზიცია დაიკავა, რადგან ეშვი შეეპარა, რომ იგი ალექსანდრემ მოისყიდა და ამით მან შეარცხვინა თავისი თავიც და თავისი თანამოღვაწენიც. დემოსთენეს გაქცევის შემდეგ ის სათაევში ჩაუდგა ათენელ პატრიოტებს. მან დიდი მონაწილეობა მიიღო ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ ელადაში მაკედონიის წინააღმდეგ ამტყდარ აჯანყებაში. ის წარგზავნილ იქნა პელოპონესში ბერძნების გაერთიანებული მოქმედების შესახებ მოსალაპარაკებლად, აქ შეხვდა დემოსთენეს და შეურიგდა მას. ათენისა და მოკავშირე ჯარების დამარცხების შემდეგ ჰიპერიდე ანტიმაკედონური პარტიის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად გაიქცა ათენიდან, მაგრამ ხელში ჩაუვარდა მაკედონელებს და სიკვდილით იქნა დასჯილი. არსებობს გადმოცემა,

თითქოს დასჯის წინ ჰიპერიდემ თვითონ მოიკვნიტა ენა, რომ არაფერი გაეცა.

ჰიპერიდეს „ეპიტაფიები" ანუ იმ ათენელი მეომრების საფლავზე წარმოთქმული სიტყვა, რომლებიც ძვ. წ. 322 წელს ლამიასთან დაიხოცნენ, ფოიად საინტერესოა როგორც ლიტერატურული, ისე ისტორიული თვალსაზრისით. ათენის ჯარის წინამძღოლი ლეოსთენე წარმოდგენილია ტროასა და ბერძენ-სპარსელთა ომების გმირთა წრეში. ყურადღების ღირსია აგრეთვე ის, რომ მასში ჰიპერიდე ალექსანდრე მაკედონელის მონარქიის გარკვეულ მოწინააღმდეგედ გვევლინება.

დემოსთენეს მეორე თანამოღვაწე, დემოკრატიის მომხრე, სოკრატეს მოწაფე ორატორი ლ ი კ ურ გ ო ს ი იყო. მას უმთავრესად შინაგანი პოლიტიკა აინტერესებდა. 343 წელს სხვებთან ერთად იგი პელოპონესში წარგზავნეს, რათა პელოპონესის სახელმწიფოები ფილიპესაგან ჩამოეშორებინათ. ქერონეას ბრძოლის შემდეგ ლიკურგოსი ათენის მოღვაწეთა შორის უფრო შესამჩნევ როლს თამაშობდა და ალექსანდრე მაკედონელი მის გაცემას მოითხოვდა. 338 წლიდან იგი განაგებდა ათენის ფინანსებს 12 წლის განმავლობაში. მან დიდად გამოასწორა მაკედონიასთან ომის გამო ძალზე შერყეული ათენის ფინანსები; იგი ზრუნავდა ათენის ხმელეთისა და ზღვის ძალების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე, ახალგაზრდობის აღზრდაზე. მის დროს შეასწორეს ქალაქის სიმაგრეები, დაამთავრეს აკროპოლისის სამხრეთ ფერდობზე დიონისეს თეატრი, აღმართეს ტრაგიკოსების ბრინჯაოს ქანდაკებები და სახელმწიფო არქივს გადასცეს დასაცავად ტრაგედიების შესწორებული ტექსტები. მოკლედ, ლიკურგოსმა დიდად პატიოსანი ადამიანის სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა ათენში და ხშირად მისი ერთი სიტყვა საკმარისი იყო სადავო საკითხების გადაწყვეტა–გარკვევისათვის.

ლიკურგოსის სიტყვებიდან ჩვენამდე მხოლოდ ლეოკრატეს წინააღმდეგ 331—330 წელს წარმოთქმულმა სიტყვამ მოაღწია. ლეოკრატე იყო ათენელი მოქალაქე, რომელიც, როგორც კი გაიგო ქერონეას ბრძოლის ამბავი, ჯერ კუნძულ როდოსზე გაიქცა და საშინელ ამბებს ავრცელებდა ათენისა და პირეუსის ბედის შესახებ, შემდეგ მეგარაში დასახლდა და კომერციას შეუდგა. ბოლოს მაინც ათენში დაბრუნდა, დარწმუნებული, რომ მისი საქციელი უკვე დავიწყებას მიეცა, მაგრამ ლიკურგოსმა მას სამშობლოსადმი ღალატში დადო ბრალი და ის სასჯელს მხოლოდ იმით გადაურჩა, რომ მსაჯულთა ხმები თანაბრად გაიყო.

როგორც დავინახეთ, ძვ. წ. IV საუკუნის ათენში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა მჭევრმეტყველებას და რიტორიკულმა მიმართულებამ თავისი გამოძახილი ჰპოვა არა მარტო ლიტერატურაში, არამედ ისტორიოგრაფიაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით ძლიერი იყო ორატორისა და პუბლიცისტის ისოკრატეს გავლენა, რომელმაც მთელი სკოლა შეჰქმნა. მისი მოწაფეები იყვნენ იმ დროის გამოჩენილი ისტორიკოსები ეფორე და თეოპომპე. მათგან მხოლოდ საყურადღებო ფრაგმენტებია შემონახული, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ მათზე, როგორც ისტორიკოსებზე, გარკვეული შეხედულება ვიქონიოთ[37].

ე ფ ო რ ე დაბადებით ეოლიდის (მცირე აზიის) ქ. კუმედან იყო. მას თემად აუღია „საბერძნეთის საერთო ისტორია"[37a]. დორიელთა გადმოსახლებიდან ძვ. წ. 340 წელს ფილიპე მაკედონელის მიერ პროპონტიდის ქალაქ პერინთის გარემოცვამდე. მისი ნაშრომი წარმოადგენს არა მხოლოდ რომელიმე გარკვეული ეპოქის, თუ ცალკეული ბერძენი ტომის ცხოვრების გაშუქებას, არამედ მთელი ბერძნული სამყაროს როგორც მეტროპოლიების, ისე ახალშენების თავგადასავალის გადმოცემას და ამიტომაც თავისებურად უნივერსალური ხასიათი აქვს; იგი დაყოფილი იყო 30 წიგნად და თითოეულს თავისი შესავალი ჰქონდა. მის თხზულებას როგორც თანამედროვე, ისე შემდგომი თაობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და საბერძნეთის ისტორიის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ თვლიდნენ. ისტორიული ამბების გადმოცემისას ეფორე სარგებლობდა, როგორც წინამორბედთა ნაშრომებით, ისე ეპიგრაფიკული მასალით და უკვე განმასხვავებელი ხაზი გაჰყავდა ლეგენდარულსა და ისტორიულ პერიოდებს შორის. იგი ავლენს რაციონალისტურ მიდგომას მითების განმარტებისადმი, თუმცა მათ სრულ უკუგდებას ვერ ახერხებს. ეფორე, როგორც ისტორიკოსი, ათენისადმი კეთილად განწყობილ ადამიანად გვევლინება. საყურადღებოა, რომ იგი ისტორიული კრიტიკის დარგში თითქოს სწორ თეორიულ მსჯელობას ანვითარებს, მაგრამ ხშირად ამას ვერ იცავს: მეტისმეტად დიდ როლს აკუთვნებს წვრილმან, პირადულ მიზეზებს, მაგ., პელოპონესის ომის წარმოქმნას იმით განმარტავს, თითქოს პერიკლე გაურბოდა გაწეული ხარჯების ანგარიშის ჩაბარებას და თავისი მეგობრების დაცვას ცდილობდა (fr., 119). „ეფორე არ იყო პრაქტიკული სახელმწიფო თუ სამხედრო მოღვაწე. იგი უფრო კაბინეტური სწავლული იყო"[38]. ეფორემ ბერძნულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა და გავლენა იქონია შემდგომი დროის ისტორიკოსების შემოქმედებაზე.

თეოპომპე ქიოსელს დაუწერია საბერძნეთის ისტორია ძვ. წ. 411 წლიდან 394 წლამდე და ამას გარდა ფილიპე მაკედონელის ისტორია. თეოპომპე, როგორც ისტორიკოსი, ათენისადმი მტრული განწყობილებით და პირიქით სპარტის წყობილებისადმი დიდი მიდრეკილებით გამოირჩეოდა. „ლაკონიზმი“ მას, ასე ვთქვათ, მამისაგან მოუღია მემკვიდრეობით და, როცა კუნძული ქიოსი ათენის მეორე საზღვაო კავშირს მიკედლებია, მამასთან ერთად, ჯერ კიდევ ბავშვს, გაძევების მძიმე პირობები განუცდია. როცა 45 წელი შესრულებია, ალექსანდრე მაკედონელის დახმარებით სამშობლოში დაბრუნებულა. მაგრამ ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ იგი კვლავ იძულებული გამხდარა მიეტოვებინა თავისი კუნძული. ასეთი ხშირი მოგზაურობის შედეგად მას უნახავს საბერძნეთის სხვადასხვა ადგილები, ყოფილა ეგვიპტეშიც. ათენში, კერძოდ, ის უსმენდა ისოკრატეს და თვითონაც სახელგანთქმული ორატორი გამხდარა. მას განსაკუთრებით უსახელებია თავი ჰალიკარნასის ტირანის მავსოლოს უმცროსის (377—353) ქვრივის მიერ მოწყობილ ორატორების შეჯიბრებაში მისი მიცვალებული ქმრისადმი საუკეთესო პანეგირიკის წარმოთქმისა.

თეოპომპე მიკერძოებული და ცხარე ტემპერამენტის ისტორიკოსი იყო. ჯერ კიდევ ძველად აღნიშნავდნენ მის ავენიანობას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას ძველადვე დიდი მონდომით და ყურადღებით კითხულობდნენ, განსაკუთრებით მოწონდათ მისი ისტორიის ის ნაწილი, სადაც ათენის დემაგოგებზეა ლაპარაკი. თეოპომპეს უყვარდა ანეკდოტებისა და ანეკდოტების ფართო გამოყენება და, როგორც ისტორიკოსს, მას ახასიათებდა ძლიერი პიროვნებების განდიდება და რწმენა, რომ ისინი ჰქმნიან ისტორიას. თეოპომპე ისტორიულ მოღვაწეებს უმთავრესად ზნეობრივი თვისებების მიხედვით ახასიათებდა.

ოქსირინხის ისტორიკოსი[30]

ძველი მწერლების ნამდვილი ტექსტების შედარებით მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე უშუალოდ. ეს ხელნაწერებია პაპირუსებზე. მათი დიდი უმეტესობა ეგვიპტის ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი. აღმოჩნდა, აგრეთვე, ისტორიული შინაარსის ფრაგმენტებიც. 1906 წელს ძველი ოქსირინხის ადგილას აღმოაჩინეს ისტორიული მოთხრობის ფრაგმენტი. ოქსირინხი კაიროს სამხრეთით მდებარეობდა, ლიბიის უდაბნოს საზღვარზე და ახლა მას ბეჰნესეჰ ეწოდება. ოქსირინხის „ჰელენიკა“ მოგვითხრობს საბერძნეთის ისტორიიდან 396—395 წლების ამბებს. ტექსტი დაწერილია პაპუსის მეორე მხარეზე და ნაწილობრივ კარგადაა დაცული, ზოგან კი საკმაოდ და-

ხიანებულია. ის შეიცავს საყურადღებო ცნობებს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობისა და ანტისპარტული განწყობილების შესახებ და ხსვათა შორის გვარწმუნებს, რომ სპარსელების ფული ხმარდებოდა არა იმდენად გამცვლურ მოსყიდვას, რამდენადაც სპარტის საწინააღმდეგოდ დიდი გამოსვლის მომზადების ორგანიზაციულ ღონისძიებებს (2,2—5). უდავოდ მნიშვნელოვანია ამ ფრაგმენტში ცნობები როდოსზე მომხდარ გადატრიალებაზე და განსაკუთრებით ბეოტიის კავშირის ორგანიზაციაზე; მასში აღწერილია ბეოტიაში არსებული წყობილება ძვ. წ. 446 წლიდან[60].

1934 წელს ოქსირინხის ნომის კომ აბუტეირში არქეოლოგიური გათხრების დროს იტალიელმა მეცნიერმა ბ რ ე ჩ ჩ ა მ აღმოაჩინა ისტორიული შინაარსის ახალი ფრაგმენტები, რომელთაც მკვლევარის დიდი ყურადღება მიიპყრეს. ეს მეორე დოკუმენტი 1949 წელს გამოსცა იტალიელმა სპეციალისტმა ბ ა რ ტ ო ლ ე ტ მ ა ასეთი სათაურით „ოქსირინხის ჰელლენიკას ახალი ფრაგმენტები“[61]. ასე იმიტომ უწოდეს, რომ გამომცემელის აზრით ის მრავალმხრივ მსგავსია სტილით და თხრობით წინათ ოქსირინხში აღმოჩენილი ტექსტისა და მის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს. ის მოგვითხრობს პელოპონესის ომის უკანასკნელ პერიოდზე და უმთავრესად საბერძნეთის ერთიმეორისადმი დაპირისპირებულ სახელმწიფოების ურთიერთობასა და შეტაკებებზე 410—407 წლებში. ასე გაფართოვდა უცნობი ავტორის ოქსირინხის ტექსტი, მაგრამ დღემდე საკამათოა, თუ ვინ უნდა ვაღიაროთ მის ავტორად. ერთი რამ კი უდავოა, სახელდობრ ის, რომ ამ ტექსტით უსარგებლია ეფორეს და დიოდორე სიცილიელსაც[62].

ტიმაიოს ტავრომენიონელი

ბერძნულ ისტორიოგრაფიაში რიტორიკულ მიმართულებასთან დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ სიცილიის ცნობილი ისტორიკოსი ტიმაიოსი, მამამისის მიერ დაარსებულ ქალაქ ტავრომენიონიდან (ძვ. წ. IV—III სს.)[63]. ახალგაზრდობაში მას დიდი მონაწილეობა მიუღია იმ პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელიც მაშინ სიცილიის კუნძულზე მიმდინარეობდა. ამ ბრძოლის პროცესში იგი სირაკუზის ტირანს აგათოკლეს სიცილიიდან გაუძევებია და მოგზაურობა დაუწყია. 50 წელი მან ათენში გაატარა. მისი „ისტორია“ სიცილიის, დასავლეთი ბერძნებისა და ნაწილობრივ კართაგოს ისტორიის მთავარი წყაროა. მისი შედგენისათვის მას ფართო მასალა გამოუყენებია. მის შრომაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვრცელ სიტყვებს, მაგრამ მისი ნაშრომი განსაკუთრებით საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მან ქრონოლოგიას საფუძვლად ოლიმპიურ ასპარეზობაზე გამარჯვებულ-

თა სია დაუდო და წელთაღრიცხვა ო ლ ი მ პ ი ა დ ე ბ ს დაუკავშირა. ეს სისტემა დიდხანს საერთოდ მიღებულად ითვლებოდა. მან ადგილობრივი ცალკეული სისტემები — წლების აღნიშვნა ეფორების, არქონტ-ეპონიმების და სხვათა მიხედვით, საერთო-ელინურ სისტემას — ოლიმპიადებს შეუფარდა.

არისტოტელის „ათენის პოლიტია“

ძველი სამყაროს დიდი მოაზროვნე არისტოტელე (484—322) დაიბადა ნახევარკუნძულ ქალკიდიკაზე სტაგირაში. მამამისი ნიკომაქოსი მაკედონიის მეფის კარის ექიმი იყო. სიცოცხლის უმეტესი ნაწილი მან ათენში გაატარა. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი უსმენდა ფილოსოფოს პლატონს და მის აკადემიაში ფართო განათლება მიიღო. 342 წელს იგი პელაში მიიწვიეს ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელად და მხოლოდ 335 წელს დაბრუნდა ათენში, სადაც დააარსა საკუთარი ფილოსოფიური სკოლა ლიკეიონი, რომელიც ცნობილია აგრეთვე „პერიპატეტიკოსების“ სახელით. ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ ათენში დიდად გაიზარდა ანტიმაკედონური მოძრაობა და არისტოტელე იძულებული გამხდარა გაქცეულიყო ევბეას ქალკიდაში და მალე გარდაიცვალა. არისტოტელეს ფილოსოფიურ-მეცნიერული მოღვაწეობა ენციკლოპედიური ხასიათისაა და ელინისტური პერიოდის წინა დროის მთელი ბერძნული აზროვნების მიღწევათა თავისებურ შეჯამებას წარმოადგენს. ფ. ენგელსი მას „ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა შორის ყველაზე მეტად ყოვლის შემცველ“ თავად გვიხასიათებს.

ეპოქა, რომელშიც არისტოტელე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, საბერძნეთში დიდი მღელვარების ხანა იყო, რომელიც ბერძენთა პოლისებზე მაკედონიის ჰეგემონიის დამყარებით დამთავრდა.

ამჟამად არისტოტელე გვაინტერესებს მისი ისტორიოგრაფიული დამსახურების თვალსაზრისით. მან დაგვიტოვა ისეთი თხზულებაც, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საბერძნეთის ძველი ისტორიის გარკვევისათვის. მხედველობაში გვაქვს უმთავრესად მისი „ათენის პოლიტია“. არისტოტელეს ეს ტრაქტატი აღმოჩენილ იქნა ეგვიპტის პაპირუსებს შორის წარსული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში და პირველად გამოიცა ლონდონში 1891 წელს ენგინონის მიერ, წინასიტყვაობით და კომენტარებით[85]. ტრაქტატს დასაწყისი აკლია და იწყება კილონის აჯანყების აღწერით და შეიცავს ათენის პოლიტიის ისტორიას ოცდაათის ბატონობის დამხობამდე და დემოკრატიის აღდგენამდე 403 წელს. შემდეგ კი მოცემულია ათენის სახელმწიფო წყობილების აღწერა იმ სახით, როგორითაც იგი არსებობდა ავტორის დროს. ამგვარად, მისი შინაარსი ორ ნაწილად — ისტორი-

ულად და სისტემატურად შეგვიძლია გავყოთ. არისტოტელეს ამ ტრაქტატის ისტორიული ნაწილის შედგენისას გამოუყენებია ეგრეთწოდებული „ატთიდები“, ათენის ისტორიის სპეციალური ქრონიკები და ნაწილობრივ ნივთიერი ძეგლები და პუბლიცისტური ნაწარმოებები. ტრაქტატში მოცემულია ათენის დემოკრატიის განვითარების მიმოხილვა ძვ. წ. VII საუკუნიდან IV-მდე და წარმოდგენილია ცალკეული ახალი ფაქტები, ისეთ მომენტებზე, რომლებზეც მის აღმოჩენამდე ბუნდოვანი ანდა მცდარი შეხედულება არსებობდა. აღსანიშნავია, რომ მასში ათენის ისტორიის ყველა სტადია არათანაბრად არის განხილული, უფრო ვრცლად არის მოთხრობილი სოლონის რეფორმებზე და 411 წლის ოლიგარქიულ გადატრიალებაზე, შედარებით ცოტაა ნათქვამი ეფიალტესა და პერიკლეს რეფორმებზე.

ცნობილია, რომ ათენის დემოკრატიის განვითარების პროცესში რადიკალური ჯგუფის წინამძღოლის ეფიალტეს ინიციატივით მორიგ საკითხად არეოპაგის რეფორმა დაისვა. მოწინააღმდეგე ჯგუფი კარგად გრძნობდა, რომ არეოპაგის დამცირებით ათენის ოლიგარქიის პოლიტიკურ ბატონობას ხელიდან ეცლებოდა მთავარი დასაყრდენი. მაგრამ ეფიალტეს საქმეს ათენის მოქალაქეებში ბევრი მომხრე გამოუჩნდა და არეოპაგის რეფორმა გატარებულ იქნა, მაგრამ მას ეფიალტეს ვერაგული მოკვლა მოჰყვა. დემოკრატიის მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ ეფიალტეს მოღვაწეობის გაწბილებას. ასე, მაგ., ერთ კომედიაში ნათქვამია, რომ მისი სიტყვების ზეგავლენით ხალხმა, როგორც გააფთრებულმა ცხენმა, თავიდან მოიგლიჯა აღვირიო. ფილოსოფოსი პლატონი კი ეფიალტეს ისეთ მოღვაწედ ახასიათებს, რომელმაც „დემოსი უზომო თავისუფლებით გაჭიპაო“. არისტოტელე არ უთანაგრძნობს არეოპაგის რეფორმას, მაგრამ მისთვის ეფიალტე უანგარო და სახელმწიფო საქმეებში სამართლიანობის მომხრე მოღვაწეა. ამავე დროს იგი არეოპაგის რეფორმას სულ რამდენიმე სიტყვით აღნიშნავს, არეოპაგის დაცემის ძირითად მიზეზებზე თითქმის არაფერს ამბობს და სამაგიეროდ მოგვითხრობს ანეკდოტს, თუ როგორ მოახერხა თემისტოკლემ ორპირობისა და ცბიერების გზით სალამინთან ბრძოლაში არეოპაგის გამოყენება (თ. XXV). ათენის დემოკრატიის ცნობილი მეთაურის პერიკლესადმი არისტოტელე სიმპათიურად არ არის განწყობილი, მაგრამ მაინც აღნიშნავს, რომ, სანამ ის ცოცხალი იყო, საქმე კარგად მიდიოდა (თ. XXVIII). არ უთანაგრძნობს არისტოტელე დემოსის ბატონობასა და ფულადი გასამრჯელოს სისტემას, მაგრამ საჭიროდ თვლის მაინც თქვას, რომ ეკლესიაზე დასწრებისათვის გასამრჯელოს შემოღება თვით აუცილებლობის შედეგი იყო. ამას გარდა ანტიდემოკრატიულმა განწყობილებამ ხელი ვერ შეუშალა არისტოტელეს მოურიდებლად აღენიშნა ოცდაათის ბა-

ტონობის დროს კამეფეპული თვითნებობა და სიმკაცრე. საერთოდ მიუხედავად იმისა, რომ არისტოტელეს ტრაქტატს ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაკლი ახასიათებს, მაინც ათენის სახელმწიფო წყობილებაზე თანმიმდევრული, ორგანული განვითარების მთლიან სურათს შეიცავს. მასში იკრძნობა ავტორის ცდები, შეამჩნიოს და ასახოს მოვლენების არსებითი მხარე, აზრი და მნიშვნელობა და ცალკეული პერიოდების ძირითადი მიმართება.

„ათენის პოლიტია" მხოლოდ ნაწილია იმ დიდი კრებულისა, რომელშიც განხილულია, როგორც ბერძნული, ისე არაბერძნული სახელმწიფოების კონსტიტუციები. კრებული შეიცავს 158 სახელმწიფოს წყობილების აღწერას. საფიქრებელია, რომ მის შედგენაში არისტოტელეს მოწაფეებიც მონაწილეობდნენ. მისგან ჩვენამდე ნაწყვეტებმა და სხვადასხვა ავტორის მიერ შემონახულმა ციტატებმა მოაღწია. ეს კრებული ფართოდ შეიცავს ისტორიულ მასალას, რომლითაც უსარგებლია არისტოტელეს თავისი თხზულების—„პოლიტიკას"—შექმნაში[65].

ის ჩვეულებრივად 8 წიგნად არის დაყოფილი და მისი პირველი სამი წიგნი მიძღვნილია სახელმწიფოსა და მის ფორმებზე მოძღვრების ძირითად დებულებებისადმი. მოტანილია ისეთი ავტორების შეხედულებებიც, რომელთა თხზულებებს ჩვენამდე არ მოუღწევია. განსაზღვრულია მოქალაქის ცნება და გამორკვეულია მმართველობის „სწორი" და „არასწორი" ფორმები. პირველს მიეკუთვნება მონარქია, არისტოკრატია და პოლიტია, რომელსაც შუა ადგილი უკავია ოლიგარქიასა და დემოკრატიას შორის და რომელიც არისტოტელეს იდეალურ წყობილებად მიაჩნდა. სწორი ფორმების დამახინჯებას კი, მისი აზრით, წარმოადგენს ტირანია, ოლიგარქია და ოხლოკრატია. IV წიგნში დაწვრილებით განხილულია ეს ფორმები. განსაკუთრებით საყურადღებოა ისტორიული თვალსაზრისით V წიგნი, სადაც ლაპარაკია სახელმწიფო გადატრიალებებზე და რევოლუციებზე. „არისტოტელეს პოლიტიკური მოძღვრება წარმოადგენს ბერძნული მონათმფლობელური სახელმწიფოს პრინციპული გამართლების ცდას".

საერთოდ „პოლიტიკაში" არისტოტელე ზომიერი მონათმფლობელური წყობილების მომხრედ გვევლინება. მაგრამ მისი „პოლიტიკა" ჩვენთვის საყურადღებოა არა მარტო მისი თეორიული მოსაზრების, არამედ ბერძნულ სახელმწიფოთა ფორმებისა და დაწესებულებათა განვითარებისა და მოტანილი მრავალი ისტორიული მაგალითისა და ანალოგიების გათვალისწინების მხრივ. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს V წიგნი, მასში მოცემულია ერთი მკვლევარის გამოანგარიშებით 130 მაგალითზე მეტი 54 სახელმწიფოს ისტორიული ცხოვრებიდან. ნათქვამი-

დან ცხადია, რომ საბერძნეთის ისტორიის შესწავლისას არისტოტელეს გვერდს ვერ ავუვლით, ვინაიდან მისი შემოქმედება ისტორიკოსისათვის ფრიად მნიშვნელოვანი წყაროა. იგი გაცილებით მეტ ნათელს ფენს ელინურ სამყაროში წარმოქმნილ სახელმწიფოთა ფორმებია გათვალისწინებას და მათი განვითარებისა და ცვლილებების გაშუქებას, ვიდრე სხვა რომელიმე ძველი ავტორი. ამასთან მისი თხზულებები მდიდარია ისტორიული მასალით. მაგრამ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ თავისი პოლიტიკური კონცეფციით იგი „მთლიანად წარსულს ეკუთვნის და თითქოს ვერ ამჩნევს, ანდა არ გაეგება იმ ახალი ფორმებისა, რომლებიც მის დროს წარმოიქმნებოდა: არისტოტელე იდგა წინანდელ, წმინდა ელინურ თვალსაზრისზე და სახელმწიფოს ტიპს წინანდებურად ქალაქ-სახელმწიფოში — პოლისში ხედავდა. ის მონობასაც კი ამართლებს და, მაშასადამე, უკან დგაძს ნაბიჯს, სოფისტებთან შედარებით... მისი „პოლიტია“ თითქოს სიკვდილისწინა ანდერძია მომაკვდავი ელინური სამყაროსი“ (ბუზესკული). არისტოტელის პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებები ნათელ გამოძახილია იმ დიდი კრიზისისა, რომელმაც მოიცვა მის დროს ბერძნული პოლისები.

პოლიბიოსი

(ძვ. წ. 204—122) [66]

საბერძნეთის ისტორიის შესწავლა გრძელდებოდა ელინიზმის ეპოქაშიც და რომის ეპოქაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით პ ო ლ ი ბ ი ო ს ი უნდა მოვიგონოთ. დაიბადა იგი არკადიის ქალაქ მეგალოპოლისში, ძვ. წ. III საუკუნის ბოლოში და ეკუთვნოდა გავლენიან გვარს. იგი აქეის კავშირის სტრატეგოსის ვაჟი იყო. ახალგაზრდობიდანვე მონაწილეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში და რომაელების მიერ მაკედონიის დაპყრობის დროს ჰიპარქოსის (კავალერიის უფროსის) თანამდებობა ეკავა, ე. ი. ასრულებდა აქეის კავშირის სტრატეგოსის თანაშემწის მოვალეობას. 166 წელს 1000 წარჩინებულ აქეელთან ერთად რომში გაიგზავნა მძევლად. მას რომში 16 წელი მოუხდა ცხოვრება, სადაც ურთიერთობა დაამყარა მონათმფლობელი საზოგადოების მმართველი წრეების წარმომადგენლებთან. იგი თანდათანობით რომაული სახელმწიფოებრივი წყობილების მხურვალე მომხრე და რომაელების საბერძნეთში გაბატონების დამცველი გახდა. 150 წელს სხვა მძევლებთან ერთად მას სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მიეცა. შემდეგ მას მოგზაურობა დაუწყია და არა ერთხელ სწვეია რომს. როცა რომაელები კართაგოს ანადგურებდნენ. პოლიბიოსი აფრიკაში იმყოფებოდა და თვითმხილველი იყო იმ საშინელი კატასტროფისა, რომელიც ამ ქალაქმა განიცადა. საბერძნეთი-

ში იგი იმ დროს ბრუნდება, როცა ბერძნების აჯანყება რომის წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა და ქალაქი კორინთო უკვე განადგურებული იყო. პოლიბიოსი ცდილობს, თავის სამშობლოს ააცდინოს შემდგომი კატასტროფა და დარბევა. ის კისრულობს შუამავლის როლს გამარჯვებულთა და დამარცხებულთა შორის. რომაელებმა მას დააკისრეს ბერძნული ქალაქების მმართველობის მოწესრიგება და საბერძნეთში მშვიდობიანობისა და კეთილი ურთიერთობის განმტკიცება. როგორც ჩანს, პოლიბიოსს ეს დავალება წარმატებით შეუსრულებია და პელოპონესის ქალაქებში დიდი პატივი მოუპოვებია. პოლიბიოსს ბევრი უმოგზაურია და პირადად უნახავს ესპანეთი, ლიბია, ეგვიპტე, ალექსანდრია, სარდი და სხვ.

შემდეგ მას დაუმთავრებია თავისი კაპიტალური ნაშრომი „მსოფლიო ისტორია", რომელიც, ანტიკური გაგებით, 40 წიგნისაგან შედგება. მათგან მთლიანად ჩვენამდე მხოლოდ პირველმა ხუთმა წიგნმა მოაღწია. მასში მოცემულია სინქრონისტული მიმოხილვა საბერძნეთში, ელინისტურ ქვეყნებსა და რომში მომხდარი ამბებისა ძვ. წ. 264 წლიდან 146-მდე. იგი წარმოადგენს არა რომელიმე ცალკეული ხალხის თუ სახელმწიფოს ისტორიას, არამედ მსოფლიო ისტორიის დაწერის პირველ ცდას. მისი მთავარი თემაა — როგორ, როდის და რატომ მოხდა, რომ ბინადარი დედამიწის ყველა ცნობილი ნაწილი 53 წლის განმავლობაში რომაელების ხელქვეითი აღმოჩნდა (I.II, 1, 4).

ვლ. ბუზესკულის მოსწრებული თქმით, ბერძნული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა შორის ვიცნობთ სამ ავტორს, ჰეროდოტეს, ეფორეს და პოლიბიოსს, რომელთა ნაშრომები ცოტად თუ ბევრად უნივერსალური ხასიათისა არიან. ჰეროდოტე იმ პერიოდის თანამედროვეა, რომელიც სპარსული და ბერძნული სამყაროების შეტაკებებით იწყებოდა, და ის ამ სამყაროებს შორის ბრძოლების მოგონებებზე აღიზარდა. ეფორე ფილიპე მაკედონელის თანამედროვე იყო, მის დროს დანაწილებული ბერძნული სამყარო მაკედონიის მეთაურობით ერთიანდებოდა. ხოლო პოლიბიოსი რომაელების მსოფლიო ბატონობის დასაწყისის თანამედროვეა. თუ ჰეროდოტესა და ეფორეს მიმართ კიდევ შეიძლება კამათი, იყვნენ თუ არა ისინი ნამდვილი უნივერსალური ისტორიის ავტორები, პოლიბიოსის „ისტორია" ნამდვილად მსოფლიო ისტორიაა. თვითონ საბერძნეთის ისტორია მას მოცემული აქვს არა განცალკევებულად, არამედ იმ დროის საერთო ისტორიასთან დაკავშირებით. პოლიბიოსს ეკუთვნის ტერმინის — „პრაგმატული ისტორიის" შექმნა; მისი აზრით ისტორია ვითარდება ადამიანთა მოქმედების შედეგად; ადამია-

ნებს სამოქმედოდ კი მათი ინტერესები, ე. ი. საბოლოო ანგარიშში მათი ხასიათები ამოძრავებენ.

პოლიბიოსი მხურვალე ელინელი პატრიოტია, ის გამსჭვალულია იმ შეგნებით, რომ ბერძნები ყველა სხვა ხალხებზე მაღლა დგანან: მწუხარებით და თანაგრძნობით ლაპარაკობს იგი ელინების უბედურებაზე. რომაელების მიერ მათ დაპყრობაზე; აქ, ერთი მკვლევარის სიტყვით რომ ვთქვათ, თითქოს, მოცემულია ტირილი მონა-ელადაზე, მაგრამ შემდგომში პოლიბიოსი ისეთ რწმენამდე მისულა, რომ რომაელების მიერ სამწუხარო და უიმედო მდგომარეობაში მყოფი საბერძნეთის დაპყრობა სასიკეთოდ მიუჩნევია. მართალია, რომაელების გაბატონების შემდეგ ბერძენთა სამყაროში საგარეო მშვიდობიანობის ხანგრძლივი პერიოდი დამყარდა, მაგრამ მოსახლეობის რიცხვი კლებულობდა და საერთო მდგომარეობაც უარესდებოდა.

როგორ ხსნიდა ამას რომაული ორიენტაციის ბერძენი ისტორიკოსი პოლიბიოსი? როგორც ბერძენი პატრიოტი ყოველივე ამას მწუხარებით განიცდიდა, მაგრამ შექმნილ მდგომარეობას ასე წარმოიდგენდა: „მე მგონია, არ გვმართებს, მოვუწოდოთ ღვთაებას იმ ამბების განსამარტებლად, როცა საშუალება გვაქვს გავარკვიოთ, რატომ და რისი წყალობით წარმოიქმნა მომხდარი შემთხვევა. მე ვგულისხმობ, მაგალითად შემდეგს: ჩვენს დროში მთელ ელადას თავს დაატყდა ქალთა უშვილობა და საერთოდ მოსახლეობის შეცირება ისე, რომ ქალაქები გაუკაცრიელდნენ, დაიწყო მოუსავლიანობა, თუმცა არ გვქონია არც განუწყვეტელი ომები და არც ჭირის საშინელებანი. ამგვარად, ვინმეს რომ ერჩია ჩვენთვის მიგვემართა ღმერთებისათვის კითხვით, — თუ როგორ სიტყვებს ან მოქმედებათ შეუძლიათ ჩვენი ქალაქი გახადონ ხალხმრავალი, ან ბედნიერი, მსგავსი მრჩეველი ჩვენ ხომ ჩერჩეტად მოგვეჩვენებოდა, ვინაიდან უბედურების მიზეზი აშკარაა და მისი აღმოფხვრა ჩვენს ხელთ არის. საქმე იმაშია, რომ ადამიანები გაირყვნენ, გახდნენ პატივმოყვარენი, ანგარებით მოცულნი და გასათუთებულნი და არ სურთ დაქორწინდნენ და, თუ მაინც ქორწინდებიან, არ სურთ გამოკვებონ გაჩენილი შვილები, ისიც მხოლოდ ერთი-ორის ძალიან ბევრი რიცხვიდან, რათა ამ გზით დატოვონ ისინი მდიდრებად და აღზარდონ ფუფუნებაში; აქედან კი მოკლე დროში გაიზარდა ბოროტება. ვინაიდან ცხადია და გარდუვალი, რომ ერთი თუ ორი შვილის ყოლებისას, თუ ერთს ომი, ან ავადმყოფობა მოიტაცებს, სახლები ცარიელდება და როგორც ფუტკრებთან სკები, სწორედ ასევე ხალხების ქალაქები თანდათან დაქვეითებისა და დაუძლურების გზაზე დგებიან. ასეთ შემთხვევებში საჭირო არ არის ღვთაებას შეეკითხოთ, თუ რა გზით დავიხსნათ თავი ამ უბედურებისაგან. მართლაც, პირველი შემ-

ხკედრი ითავერხებს გვითხრას, რომ ყველაზე უფრო კარგია ჩვენ თვითონ გამოვასწოროთ საკუთარი მიდრეკილებანი, ანდა თუნდაც კაბინეთ დავავალოთ მშობლებს თავისი შვილების გამოკვება" (მიშჩენკოს თარგმანი, ტ. III, გვ. 299). ამ მხრივ, პოლიბიოსი ძველ-ბერძნულ ისტორიოგრაფიაში დიდაქტიკური მიმართულების წარმომადგენელია.

პოლიბიოსის დროს საბერძნეთში ორი ცნობილი გაერთიანება არსებობდა: აქეის კავშირი და ეტოლიის კავშირი. პირველის საქმიანობაში იგი თავის დროზე ახლო მონაწილეობას იღებდა და დადებითად ახასიათებს როგორც მას, ისე მის სტრატეგოს არატს, თუმცა აღნიშნავს მისი მოღვაწეობის ზოგიერთ ნაკლსაც. უდავოდ უარყოფითია მისი დახასიათება ეტოლიის კავშირისა. ეტოლიელებს ის ფრიად შავი საღებავით გვისურათებს და ხაზს უსვამს, მისი აზრით, მათ თანდაყოლილ უპატიოსნებას, სიმკაცრესა და სიხარბეს. რაც შეეხება, მისი დროის სპარტას და მის მეფე-რეფორმატორ კლეომენეს, სპარტისადმი იგი უარყოფითად არის განწყობილი და არც კლეომენეს უთანაგრძნობს და მოქმედებასაც უწუნებს. თუმცა მისი სიკვდილის შემდეგ მასზე ასეთ აზრს გამოთქვამს: „ასე დაამთავრა სიცოცხლე კლეომენმა, ადამიანმა მოპყრობაში მოხერხებულმა, სახელმწიფო საქმეების წარმართვაში ნიჭიერმა, ერთი სიტყვით, ბუნებით ბელადმა და მეფემ" (V, 39, 6).

არისტოკრატიული წრიდან გამოსული პოლიბიოსი უარყოფითად უდგებოდა დემოკრატიას და მტრულად იყო განწყობილი ხალხური მოძრაობისადმი. მის მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა მოუხდენია ელინიზმის ეპოქაში ფართოდ გავრცელებულ სტოიკურ ფილოსოფიას და ამ მხრივ იგი ყურადღებას აქცევდა „ბედისწერას" და წამოაყენა შეხედულება, რომლის თანახმად თითქოს ხდება ერთი და იმავე სახელმწიფო ფორმების — მონარქიის, ტირანიის, არისტოკრატიის, ოლიგარქიისა და დემოკრატიის ციკლისებრი განვითარება და განმეორებადობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ისტორიული ამბების თხრობაში პოლიბიოსი ცდილობდა ყველაფერზე მაღლა ჭეშმარიტება დაეყენებინა. ერთ ადგილას იგი ასე მსჯელობს: „არ არსებობს მოწმე უფრო სანდო, ვიდრე ყველას სულში არსებული სინდისია" (XVIII, 26, 13). მეორე ადგილას ასეთი სიტყვებით მიმართავს მკითხველებს: „ჩემს თანამედროვეთაგან და იმათგან, ვინც მერმე იცოცხლებენ, მე მოვითხოვ: თუ ისინი ჩემს თხზულებაში ნახავენ სადმე განზრახულ სიცრუეს ანდა ჭეშმარიტებისადმი უპატივცემლობას, დე სასტიკად და ულმობლად გამოთქვან თავიანთი გაკიცხვა. ხოლო თუ მე შევცოდე უცოდინარობის გამო, დე ისინი იქმნენ შემწყალებლები, გან-

საკუთრებით თუ მხედველობაში მიიღებენ ჩემი თხზულებანი ვრცელ-ლობასა და მისი შინაარსის უზარმაზარ მოცულობას" (XVI, 20. 8).

მართალია, პოლიბიოსს თითქოს შერჩა ძველი დროის ყველაზე უფრო სინდისიერი მწერლის ეპიტეტი, მაგრამ, რა თქმა უნდა, მის პოლიტიკურ რწმენასა და შეხედულებებს დიდი გავლენა ჰქონდა მის „ისტორიაში" მოცემული ამბების თხრობასა და გაშუქებაზე.

დიოდორე სიცილიელი

რომის ბატონობის პერიოდის ისტორიკოსთა შორის დავასახელებთ დიოდორე სიცილიელსაც. იგი დაიბადა სიცილიის ქალაქ აგირიაში ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისში და გარდაიცვალა ამავე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, მაშასადამე, იგი იყო იულიუს ცეზარისა და ავგუსტუსის თანამედროვე ისტორიკოსი. მისი ცხოვრების შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ ბევრს მოგზაურობდა და ხანგრძლივად ცხოვრობდა რომში, სადაც დაუწყია თავისი დიდი ნაშრომის „ისტორიული ბიბლიოთეკის" შედგენა. მისივე სიტყვით, 30 წელი მოუნდა მის დამუშავებას. ნაშრომი შედგება 40 წიგნისაგან (ამ სიტყვის ანტიკური გაგებით) და შეიცავს აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და რომის ისტორიას, მეტნაწილად პარალელურ-სინქრონისტული გადმოცემით, მითური დროიდან ცეზარის მიერ გალიის დაპყრობამდე. მისგან მთლიანად შემონახულია I—V და XI—XX წიგნები, დანარჩენთაგან — მხოლოდ ნაწყვეტები და ამონაწერები.

პირველ ხუთ წიგნში მოცემულია ძველ-აღმოსავლური ქვეყნების ისტორია და მითოლოგია; XI—XII წიგნებში მოთხრობილია საბერძნეთის ისტორია ქსერქსეს ლაშქრობიდან, მაკედონიის ისტორია და ნაწილობრივ რომისა, მეოცე წიგნი მთავრდება ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდგომ მის მემკვიდრეებს — დიადოხებს შორის ამტყდარი ბრძოლის აღწერით. შესავალში დიოდორე დაწვრილებით გვაცნობს მსოფლიო ისტორიის მიზნებსა და მნიშვნელობას.

დიოდორეს თქმით, ისტორიაზე სასარგებლო არა არის რა. „და აი, იმის წყალობით, რომ ისტორია მუდმივ მოგვაგონებს — ამბობს იგი — ჩვენ სათნოებას, მისი გავლენით ერთნი განიმსჭვალებიან შეგნებით, რომ აშენონ ახალი ქალაქები, მეორენი რომ შექმნან კანონები, რომლებითაც უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებრივი ცხოვრების სიმტკიცე; ბევრნი ისწრაფვიან ხელი მოჰკიდონ მეცნიერებასა და ხელოვნებას ადამიანთა მოდგმის საკეთილდღეოდ, და რადგანაც ყველაფერი ეს ზრდის ხალხთა სიკეთეს, ამიტომ პირველი ქება უნდა მივუძღვნათ ამის პირველ მიზეზს ისტორიას"[63]. "საერ-

ალად თავის შეხედულებაში ისტორიაზე, პოლიბიოსის მსგავსად. დიოდორე ასაბავს სტოიკების თვალსაზრისს.

მაგრამ მსოფლიო ისტორია მას, ამ სიტყვის მნიშვნელობით, ვერ შეუქმნია: მას აკლდა სახელმწიფო მოღვაწის თუ მხედართმთავრის გამოცდილებაც, კრიტიკული ტალანტიც და ფართო ისტორიული მიმოხილვის უნარიც, ამიტომ მისი „ისტორიული ბიბლიოთეკა" ნამდვილად ვეებერთელა კომპილაციაა. ამ კომპილაციას - საფუძვლად უდევს წინამორბედი ავტორების შრომები, კერძოდ საბერძნეთის ისტორიაში — უმთავრესად ეფორე. მიუხედავად ამისა, დიოდორეს ნაშრომის მნიშვნელობა მაინც დიდია, პირველ რიგში იმით, რომ ის სარგებლობდა ისეთი წყაროებით, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ამას გარდა განსაკუთრებით ყურადსაღებია მისი ნაშრომის ის ადგილები, სადაც სიცილიისა და ძვ. წ. IV საუკუნის საბერძნეთის ისტორიაა მოთხრობილი. საყურადღებოა ისიც, რომ მეოცე წიგნის 22—26 თავებში მას განხილული აქვს ბოსფორის სამეფოს ისტორია.

პოლიბიოსის ნაშრომის დამატებასა და გაგრძელებას წარმოადგენს ძვ. წ. I საუკუნის რომაელი ისტორიკოსის ტ ი ტ ე ლ ი ვ ი უ ს ი ს „რომის ისტორია ქალაქის დაარსებიდან". ზოგიერთ ცნობას ძველი საბერძნეთის ისტორიიდან გვაწვდის აგრეთვე ცნობილი რომაელი მოღვაწის, ფილოსოფოსისა და ორატორის ც ი ც ე რ ო ნ ი ს ნაწერები.

ხოლო ერთადერთი მთლიანი ისტორია ელინისტური ეპოქისა მიეკუთვნება ტ რ ო გ უ ს პ ო მ პ ე უ ს ს, ავგუსტუსის თანამედროვე ისტორიკოსს, ლათინურ ენაზე დაწერილი „მსოფლიო ისტორიის" ავტორს, რომელიც 48 წიგნისაგან შედგებოდა. იგი ფართოდ სარგებლობდა კომპილაციის შედგენისას ბერძნული წყაროებით. განსაკუთრებით ეფორეთი და თეოპომპეთი. ტროგუსის ნაშრომს ჩვენამდე არ მოუღწევია. მისგან შემონახულია მხოლოდ ჩვ. წ. II—III საუკუნეში იუსტინეს მიერ შესრულებული ეპიტომა (ამონაწერი). იუსტინეს ამ ეპიტომას უმთავრესად ის მნიშვნელობა აქვს, რომ ფილიპე მაკედონელისა და შემდგომი ელინისტური ეპოქის ისტორიის მასალებს შეიცავს.

ისტორიკოსებს შეიძლება მივაკუთვნოთ II ს-ის მწერალი პ ო ლ ი ე ნ ი ც. თუმცა ჩვ. წ. 162 წელს დაწერილი მისი ნაშრომი „საომარი ხერხები" არ შეიცავს ისტორიას ამ სიტყვის მნიშვნელობით, მაგრამ მაინც გვაწვდის ისტორიული ხასიათის ბევრ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებს. მის შესახებ ვიცით, რომ იგი მაკედონელი იყო, თვითონ კი გვარწმუნებს, რომ მისი წინაპრები მაკედონიაში მეფობდნენ. იგი ადვოკატი იყო და თავისი ნაშრომი ხანდაზმულ ასაკში დაწერა. მისი

ნაშრომი 8 წიგნისაგან შედგება და თითოეულს წინასიტყვაობა აქვს დართული. ნაშრომში მოცემულია ამონაწერები ისეთი ავტორებიდან, რომელთა ნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგრამ პოლიენით სარგებლობა დიდ სიფრთხილეს და დაკვირვებას მოითხოვს.

პლუტარქე

(დაახლოებით ჩვ. წ. 46-126)

ბერძენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი, ელინიზმის უკანასკნელ უნივერსალურ სწავლულად მიჩნეული პლუტარქე დაიბადა დაახლოებით 46 წელს ბეოტიის ქალაქ ქერონეაში. იგი ადგილობრივ მონათმფლობელურ წარჩინებულთა წრეს ეკუთვნოდა. მამამისი ავტობულე განვითარებული ადამიანი იყო და კარგად იცნობდა ისტორიასა და ნაწილობრივ ფილოსოფიას, ხოლო მისი ორი ძმა ლამპრია და ტიმონი, აგრეთვე, ამ დროის მიხედვით განათლებული პირები ყოფილან. საერთოდ პლუტარქე კულტურულ წრეში აღიზარდა და ათენში ფართო განათლება მიიღო.

ვიდრე მის ბიოგრაფიაზე საუბარს გავაგრძელებდეთ, წინასწარ მოვიგონოთ საბერძნეთის მდგომარეობა რომის ბატონობის პერიოდში.

რომის პრეტორისადმი დამორჩილებულ საბერძნეთს რომაელები შედარებით უფრო რბილად მოექცნენ, ვიდრე სხვა ხალხებს. მათ შეუზღუდავად დაუტოვეს თავიანთი მიწის საკუთრება, თვითმმართველობის უფლება და საკუთარი სამართალი; აეკრძალათ თავისი ნებით დაეწყოთ ომი და საერთოდ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის უფლება ჩამოერთვათ. ათენმა, მართალია, შეინარჩუნა თავისი ძველი უფლებები, მაგრამ არქონტებად და სტრატეგოსებად ათენელებს მხოლოდ მდიდარი მოქალაქეების არჩევა შეეძლოთ.

როცა ავგუსტუსი რომის ერთპიროვნული მმართველი გახდა, ანუ ძვ. წ. 27 წელს რომის პროვინციები სენატსა და იმპერატორს შორის დანაწილა. ამ დანაწილების შემდეგ საბერძნეთს აქეის პროვინცია ეწოდა და სენატის გამგებლობაში დარჩა. მაგრამ იმპერატორ ტიბერიუსის დროს (ჩვ. წ. 14—37) იგი საიმპერატორო პროვინციად ჩაითვალა. განსხვავება ძირითადად იმაში მდგომარეობდა, რომ სენატის პროვინციებს ძველებურად ყოფილი კონსულები და პრეტორები განაგებდნენ, ხოლო საიმპერატორო პროვინციებს—ლეგატები.

იმპერიის ხანაში ერთგვარად შეიცვალა პროვინციათა მმართველების უფლებრივი მდგომარეობაც: თუ რესპუბლიკის დროს პრო-

კონსული თავის მოქმედებაში ვადის გასვლამდე ჩვეულებრივ არავის წინაშე პასუხს არ აგებდა, იმპერიის პერიოდში იმპერატორს მიენიჭა საერთოდ პროვინციებზე უმაღლესი მეთვალყურეობის უფლება და მმართველების მხრივ შევიწროებისა და გაუმართლებელი სასასტიკის შემთხვევაში, პროვინციელების საჩივრის საფუძველზე, იგი მკაცრად ერეოდა მათ საქმიანობაში და დამნაშავეთ მოურიდებლად სჯიდა. ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა პლუტარქეს.

ახალგაზრდობაში პლუტარქე იმ დროის განათლების ცენტრში ათენში გამგზავრებულა და იქ შედგომია ფილოსოფიის შესწავლას პერიპატეტიკული სკოლის ფილოსოფოსის ამონიოსის ხელმძღვანელობით. ათენიდან ქერონეაში დაბრუნებულ პლუტარქეს მოგზაურობა დაუწყია, დაუვლია საბერძნეთის რამდენიმე ქალაქი და ყოფილა იმ დროის განათლების მეორე ცენტრში — ალექსანდრიაში. პლუტარქეს გულმოდგინედ შეუსწავლია ბერძენი პოეტების, ორატორების, ისტორიკოსებისა და ფილოსოფოსების ნაწერები და კარგად გაწაფულა ისტორიისა და ლიტერატურის ცოდნაში.

პლუტარქე ხშირად ასრულებდა თავისი ქალაქის დავალებებს და მოგზაურობდა რომში, სადაც არისტოკრატიულ საზოგადოებას ახლოს გასცნობია და იმპერატორების ტრაიანესა და ადრიანეს კეთილი განწყობილებაც კი მოუპოვებია. რომში იგი კითხულობდა ლექციებს, საუბრობდა ფილოსოფიაზე და ექსკურსიებს აწყობდა იტალიაში, აქ იგი გასცნობია ბევრ გამოჩენილ ადამიანს. „პლუტარქე ქედს იხრიდა რომის სიდიადის წინაშე და, მიუხედავად მთელი თავისი ადგილობრივი პატრიოტიზმისა, არ ნაღვლობდა საბერძნეთის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვას: რომაელების ბატონობაში ის რაღაც პროვიდენციალურს ხედავდა“ (ბუზესკული). თავის ნაცნობობასა და კავშირს რომში იგი საბერძნეთის ინტერესებისათვის იყენებდა. ეს ღრმად განათლებული ადამიანი, მართალია, თავის თავს ლოიალურ რომაელ მოქალაქედ თვლიდა, მაგრამ ამაყობდა საბერძნეთის კულტურული დიდებითა და კარგად გაეგებოდა საბერძნეთის იმდროინდელი დამცირებული მდგომარეობა.

სიცოცხლის მეორე ნახევარი პლუტარქემ ქერონეაში გაატარა. აქ იგი ერთგულად ემსახურებოდა მშობლიურ ქალაქს და ასრულებდა სხვადასხვა მუნიციპალურ თანამდებობას: იყო მშენებლობის მეთვალყურე, არქონტი, ბეოტარქი და დელფოსის აპოლონის ტაძრის სიცოცხლეული ქურუმი. ამას გარდა, იგი თავისუფალ დროს ლექციებს კითხულობდა ფილოსოფიურსა და სხვა თემებზე, განაგრძობდა ლიტერატურულ მუშაობას. პლუტარქე გარდაიცვალა დაახლოებით 126 წელს.

პლუტარქე ბერძენ მწერალთა შორის განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო და მსოფლიო ლიტერატურაში ფრიად პოპულარული და საყვარელი მწერლის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ანტიკური ცნობების მიხედვით, მას 200-ზე მეტი თხზულება დაუწერია და მათგან უმეტესმა ნაწილმა ჩვენ დრომდე მოაღწია. მისი თხზულებები ორ ჯგუფად განიყოფება: ი ს ტ ო რ ი უ ლ ა დ და ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ა დ. პირველის სათაურია „შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ბ ი ო გ რ ა ფ ი ე ბ ი“, ასე მას იმიტომ ეწოდება, რომ ცალკეული ბერძენი ისტორიული მოღვაწის ბიოგრაფიას მოსდევს იმ რომაელი მოღვაწის ბიოგრაფია, რომელსაც მასთან რაიმე მხრივ მსგავსება ახასიათებს, და ასე ყოველ წყვილში მოცემულია ერთი ბიოგრაფია ბერძნის, მეორე რომაელის, ხოლო ყოველი წყვილის ბოლოს აღნიშნულია „შედარება“, რომელშიც მითითებულია მათი მსგავსების ხაზები. ასეთი ბიოგრაფიებიდან ჩვენამდე 23 წყვილმა მოაღწია, ოთხ მათგანში „შედარება“ არ არის მოცემული. ამათ გარდა არის კიდევ ოთხი ცალკეული ბიოგრაფია და, მაშასადამე, სულ 50 ბიოგრაფია. ზოგიერთი ბიოგრაფია ჩვენს დრომდე არ შემონახულა.

პლუტარქეს ბიოგრაფიებს უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიისათვის. სხვას რომ თავი დავანებოთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ბევრ იმ მწერალს, რომელთა ცნობებით უსარგებლია პლუტარქეს, ჩვენამდე არ მოუღწევია და ამ მხრივ პლუტარქე ჩვენთვის მაინც ერთადერთი წყაროა. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ პლუტარქეს მიერ გადმოცემულ ცნობებში გვხვდება ბევრი არასიზუსტე; ბევრ ფაქტს, რომლებიც მნიშვნელოვანია ისტორიის მხრივ, ის ან ივიწყებს, ანდა გაკვრით გადმოგვცემს; ბიოგრაფიების შედგენის დროს პლუტარქეს მთავარ მიზანს არა ისტორია, არამედ მორალი წარმოადგენდა და ისტორია მას ზნეჩვეულებათა გასწორების საშუალებად მიაჩნდა, ამიტომ ბუნებრივია, რომ იგი ზოგჯერ თავის საყვარელ გმირებს გაიდეალიზებულ ადამიანებად წარმოგვიდგენს. მორალის მქადაგებელი ტენდენცია ზოგჯერ აიძულებდა პლუტარქეს დაეთმო ისტორიული ჭეშმარიტება. პლუტარქეს ყველა ნაწარმოებს ღრმა სარწმუნოებრიობის ბეჭედი აზის: ღმერთების ნებისყოფა, ბედისწერის ხვედრი მას ხშირად მიაჩნდა მისი გმირების მოქმედებათა და ისტორიული ამბების მიზეზად. პლუტარქეს, როგორც ისტორიკოსს, აკლდა ნამდვილი კრიტიკული ალღო და ტაქტი და, როცა საქმე ჰქონდა თავის წყაროების წინააღმდეგობრივ ჩვენებებთან, ვერ ახერხებდა მათი წარმოშობის განმარტებას. მაგრამ პლუტარქე თვითონ, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, მიზნად არ ისახავდა ისტორიის დაწერას და არ გვმართებს ვეძიოთ მის ბიოგრაფიებში იმაზე მეტი, რაც მას სურდა მოეცა. ალექსანდრეს ბიოგრაფიის შესავალში ის

ამბობს: „ჩვენ ვწერთ არა ისტორიას, არამედ ბიოგრაფიებს, და არა ყოველთვის ყველაზე უფრო დიდებულ საქმეებში გამოვლინდება სათნოება თუ ბიწიერება, არამედ ხშირად რომელიმე უმნიშვნელო საქციელი, სიტყვა თუ ხუმრობა უკეთესად გამოაჩენს ადამიანის ხასიათს, ვიდრე ბრძოლები, ათეული ათასი მოკლული, უზარმაზარი არმიები და ქალაქების ალყა. ამიტომ, როგორც მხატვრები გამოხატავენ მსგავსებას სახესა და მის ნაკვთებში, რომლებშიც ხასიათი ვლინდება, და ფრიად მცირედ ზრუნავენ სხეულის სხვა ნაწილებზე, ისე ჩვენც დე ნება მოგვეცეს უფრო მეტად ვიძირებოდეთ სულის გამოვლინებებში და მათი საშუალებით გამოვსახავდეთ თითოეულის ცხოვრებას, ხოლო აღწერა დიდ საქმეთა და ბრძოლებისა სხვებს დავუთმოთ“.

პლუტარქეს ისტორიისადმი მიდგომის თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე პერიკლეს ბიოგრაფიის პირველი თავი: „ამბობენ, რომ ერთხელ ცეზარმა (იმპერატორმა ავგუსტუსმა) დაინახა რომში, როგორ ატარებდნენ იღლიებში რომელიღაც მდიდარი უცხოელები ლეკვებსა და პატარა მაიმუნებს და ეფერებოდნენ მათ. ის შეეკითხა მათ, ნუთუ მათში ქალები არ შობენ ბავშვებს? ამ სიტყვებით, რომლებიც სავსებით ღირსია მმართველისა, მან დარიგება მისცა მათ, ვინც ცხოველებზე ხარჯავენ ბუნებით ჩვეულ მოთხოვნილებას სიყვარულსა და ალერსიანობაში, მაშინ, როდესაც ის ადამიანებს უნდა ეკუთვნოდეს. ვინაიდან ჩვენ სულს ბუნებისაგან აქვს მიდრეკილება შემეცნებისა და განჭვრეტისადმი, განა გონებასთან შეთანხმებული არაა გავკიცხოთ ისინი, ვინც ამ მიდრეკილებიდან ცუდ მოხმარებას ჰქმნის...? გარეგანი გრძნობებით... შეიძლება აუცილებლობით გვიხდება ვუმზიროთ ყველა მოვლენას, სასარგებლოა ის თუ უსარგებლო, მაგრამ გონებით ყველას, ვისაც სურს მით სარგებლობა, ფრიად ადვილად შეუძლია ყოველთვის წარმართოს თავისი თავი იმისაკენ, რაც მას კარგად მიაჩნია და შესცვალოს კიდეც მისი მიმართულება... როგორც თვალს მოწონს ფერი, რომელიც თავისი ელვარებით და საამურობით აცხოველებს და ამაგრებს მხედველობას, ასევე გონებაც უნდა წარვმართოთ განჭვრეტის ისეთ საგნებისადმი, რომლებიც, ახარებენ რა მას, სიკეთისაკენ იზიდავენ... განჭვრეტის ეს საგნები მოცემულია საქმეებში, რომელთა წყარო სათნოებაა...“

რაკი პლუტარქეს ისტორია ზნეჩვეულებათა გასწორების საშუალებად მიაჩნია, ის თავის საყვარელ გმირებს, როგორც ნათქვამი იყო, ზოგჯერ გაიდეალიზებული სახით წარმოგვიდგენს, რომ ამით თავის მკითხველებზე ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინოს. ამას თვითონაც აღიარებს, მაგ., კიმონის ბიოგრაფიაში ის ამბობს: „როდესაც ფერმწერი გვიხატავს მშვენიერ სახეს, სიტურფით აღსავსეს,

ჩვენ მოვითხოვთ მისგან, თუ ამ სახეში არის რაიმე წვრილი ნაკლი-მას სავსებით ნუ გამოტოვებს, მაგრამ ნურც ძლიერ ზუსტად გამოხატავს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში სახე ულამაზო გახდება, პირველში კი — არა მსგავსი. ამის მსგავსად, რადგან ძნელია, ხოლო მგონია, თითქმის უფრო შეუძლებელი წარმოვიდგინოთ ადამიანის ცხოვრება, რომელიც უმწიკლო და ფაქიზი იქნებოდა, ამიტომ მშვენიერებაში ჭეშმარიტება უნდა გამოვსახოთ, როგორც მსგავსება. ხოლო ადამიანის ქმედობაში ვნებით თუ პოლიტიკური აუცილებლობით შეპარებული შეცდომები ან ნაკლი უნდა ჩავთვალოთ რაიმე სათნოების უფრო სისუსტედ, ვიდრე ბიწიერების ბოროტ განზრახვად; ისინი არ უნდა გამოვხატოთ ისტორიაში სრული მონდომებით და დაწვრილებით, არამედ თითქოს ადამიანის ბუნებისათვის დარცხვენით, რომ იგი არ წარმოქმნის არაფერს აბსოლუტურად მშვენიერს, არავითარ ხასიათს უდავოდ სათნოს“ (თ. III).

ასეთია ზოგადად ის კონცეფცია, რომლითაც პლუტარქე უდგებოდა თავის პარალელურ ბიოგრაფიებში ძველი ბერძენი მოღვაწეების ცხოვრების განხილვასა და შეფასებას.

პოლიბიოსის მსგავსად პლუტარქეც ხაზს უსვამს რომის ბატონობის დროს საბერძნეთის ქალაქებში მოსახლეობის საბედისწერო შემცირებას. ერთ თავის ტრაქტატში იგი გვარწმუნებს, რომ „მოსახლეობის საერთო შემცირება, რომელიც თითქოს მთელ სამყაროში არეულობებმა და ომებმა გამოიწვია, საბერძნეთმა ფრიად განიცადა: ახლა ის მთლიანად ძლივს შეძლებდა გამოეყვანა სამი ათასი ჰოპლიტი, — რიცხვი, რომელიც ერთმა ქალაქმა მეგარამ გაგზავნა პლატეასთან ბრძოლაში“ (de def. orac. VIII).

პროფ. ს. ლ ურ ი ე ასე ახასიათებს პლუტარქეს დამოკიდებულებას რომის ბატონობისადმი: „ბუნებრივია, რომ პლუტარქეს და იმ საზოგადოებას, რომელსაც იგი მიმართავს, სურს დამშვიდდეს ბერძნების დიდი წარსულის მოგონებით. ეს წარსული წარმოუდგება მას განსაკუთრებულად წარმტაცი სახით—დიდი, ძლევამოსილი ელადა თავისი გაერთიანებული ძალით, საძაგელი ბარბაროსების შემარცხვენელი და დამამარცხებელი. ჭეშმარიტი ისტორიული, ხშირად საკმაოდ ბეჩავი სინამდვილის ძიება პლუტარქეს ტიპის ადამიანებს ნამდვილ წაბილწვად მიაჩნიათ: სურდათ თუნდაც ერთი წუთით გასცლოდნენ სამწუხარო სინამდვილეს, როცა არ შეიძლებოდა დავიწყებოდათ, რომ ბერძნების თავზე რომაული ჩექმაა აღმართული და როცა ძველი ელადის რომაელ თაყვანისმცემლებს უხდებოდათ თავიანთ თანამეტომეთა დარწმუნება იმაში, რომ როგორადაც საბრა-

ლონი არ იყვნენ graeculi,* უნდა გვახსოვდეს მათი წარსული და არ გვმართებს მათი შეზიზღება; სურდათ ყველა ხალხთაგან, რომლებიც ოდესმე ცხოვრობდნენ, უდიდესის, უბაღლესის და უნიჭიერესის წარმომადგენლად ეგრძნოთ თავი".

პლუტარქეს ნაწერების მეორე ჯგუფი „ზნეობრივი თხზულების" (Moralia) საერთო სახელითაა ცნობილი. მათში წარმოდგენილია ზოგადად პლუტარქეს ფილოსოფიური, ისტორიული და ლიტერატურული შეხედულებები. მის ადრინდელ ნაწერებში განხილულია ადამიანთა ცხოვრებაში ორი ძალის — სათნოებისა და ბედისწერის მნიშვნელობა. ამ საკითხის განხილვას იგი უკავშირებს ალექსანდრე მაკედონელს, რომის სახელმწიფოს და ათენელებს. სამ სიტყვაში: „ალექსანდრე დიდის ბედისა და მამაცობის შესახებ", „რომაელების ბედზე" და „იმაზე, იყვნენ თუ არა ათენელები მეტად სახელგანთქმულნი ომში, თუ სიბრძნეში".

პლუტარქეს თხზულებათა განსაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენს მსჯელობა „ძმურ სიყვარულზე", „ბავშვებისადმი სიყვარულზე", დიალოგი საერთოდ „სიყვარულზე" და ა. შ.

ჩვენი მიზნისათვის საყურადღებოა პლუტარქეს თხზულებები: „პოლიტიკური დარიგებები", „უნდა მონაწილეობდნენ თუ არა მოხუცები სახელმწიფო მოღვაწეობაში" და „მონარქიის, დემოკრატიისა და ოლიგარქიის შესახებ". მათ მიხედვით ჩანს, რომ პლუტარქე უპირატესობას დემოკრატიასა და ოლიგარქიასთან შედარებით მონარქიულ სახელმწიფო წყობილებას ანიჭებდა, მაგრამ ამასთან ერთად მოწიწებით პატივისცემას იჩენდა რესპუბლიკური იდეალისადმი. ეს მოტივები იყო იმის მიზეზი, რომ ახალ დროში პლუტარქე ევროპელი რესპუბლიკელების ბევრი თაობის აღმზრდელად იქნა ძიჩნეული.

პლუტარქეს მეორე ჯგუფის სხვა ნაშრომებზე აღარ შევჩერდებით. ნათქვამიდან ჩანს, რომ პლუტარქე, როგორც ისტორიკოსი, მიუხედავად მისი თავისებურებისა, ძველი საბერძნეთის ისტორიის შესწავლისათვის ერთ ფრიად ნაყოფიერ მწერალსა და წყაროს წარმოადგენს.

როგორი იყო შემდგომ ეპოქაში პლუტარქეს შეფასება? ამას ს. ი. სობოლევსკი ასე გვისურათებს: „შემდგომ ეპოქებში პლუტარქეს უცვლელად მაღლა აფასებდნენ და ხალისით კითხულობდნენ. მისი შემოქმედება, რომელიც თითქმის საშუალო საუკუნეებშიც არ იყო დავიწყებას მიცემული, ძვირფასი იყო ყველა ჰუ-

* ბერძნების დამამცირებელი ტერმინი.

ჰანისტისათვის ერაზმ როტერდამელიდან რაბლემდე. პლუტარქეთი მოხიბლული იყვნენ რეფორმაციის მოღვაწენიც, მონტანიც და ფრანგი განმანათლებელი ფილოსოფოსებიც. მისმა ქედის მოხრამ მოქალაქეობრივ სიქველეთა წინაშე მოუპოვა მას ახალგაზრდა ბურჟუაზიის იდეოლოგების სიყვარული ბურჟუაზიულ რევოლუციათა წინ. პლუტარქედან ნასესხები სიუჟეტებით სარგებლობდა შექსპირი, კორნელი, რასინი, მას აღტაცებაში მოჰყავდა ბელინსკი და ჰაინე. ინტერესი და სიყვარული პლუტარქესადმი იმდენად უქრობია, რამდენადაც აღუხოცველია კაცობრიობის მიდრეკილება კეთილისადმი და მისი ბოროტებაზე გამარჯვების რწმენა".

პლუტარქეს ქართველი ისტორიკოსებიც იცნობდნენ. კერძოდ პლუტარქეს „ალექსანდრე მაკედონელი" მოხსენებული აქვს თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს [71].

სტრაბონი

(დაახლოებით ძვ. წ. 63—ჩვ. წ. 17 წ.)[72]

როცა საბერძნეთის ისტორიის წყაროებს ვიხილავთ, ვერ დავიიწყებთ გეოგრაფოსებსაც. გეოგრაფოსები იმდენად ახლოს იდგნენ ისტორიკოსებთან, რომ ძნელია თითქმის მათ შორის ხაზის გავლება. თავდაპირველად ისტორია არც იყო გეოგრაფიიდან გამიჯნული და ბერძენი ლოგოგრაფოსები იმავე დროს ხშირად გეოგრაფოსებადაც გვევლინებიან. საბერძნეთის ისტორიისათვის პირველ რიგში მოსახსენებელია სტრაბონი.

სტრაბონი დაიბადა პონტოს ქ. ამასიაში. მისი წინაპრები წარჩინებულთა წრეს ეკუთვნოდნენ და მისი მშობლებიც რომაელთა ბატონობის დროს ხელმოკლეობას არ განიცდიდნენ. სტრაბონს კარგი განათლება მიუღია. მისი მასწავლებლები ყოფილან ფილოსოფოსები და გრამატიკოსები. იმ დროის მიხედვით იგი ფრიად განათლებული ადამიანი გამხდარა. მას თავიდანვე გამოუჩენია ერთგვარი მიდრეკილება ფილოსოფიისადმი და თავი ფილოსოფოსად მიაჩნდა. სტრაბონი გეოგრაფიასაც კი ფილოსოფიის განყოფილებად თვლიდა. რომში სტრაბონი ძვ. წ. 29 წელს მისულა და თავის სიცოცხლეში ბევრი უმოგზაურია. მას შემოუვლია ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები და ახლო აღმოსავლეთი. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ იგი კოლხიდაშიც ყოფილა. ფიქრობენ, რომ სტრაბონი ბოლოს თავის სამშობლოში ცხოვრობდა და აქ დაამთავრა თავისი ნაშრომი.

სტრაბონის სახელით ცნობილია ორი ნაშრომი: „ი ს ტ ო რ ი ი ს მ ა ტ ი ა ნ ე" [73] და „გ ე ო გ რ ა ფ ი ა" [74]. პირველმა ჩვენამდე მხოლოდ

19 ფრაგმენტის სახით მოაღწია. როგორც ჩანს, მასში განხილული ყოფილა ალექსანდრე მაკედონელის ეპოქა. მეორე შედარებით დაუზიანებლად არის შემონახული და 17 წიგნისაგან შედგება: I—II წიგნი ფიზიკო-მათემატიკურ გეოგრაფიას შეიცავს, III—X წიგნებში ევროპის გეოგრაფიაა მოცემული, XI—XVI-ში — აზიისა და XVII-ში—აფრიკის. ამ ნაშრომში სტრაბონს ბევრი ავტორი ჰყავს მოხსენებული და სპეციალისტების აზრით ციტატები დიდი კეთილსინდისიერებით აქვს მოტანილი. სტრაბონის ეს ნაწარმოები მრავალ წლის შრომის ნაყოფია, ძვირფას ცნობებს შეიცავს და საბერძნეთის ისტორიის შესწავლისას მისი დავიწყება არ შეიძლება.

რა ცნობებს გვაწვდის საერთოდ სტრაბონი საბერძნეთის ისტორიიდან? მის დროს საბერძნეთი სამწუხარო სურათს წარმოადგენდა. სტრაბონი ასე აგვიწერს საბერძნეთის მხარეების მდგომარეობას ძვ. წ. 29 წლისათვის: „მესენიის უმეტესი ნაწილი მცხოვრებლების მიერ მიტოვებულია; ლაკონიკა, ძველ ხალხმრავლობასთან შედარებით, ადამიანებით ღარიბია. მართლაც, სპარტის გამოკლებით, მასში დარჩენილი რაღაც ქალაქები რიცხვით ოცდაათამდეა, ძველად კი, ამბობენ, მას „ასქალაქოვანს“ უწოდებდნენო“ (VII, 4). მეორე ადგილას იგი ეხება არკადიას და ამბობს: „არკადიის სრული აოხრების გამო მასზე ბევრი ლაპარაკი არ მოგვიხდება. წინათ სახელგანთქმული ქალაქები, შეუწყვეტელი ომების მეოხებით აღიგავენ დედამიწის პირიდან; მიწათმოქმედებმა ყანები უკვე იმ დროიდან მიატოვეს, როცა ქალაქების დიდი ნაწილი მეგალოპოლისში იყო გაერთიანებული. ახლა კი მეგალოპოლისს მოუვიდა ის, რასაც მასზე კომიკოსი ამბობს: „მეგალოპოლისი (დიდი ქალაქი) — დიდი უდაბნოა“ და იქ ახლა ფართო საბალახოებია... ეტოლიის უდაბნო არანაკლებ გამოსადეგია ცხენების მოშენებისათვის, ვიდრე თესალია... მანტინეას სახელი გაუთქვა ეპამინონდასმა... მაგრამ ისიც და აგრეთვე ორქომენი, ჰერეა (ჩამოთვლილია სხვა ქალაქებიც) ან საკუთრივ არ არსებობენ ანდა მათგან მხოლოდ კვალი და ნიშნებიღა დარჩა“ (VIII, 8, 1). სხვა მსგავს ადგილებზე აღარ შევჩერდებით.

ნათქვამი იყო, რომ უკვე პოლიბიოსმა აღნიშნა, რომ მის დროს მთელი საბერძნეთი მოიცვა დაბალმა მშობიარობამ და საერთოდ ხალხნაკლებობამ. ამასვე გაუსვა ხაზი პლუტარქემ. საბერძნეთის ასეთი დაქვეითება პირველ რიგში გახანგრძლივებული სოციალ-ეკონომიური კრიზისით იყო გამოწვეული. მაგრამ შინაგანი მიზეზების გარდა არამცირე როლი რომაელთა ბატონობამ ითამაშა: საბერძნეთისადმი, როგორც კულტურის ცენტრისადმი, გარკვეული პატივისცემისა და ზოგიერთი რომაელი მეცენატის მფარველობის მიუხედავად, დემოკრატიის და თვითმოქმედების ჩახშობის ზოგადი პო-

ლიტიკა და მკაცრი საგადასახადო სისტემა ხელს უწყობდა იმას, რომ საბერძნეთი სულ უფრო ღრმად იძირებოდა სიღარიბესა და ეკონომიურ უძლურებაში[75].

საბერძნეთის ასეთი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არ გამოპარვია სტრაბონსაც და მან სხვა საყურადღებო ცნობებთან ერთად საამისო მასალაც დაგვიტოვა. სტრაბონის მთელი „გეოგრაფია", თუ შეიძლება ასე ითქვას, ისტორიულ ხასიათს ატარებს, მასში აღწერილია სხვადასხვა ქვეყნის ღირსშესანიშნავი ცალკეული ადგილები და ქალაქები, სარწმუნოება, კანონები, ზნეჩვეულებანი და გადმოცემულია თითქოს განთქმული ადამიანების ცხოვრებიდან საყურადღებო ანეკდოტები. მოკლედ, სტრაბონის „გეოგრაფია" მრავლად შეიცავს ისტორიულ მასალას.

გარდა საბერძნეთისა, სტრაბონის მიერ ჩატარებული კავკასიისა და კასპიისპირეთის მხარეების აღწერა ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მეცნიერული შესწავლისათვის. ბიზანტიის ეპოქაში შეუდგენიათ „სტრაბონის ქრესტომათია", რომელიც მისი „გეოგრაფიის" შემოკლებას წარმოადგენდა.

პავსანიასი [76]

ჩვენამდე მოღწეული პავსანიასის „ელადის აღწერილობა" ფრიად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ძველი საბერძნეთის გეოგრაფიაში, არქეოლოგიაში, ხელოვნების ისტორიასა და მითოლოგიაში. როდის და სად დაიბადა პავსანიასი? ამაზე პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება და ჩვენს განკარგულებაშია მხოლოდ მისივე შემთხვევითი მითითება, რომ დაიბადა მცირე აზიაში მთა სიპილას მახლობლად მდებარე მხარეში (V, 13,7) და, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჩვ. წ. II საუკუნეში — იმპერატორ ადრიანესა (117—138) და ანტონიუსების მმართველობის დროს.

თავის სიცოცხლეში პავსანიას ბევრი უმოგზაურია. მას კარგად სცოდნია აღმოსავლეთიც და დასავლეთიც, როგორც იტალიის ქალაქები და სარდინია, ისე ეგვიპტე და მცირე აზია. მაგრამ განსაკუთრებით აინტერესებდა მას ელადა, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით შემოუვლია. ხანგრძლივი იყო კამათი იმის შესახებ, თვითონ ნახა თუ არა პავსანიასმა მის მიერ აღწერილი მხარეები, თუ საჭირო ცნობები სხვების წიგნებიდან გადმოიწერა. რა თქმა უნდა მან ისარგებლა მხარეების და მოგზაურობის აღწერილობით, მაგრამ მისი კეთილსინდისიერება ამ მხრივ დღეს საეჭვოდ აღარ ითვლება. მის

დროს ელადა უკვე შესწავლის საგანი და მუზეუმი იყო და პავსანიასი იშვიათად აღწერს რომელიმე მნიშვნელოვან ქალაქს თუ ტაძარს ისე, რომ „მეგზური და არქეოლოგი“ არ მოიხსენიოს. პავსანიასი ადგილობრივი ისტორიკოსების ნაწარმოებსაც იცნობდა.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, მაგ., ის, რომ ჰენრიხ შლიმანს, როცა ის მიკენის სამარხების გათხრებს იწყებდა, ხელში პავსანიასის წიგნი ეკავა. სხვა არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა ასე თუ ისე პავსანიასის აღწერილობის მნიშვნელობა დაადასტურეს.

„ელადის აღწერილობა“ 10 წიგნად არის დაყოფილი. მათში უმთავრესად საბერძნეთის მხოლოდ ის მხარეებია აღწერილი, რომლებიც მდიდარი იყვნენ კლასიკური ხელოვნების ძეგლებით. პირველ წიგნში აღწერილია ატიკა და მეგარა; მეორე წიგნში — კორინთოს მხარე, III—VIII წიგნებში პელოპონესის მხარეებია განხილული, ხოლო IX—X წიგნებში—ბეოტია და ფოკიდა. ამგვარად, საბერძნეთის ის მხარეები, რომელთაც დიადოხების ეპოქაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს — ეტოლია, ეპირი და თესალია — პავსანიასის ყურადღებას თითქმის არ იპყრობენ.

მოგზაურობის დროს პავსანიასი ეცნობოდა ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემებს და მიუთითებდა კიდეც მათზე, მაგრამ მათ მთლიანად არ ენდობოდა, მათდამი ერთგვარ რაციონალურ სკეპტიციზმს იჩენდა და თავის მსჯელობას, მაგ. ასე ასაბუთებდა: „ელინების ლეგენდები ბევრ შემთხვევაში წინააღმდეგობის შემცველი არიან. განსაკუთრებით გენეალოგიის საკითხებშიო“ (VIII, 53, 5)[7], პავსანიასის მიაჩნია, რომ ეს ლეგენდები ზოგიერთ მხარეში შეგნებულად ითხზვებოდა და ვრცელდებოდა: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, ძველად ხშირად მომხდარმა და ახლაც იშვიათად შესახვედრმა დაჰკარგა თავისადმი ხალხის ნდობა იმის წყალობით, რომ ადამიანებმა სიმართლის ფუძეს ბევრი სიცრუე დაუმატეს. ასე მაგალითად, ამბობენ, რომ ლიკაონის დროიდან ზევეს ლიკეონელისადმი მსხვერპლშეწირვის დროს ყოველთვის რომელიმე ადამიანთაგანი მგლად იქცეოდა, მაგრამ არა მთელ სიცოცხლეში: თუ მგლად გადაქცევის შემდეგ თავს შეიკავებდა ადამიანის ხორცისაგან, ცხრა წლის შემდეგ კვლავ ადამიანად იქცეოდა, ხოლო თუ გასინჯა ადამიანის ხორცი, ის სამუდამოდ მხეცი დარჩებაო“ (VIII, 2, 3).

მეორე ადგილას პავსანიასი კორინთოს მხარის აღწერისას ეხება თქმულებას ზევსის ფრინველად გადაქცევის შესახებ და გვიამბობს: „თქმულებების გადმოცემისას ისინი მოგვითხრობენ, თითქოს ზევსს შეუყვარდა ჰერა, როცა ის ქალიშვილი იყო და ჩიტად გადაიქცა, ჰერამ კი თამაშით და ხუმრობით იგი დაიჭირა. ამ მოთხრობას და ყველა მის მსგავსს, რომლებსაც ღმერთებზე გვიამბობენ,

მე ზუსტად გადმოვცემ. თუმცა თვითონ მე მათ არა ვცნობ“ (II, 17, 4). მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს. პავსანიასი მოგვითხრობს თებეში მიღებულ სარწმუნოებრივ წესებზე და სხვათა შორის აღნიშნავს: „ძუძუმწოვარა გოჭებს უშვებენ ისინი ეგრეთწოდებულ „მეგარონებში“ (მიწისქვეშა დარბაზებში). ამბობენ, რომ ეს ღორები სწორედ ერთი წლის შემდეგ ამავე დროს ჩნდებიან დოდონაშიო. შეიძლება აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამ ნათქვამს დაიჯერებენო“ (IX, 8. 1).

პავსანიასი ცდილობს ერთგვარი განმარტება მისცეს ბერძნების თქმულებებსა და მითებს და გვარწმუნებს: „ამ აღწერილობის დაწყებისას მე თვითონ ელინების ყველა ამ თქმულებებს ვუყურებდი უკეთეს შემთხვევაში, როგორც თავქარიან და მჩატე მოთხრობებს, მაგრამ როცა მე არკადიამდე მივედი, ამის შესახებ საგონებელში ჩავარდი: მე ვიფიქრე, რომ ელინების ეგრეთწოდებული ბრძენი ადამიანები ძველთაგან ასეთ თქმულებებს გადასცემდნენ ქარაგმულად გამოცანის სახით, როგორც ერთგვარ არაკებს და არა პირდაპირი გაგებით და უბრალოდ და ამიტომ, როგორც ახლა მე მგონია, ეს თქმულებაც კრონოსზე ელინური სიბრძნის თავისებურ ნაწილაკს წარმოადგენს. ამიტომ რაკი მიხდება რელიგიის საკითხებს შევეხო, მივდიოთ ტრადიციას“ (VIII, 8, 3).

მაგრამ, პავსანიასი ყოველთვის ვერ იჩენს უნარს რაციონალური სკეპტიციზმით მიუდგეს თქმულებებს. ერთ შემთხვევაში, მაგალითად, იგი იქამდე მიდის, რომ გვიცხადებს: „გარეულ ცხოველთაგან ლიბიური და ეგვიპტური ასპიდები ერთი და იგივე შეფერილობისა არ არიან, ხოლო ეთიოპიაში ნიადაგი წარმოშობს ისეთივე შავ ასპიდებს, როგორც ადამიანებს. ამიტომ ცოტად თუ ბევრად იშვიათი მოვლენების შესახებ არ გვმართებს მეტად ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა, მაგრამ არც ისაა საჭირო, რომ მეტად სკეპტიკური ვიყოთ. ასე, მაგალითად, მე პირადად არასოდეს მინახავს ფრთოსანი გველები, მაგრამ მჯერა რომ ისინი შეიძლება არსებობენ, მჯერა იმიტომ, რომ ერთმა ფრიგიელმა იონიაში მოიყვანა მორიელი, რომელსაც ისეთი ფრთები ჰქონდა, კალიის ფრთებს რომ წააგავდა“ (IX, 21, 6).

ასეთი იყო ზოგადად პავსანიასის მიდგომა ბერძნების თქმულებებისა და მითებისადმი. მართალია, პავსანიასს ჩვეულებრივად გეოგრაფოსებს მიაკუთვნებენ. მაგრამ მის მიერ ნახული მხარეების ბუნებრივი პირობების გარდა მის მთავარ ყურადღებას ეთნოგრაფია, მითოლოგია და ეტიოლოგია იპყრობდა. ამავე დროს იგი არ იგნორებდა მხარეების ისტორიას და ამ მხრივ საყურადღებო ცნო-

ბებს გვაწვდის. ამიტომ მისი ნაშრომი ძველი საბერძნეთის მკვლევართათვის ძვირფას შენაძენს წარმოადგენს.

განსაკუთრებული ღირებულება აქვს პავსანიასის წიგნს ხელოვნებათმცოდნეებისათვის. ისინი მასში მრავლად იპოვნიან უაღრესად საინტერესო ცნობებს. აღსანიშნავია პავსანიასის საყვედური ბერძნებისადმი, რომ ისინი სათანადოდ ვერ აფასებენ თავიანთი ხელოვნების უკვდავ ძეგლებს, უფრო აღტაცებით უდგებიან სხვა ქვეყნების შემოქმედების გამოვლინებას, დიდი გულმოდგინებით დეტალურად აღწერენ ეგვიპტის პირამიდებს და ივიწყებენ, თუ რა გულგრილი არიან თავიანთი საამაყო ქმნილებათადმიო.

არიანე

ალექსანდრე მაკედონელის ეპოქისადმი ინტერესი ისტორიკოსთა შორის ახალი წერილობითი და ნივთიერი ძეგლების აღმოჩენათა ზრდასთან ერთად უფრო მეტად ღრმავდება. ალექსანდრეს ლაშქრობებმა დასაბამი დაუდეს ახალ ეპოქას — ელინიზმს, რომელიც ბევრ რამეში განსხვავდება კლასიკური პერიოდიდან. ისტორიკოსი დ რ ო ი ზ ე ნ ი აღნიშნავდა: „ალექსანდრეს სახელი ერთი მსოფლიო ეპოქის დასასრულს და მეორის დასაწყისს აღნიშნავსო“. თავის დროზე ალექსანდრემ ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მალე ლეგენდარულ ფიგურად იქცა და მის გარშემო მრავლად წარმოიქმნა სხვადასხვა სახის თქმულებები. ჯერ კიდევ წინარომაულ პერიოდში შეიქმნა „რომანი ალექსანდრეზე“, რომელიც განსაკუთრებით პოპულარული იყო რომის იმპერიის პირველ სამ საუკუნეში, ხოლო II საუკუნეში რიტორიკული ვარჯიშობისათვის ფართოდ სარგებლობდნენ დარიოსსა და ალექსანდრეს შორის მოგონილი მიწერ-მოწერით[68].

ალექსანდრეზე წერდნენ პლუტარქე („ალექსანდრე“), დიოდორე („ისტორიული ბიბლიოთეკის“ XVII წიგნი), სტრაბონი და სხვები. მაგრამ ყველა მათ ახასიათებს თავისებური ტენდენციები: ყველანი ისინი ამა თუ იმ საზომით თვითონვე აყალიბებენ თქმულებას მაკედონელ სარდალზე. ამიტომ მათთან შედარებით დიდ ნდობას იმსახურებს მუშაობის მეთოდით და გამოყენებული წყაროებით არიანეს „ალექსანდრეს ლაშქრობა“[70]. არიანესთვის ალექსანდრე ლეგენდარული გმირი კი არ არის, არამედ ისტორიული პიროვნებაა. ალექსანდრეში არიანე ხედავდა განსაკუთრებით გამოჩენილ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეს. მის ნაშრომს საფუძვლად უდევს ალექსანდრეს იმ თანამედროვეთა ჩანაწერები და მემუარები, რომლებმაც მასთან ერთად განვლეს გზა მაკედონიიდან ინდამდე და მონაწილეობდნენ მისი გეგმების შედგენასა და შესრულებაში. მან კრიტიკუ-

ლად გამოიყენა მათი ნაშრომები და მაკედონიის მეფის კარზე სპეციალურად შემოღებული ჟურნალ-დღიურები, „მეფის ეფემერიდები".

გავეცნოთ არიანეს ბიოგრაფიას. მისი სრული სახელი იყო კვინტუს ეპიუს ფლაბიუს არიანე. იგი დაიბადა მცირე აზიის პროვინცია ბითვინიის მთავარ ქალაქ ნიკომედიაში. დაბადების წელი ზუსტად არ არის დადგენილი, გარდაცვალების თარიღად კი ეს-ახლოებით ჩვ. წ. 175 წელია მიჩნეული. იგი ეკუთვნოდა შედარებით გამოჩენილ ოჯახს. მას ბრწყინვალე ბერძნული განათლება მიუღია. არიანე კარგად ფლობდა ბერძნულსა და რომაულ ენებს და ფრიად გამოსადეგ პირად ითვლებოდა რომაული ინტერესებისათვის ბერძნულ ქალაქებში. კარგი მომზადება გაუკეთია მას რიტორიკისა და ფილოსოფიის დარგში. როგორც მწერალი არიანე ქსენოფონტეს ბაძავდა, ხოლო ფილოსოფიაში მისი მასწავლებელი ეთიკური ფილოსოფიის წარმომადგენელი ეპიკტეტე ყოფილა. ნიკომედიაში არიანე რამდენიმე წელს უსმენდა ეპიკტეტეს და, როცა დაუმთავრებია ფილოსოფიის შესწავლა, იგი შედგომია რომის სახელმწიფოსადმი სამსახურს. ერთი წარწერის მიხედვით, 116 წელს არიანე იმ კომისიაში მონაწილეობდა, რომელსაც დელფოს ტაძრის „საღვთო" მიწის ზუსტი საზღვრები უნდა დაედგინა. 121—124 წლებში იმპერატორ ადრიანეს მისთვის კონსულის წოდება უბოძებია. 131 წლიდან 137 წლამდე იმპერატორის პირადი ლეგატის სახით არიანე კაპადოკიის პროვინციას განაგებდა. მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზით, იგი ჩამოუშორებიათ რომის სახელმწიფო და სამხედრო საქმეებში მონაწილეობისაგან. მიუხედავად ამისა, 147 წელს რომის იმპერატორის თანხმობით იგი ათენში არქონტ-ეპონიმად აურჩევიათ, ხოლო მომდევნო დროში არიანე ნიკომედიაში მიწისქვეშა სამეფოს ქალღმერთების — დემეტრას და პარსეფონის ქურუმი გამხდარა.

სხვა ცნობები მის ცხოვრებაზე არ მოგვეპოვება.

არიანეს შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი მის „ალექსანდრეს ლაშქრობას" ეკუთვნის. ეს ნაწარმოები შეიცავს ალექსანდრეს მოღვაწეობის საუკეთესო აღწერას და ის ამ მხრივ უდავოდ გამოირჩევა ყველა სხვა ნაწერებიდან, რომლებიც კი ძველად წარმოქმნილა. ამ ეპოქის მეცნიერული გათვალისწინებით დაინტერესებულ პირებს არ შეუძლიათ გულდასმით და განსაკუთრებული ყურადღებით არ შეისწავლონ ეს ღირსშესანიშნავი ნაშრომი. მართალია, ალექსანდრეს დახასიათებისას არიანე გვარწმუნებს: „არ არსებობსო სხვა ადამიანი, რომელსაც — ერთს—შეესრულებინოს ამდენი და ასეთი საქმეები; არავინ არ შეიძლება არც ელინებთან, არც ბარბაროსებთან

მას შევადაროთ ჩადენილის ოდენობით და სიდიადით". მაგრამ არიანე არ მალავს ალექსანდრეს ზოგიერთ უარყოფით მხარეს და არ ერიდება მკაცრ კრიტიკას. შესავალში არიანე ასე განგვიმარტავს იმას, თუ რატომ შეუდგა ალექსანდრეს ცხოვრების აღწერას: „თუ ვინმე გაკვირდება, რატომ მომივიდა თავში ალექსანდრეზე დამეწერა მაშინ, როცა ამდენი ადამიანი წერდა მასზე, დე წინასწარ გადაიკითხოს ყველა მათი ნაწერი, გაეცნოს ჩემსას—მაშინ გაკვირდესო".

ალექსანდრეს თანამედროვენი ორ ბანაკად იყოფოდნენ: ერთნი აღმერთებდნენ მას და მის აღტაცებულ მომხრეებად თვლიდნენ თავს, მეორენი კი კიცხავდნენ მის ლაშქრობას, რომელიც ადამიანთა დიდ მსხვერპლთან და დარბევებთან იყო დაკავშირებული. პლუტარქესა და არიანეს ნაშრომებში. ალექსანდრეზე დადებითი ტრადიციაა მოცემული. ხოლო ძვ. წ. I საუკუნის რომაელმა კვინტუს კურციუს რუფუსმა ალექსანდრეს ცხოვრების ისეთი აღწერილობა დაგვიტოვა, რომელიც მისდამი უარყოფით ტრადიციაზეა დამყარებული.

ბერძნული კალენდარი *

ათენში წელი იწყებოდა ზაფხულის ნაბუნიობიდან, ე. ი. ივნისის 21-დან, თვეები იყო:

ჰეკატომბაიონი — ივნისის დასასრული, ივლისი
მეტაგიტნიონი — აგვისტო
ბოედრომიონი — სექტემბერი
პიანეპსიონი — ოქტომბერი
მეკატერიონი — ნოემბერი
პოსიდეონი — დეკემბერი
გამელიონი — იანვარი
ანფესტერიონი — თებერვალი
ელაფებოლიონი — მარტი
მუნიქიონი — აპრილი
ფარგელიონი — მაისი
სკიროფორიონი — ივნისი

დოკუმენტები და შემთხვევები თარიღდებოდა მთავარი ადგილობრივი მაგისტრატის სახელით, ათენში ასეთი მაგისტრატი იყო პირველი არქონტი: „ამა და ამ არქონტის წელს". IV საუკუნიდან ანგარიში დაიწყეს ოლიმპიადების მიხედვით, ე. ი. ერთი ოლიმპიადი-

* გადმოღებულია არიანეს ნაშრომის რუსული თარგმანიდან, **Поход Александра**. გვ. 383.

დან მეორე ოლიმპიადამდე. ოლიმპიადებს შორის შუალედი ოთხ წელს უდრიდა. ამიტომ თითოეული ოლიმპიადის თარიღი ასე აღინიშნებოდა: 1-ლი ან მე-2 ან მე-3 ანდა მე-4 წელი. როგორ უნდა გადმოვიტანოთ ეს წლები ჩვენი წელთაღრიცხვის წლებზე? ვთქვათ, გვინდა გამოვარკვიოთ სალამინის ბრძოლის წელი. ის მოხდა 75-ე ოლიმპიადის პირველ წელს. ვიქცევით ასე: 75—1×4=296. ამ რიცხვს გამოვაკლებთ ოლიმპიადების დასაწყისს — 776—296=480 წ. (ძვ. წ.).

———

შენიშვნები და დამატებები

1. С. Я. Лурье, История античной общественной мысли, М.—Л., 1929, გვ. 27.
2. Г. В. Штоль, Мифы классической древности, пер. с нем., М., 1877—1880; М. С. Альтман, Греческая мифология, Л., 1937; Н. А. Кун, Легенды и мифы Греции, М., 1954; Д. Ф. Сергиев, Исторический обзор мифологических теорий, Неж., 1912; Мифологический словарь, состав. М. Н. Ботвинник, М. А. Коган и др., изд. 2-е, Л., 1961; Gustav Schwab, Die schönsten Sagen des klassischen Altertums, bearbeitet von Heinrich Alexander Stoll, B. I—II. B., 1955.
3. В. П. Бузескул, Введение в историю Греции, изд. 3-е, Петр., 1915, გვ. 7.
4. Древняя Греция (Инст. ист. АН СССР), М., 1956, გვ. 71—87, 546—547; Хрестоматия по истории древ. мира, под редак. В. В. Струве, II, გვ. 34—37, 45—60; Томсон, Исследования по истории древнегреч. мира, пер. с англ., М., 1958, გვ. 369—449; ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, თბილ., 1961, გვ. 21—64, 66—75; ალ. წერეთელი, ძველი საბერძნეთი, I, თბილ., 1958, გვ. 95—116. 153—160.
5. Denys L. Page, History and the Homeric Jliad, Los Angeles, 1959, მოტანილია ს. ი. რადციგის რეცენზიით (ВДИ, 1961, 3), გვ. 156—159.
6. Я. Лейпман, Послегомеровский Эпос, как источник для социально-экономической истории ранней Греции (ВДИ, 1954, 4).
6 ა. ისტორიკოსი ბუზოლტი ამ პოემაზე ამბობს: „Sie sind Vorboten d. revolutionären Bewegung" (Griech. Staatskunde, Berl., I, 1920, S. 37).
7. Хрестоматия, II. გვ. 62—64 (Периоды истории человечества).
8. В. Бузескул, Введение, გვ. 7—11, 414—469; Древняя Греция, გვ. 5—58. 570—589; История древней Греции, М., 1962, გვ. 14—22, 70—108; Дж. Пендлбери, Археология Крита, пер. с англ., М., 1950; И. С. Капнельсон, Новые археологические открытия на Крите и на мат. Греции (ВДИ, 1955, 4); И. Свентицкая, Обзор основн. археол. открытий в Греции в послевоенные годы (ВДИ, 1955, 2); Л. П. Маринович, Археологические открытия в Греции в 1960—61 г. г. (ВДИ, 1962, 4); Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I—II, 1948, 1950; В. Ф. Гайдукевич, Боспорские города в свете археологических исследований последних двух десятилетий. Археология и история Боспора, т. I, Симф., 1952; Koepp, Archäologie, Lpz., 1911; Handbuch d. Archäologie,

herausg. von Bulle. München, 1913; ა. კალანდაძე. სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1953; ა. წერეთელი, კრეტა-მიკენის კულტურა, 1923. ძველი საბერძნეთი, I, თბ., 1958. გვ. 23—95.

9. Древняя Греция, გვ. 570—571.

9ა. К. М. Колобова, Древний город Афины и его памятники, Л., 1961.

10. Древняя Греция, გვ. 576—578.

10ა. „Находка греческих статуй в Пирее" (ВДИ, 1960, № 3, გვ. 228—231).

11. Маринович. указ. статья, გვ. 137.

11ა. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ქალაქების არქეოლოგიური გამოკვლევებისათვის საყურადღებოა სპეციალისტების ნარკვევები კრებულში— Античный город, М., 1963.

11ბ. მისასალმებელია ამ მხრივ ნ. ლომოურის ნაშრომი „კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია," თბ., 1962; საყურადღებოა აგრეთვე ა. აფაქიძის ნარკვევი ზემოდასახელებულ კრებულში — „Результаты археологического изучения античных городов Грузии."

12. Трутовский В. К., Нумизматика, М., 1909; Марков, Древняя нумизматика, СПб, 1901; Придик Е. М., Греч. и римск. монеты, 1911; Древняя Греция, გვ. 585—589; Зограф А. Н., Античные монеты (Изд. АН СССР, М.—Л., 1951), часть первая—Общие вопросы античной нумизматики, გვ. 15—110, часть вторая—Античные монеты Северного Причерноморья, გვ. 111—213; Капанадзе Д. Г. К вопросу об экономич. связях Северного и Восточного Причерноморья в античную эпоху по нумизматическим данным, „Проблемы истории Северного Причерноморья в античную эпоху," М., 1959. იგივე, Грузинская нумизматика, М., 1955; Карышковский П. А., Заметки по нумизматике античного Причерноморья (ВДИ. 1960, № 3, გვ. 132—140); Д. Капанадзе и К. Голенко, К вопросу о происхождении колхидок (ВДИ, 1957, № 4, გვ. 88—95).

13. დაწვრილებით ზოგრაფის მით. ნაშრ. გვ. 24 შმდ.

14. В. Бузескул, Введение, გვ. 12—29; Древняя Греция, გვ. 562—570; Новосадский, Греческая эпиграфика, ч. I, М., 1909; С. Я. Лурье, Обзор новейшей литературы по греческим надписям микенской эпохи (ВДИ. 1957, № 3, გვ. 196—212); История древней Греции, გვ. 15—22; Ad. Wilhelm, Beiträge zur griech. Inschriftenkunde, Wien, 1909; Larfeld, Griechische Epigraphik, München, 1914 (Müller'ის Handbuch der klass. Altertumswissenschaft.³); Johannes Sundwall, Epigraphische Beiträge zur, social-politischen Geschichte Athens im Zeitalter des Demosthenes, Lpz, 4. Baiheftzu Klio, 1906; G. Klaffenbach, Griechische Epigraphik, Göttingen, 1957.

14 ა. ს. ი. ლ ურ ი ე ეხება ვენტრისისა და ჩადვიკის მიერ 1956 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომს „Documents in Mycenaean Greek..." და დაასკვნის: „ჩადვიკისა და ვენტრისის ნაშრომი საკმაოდ შეიძლება შეეტყოლოთ შამპოლიონისა და რაულინსონის შრომებს—მან დასაბამი დაუდო ამოშიფვრას, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს" (ВДИ, 1960. № 1, გვ. 144); მიკენის საბერძნეთის ენასა და კულტურას მან ცალკე წიგნი მიუძღვ-

ნა—С. Я. Лурье, Язык и культура Микенской Греции (АН СССР), М.—Л., 1957.

15. იხ. რადიგის მოხსენებული რეცენზია, გვ. 157.

16. Хрестоматия, II, გვ. 70.

16 ა. რუსულად ეს „გორტინის სამართალი თარგმნა ს. მიროშნიკოვმა, მისი ცალკეული ადგილების ახალი თარგმანი—Хрестоматия, II, გვ 78—87; მისი ლრმა ანალიზი მოცემულია ნაშრომში—Inscriptiones Creticae—opera et consilio Friedrici Halber collectae. IV Tituli Gortini curavit Margarita Guarducci, Roma, 1950.

17. Древняя Греция, გვ. 570; История древней Греции, გვ. 17—18.

17ა. Древняя Греция, გვ. 547: Всемирная История, II (АН СССР, 1955), გვ. 681—683: გრ. წერეთელი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია; ალ. წერეთელი, ძველი საბერძნეთი, I, გვ. 165—167, 241—247; ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, გვ. 80—108; ოქსირინხის პაპირუსებში მრავლად აღმოჩნდა პოეტების ალკეოს, საფოს, არქილოქეს ლექსების ფრაგმენტები: История греческой литературы (АН СССР, Институт мировой литературы им. Горького), т. I.

18. Всемирная история, I, გვ. 682.

18 ა. В. Бузескул, Введение, გვ. 51—57: Древняя Греция, გვ. 547—548; История греческой литературы, II, М., 1955, გვ. 10—27; ალ. წერეთელი, ძველი საბერძნეთი, I, გვ. 249, 261—262; Всемирная история, I, გვ. 683.

19. Hude G. Herodoti Historiae, Oxford, Bibliotheca Oxoniensis, 1909; რუსული თარგმანი—Мищенко Ф. Г., Геродот, История в девяти книгах. Перевод с греческого с предисловием и указателем, 2-ое изд., М., 1888; მთარგმნელის სტატიები—„Геродот и его место в древнеэллинской „образованности" და „Не в меру строгий суд над Геродотом"; ქართულად—თ. ყაუხჩიშვილის „ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1960; ნაწყვეტები ჰეროდოტედან: Хрестоматия, II, გვ. 8—13, 128—133; გ. გოზალიშვილი, ძველი ისტორიის ქრესტომათია, II, თბილისი, 1958, გვ. 5—8, 25—32; В. П. Бузескул, Введение, გვ. 57—82. Древняя Греция, გვ. 548—551; История греческой литературы, II, გვ. 28—68; Доватур А., Повествовательный и научный стиль Геродота; С. Лурье, Геродот, М.—Л., 1947; Струве В. В. Геродот и политические течения в Персии в эпоху Дария I (ВДИ, 1948, 3, გვ. 12—35); Маргулес Б. Б., Геродот, III, 80—82 и софистическая литература (ВДИ, 1960, 1, გვ. 21—34): В. Клингер, Сказочные мотивы в истории Геродота, Киев, 1903; Polenz M., Herodot der erste Geschichtsschreiber des Abendlandes, Teubner, 1937; Spiegelberg W., Die Glaubwürdigkeit von Herodots Bericht über Aegypten, 1926; Wüst K., Politisches Denken bei Herodot, Würzburg, 1935; ალ. წერეთელი, ძველი საბერძნეთი, I, გვ. 264—268.

19ა. „Pater historiae," Cicero, De legibus, I, 1, 5.

20. „*Περὶ τῆς Ἡροδότου κακοηθείας*," მისი რუსული თარგმანი დართული აქვს ლურიეს წიგნს.

20 ა. იხ. მარგულესის ზემოთ დასახელებული სტატია.

21. Dionys. Halicarn. de Thucydide, p. 820.

22. თავის დროზე საუკეთესო გამოცემად ითვლებოდა—Thucydides, erklärt von I. Classen, Berlin, 1879, პირველ ტომს დართული აქვს საგულისხმო შესავალი (Einleitung, S. XI—CX); რუსულად თარგმნა თ. ბ. მიშჩენკომ 1887—1888 წ. და თარგმანს წარუმძღვარა თუკიდიდეს ბიოგრაფია და მისი თხზულების კრიტიკული განხილვა; უფრო საყურადღებოა მისი „Послесловие к переводу. Фукидид и его сочинение," М., 1888; 1915 წელს მიშჩენკოს თარგმანი გამოიცა აკად. ს. ყებელიოვის გადაბეჭდვებით — Фукидид, История, т. I, перевод Ф. Мищенка в переработке, с примечаниями и вступительным очерком С. Жебелева; აქვეა ყებელიოვის სტატია—„Фукидид и его творение" (გვ. V—LXIV); მასვე ეკუთვნის ნარკვევი: „Когда и кем издана „История" Фукидида" (Сборник в честь В. П. Бузескула, Харьков, 1914). ნაწყვეტები თუკიდიდედან: „Хрестоматия по истории древнего мира под редакцией акад. В. В. Струве, II, М., 1951, გვ. 14—16. 169—191; პროფ. გ. გოზალიშვილის „ძველი ისტორიის ქრესტომათია", II. თბილისი, 1958, გვ. 8—10, 39—63. საერთო ლიტერატურა: В. П. Бузескул, Введение в историю Греции, Петроград. 1915, გვ. 82—112; „История греческой литературы", т. II (Издательство АН СССР, М., 1955), გვ. 69—100; „Древняя Греция" (Издательство АН СССР, М., 1956), გვ. 551—554; К. К. Зельин, Из иностранной литературы о Фукидиде (ВДИ, 1950, № 4, გვ. 114—122); ალ. წერეთელი. ძველი საბერძნეთი. I. თბილისი, 1958, გვ. 331—335. 346—351); W. Schadewaldt, Die Geschichtsschreibung des Thukydides, Berl. 1929; Eugen Täujbler Die Archäologie des Thukydides, Lpz., 1927; W. Nestle, Thukydides und die Sophistik („Neue Jahrb. f. d. klass. Altertum", S. 649—635); Зельин К. К, Из области греческой историографии IV века до н. э. (ВДИ, 1960, № 1, გვ. 84—108).

23. მარცელინუსისა და ანონიმური ბიოგრაფიების რუსული თარგმანი მოცემულია პირველ ტომში (გვ. XVII—XXXIII).

24. ავლუს გელიუსის „ატიკის ღამეების" შესახებ—Новицкая К. И., Аттические ночи" Авла Геллия, как исторический памятник (ВДИ. 1960, № 3).

25. *'Εν ἀκμῇ* ან *ἐν ταῖς ἀκμαῖς.*

26. *Θουκυδίδην τόν 'Ολόρου.*

27. სკაპტეგილე—ქალაქი აღმოსავლეთ მაკედონიაში.

28. სტრიმონი—მდინარე თრაკიისა და მაკედონიის საზღვარზე.

29. *Θουκυδίδης 'Ολόρου 'Αλιμούσιος ἐνθάδε κεῖται.*

30. თავის დროზე ამ საკითხს ცალკე სტატია უძღვნა ვლ. პ. ბუზესკულმა—„Преция о смертной казни назад тому 2300 слишком лет" („Исторические этюды").

31. „*Θουκυδίδης 'Αθηναῖος ξυνέγραψε τὸν πόλεμον τῶν Πελοποννησίων καὶ 'Αθηναίων...*"

32. ზოგიერთი მკვლევარი თუკიდიდეს თქმაში *ὅδε ὁ πόλεμος* მხოლოდ არქიდამოსის ომს (431—421) გულისხმობს, ხოლო *ὁ πόλεμος ὅδε*-ში მთელ პელოპონესის ომს.

33. „*κτῆμα τε ἐς ἀεί.*"

34. К. К. Зельин, Из области греческой историографии IV в. до н. э. (ВДИ, 1960, № 1), გვ. 88.
35. ἡ σῆτησις τῆς ἀληθείας.
36. К. К. Зельин, Из иностранной литературы о Фукидиде (ВДИ, 1950, № 4), გვ. 118.
37. იქვე, გვ. 114.
38. Ед. Мейер, Теоретические и методологические вопросы истории, пер. Малинина. 2-е изд., М., 1911, გვ. 71. იგივე, Thucydides und die Entstehung der wissenschaftl. Geschichtsschreibung, Wien, 1319 (Vortrag).
39. В. Бузескул, Введение, გვ. 107—108.
40. დაწვრილებით—„Фукидид и новейшая историческая наука" („Исторические этюды").
41. М. Хвостов, История Греции, 1924, გვ. 200.
42. С. Жебелёв, Фукидид и его творение, გვ. LX.
43. M. Cornford, Thucydides Mithistoricus, London, გვ. 66.
44. В. Бузескул, Введение, გვ. 106—107.
45. E. Schwartz, Geschichtswerk des Thucydides, ზელიინი, გვ. 115.
46. Cochrane, Thucydides and the science of History, ზელიინი, გვ. 117—119, იხ. ზემოთ შენიშვნა 36.
47. В. Бузескул, Введение, გვ. 111—112.
48. გამოცემა Marchant-ისა (Oxf. 1900—1910); რუსული თარგმანი: Ксенофонт, Греческая история, перевод и комментарии С. Я. Лурье, М., 1935, დართული აქვს მისივე სტატია—Ксенофонт и его Греческая история; ქსენოფონტეს— „Анабазис" და „Воспоминания о Сократе" უთარგმნია ი. ტიმოშენკოს (კიევი, 1874, 1883), В. П. Бузескул, Введение, გვ. 112—129; Древняя Греция, გვ. 555—556; История греч. литературы, II, გვ. 101—126; ალ. წერეთელი, ძვ. საბერძნეთი, გვ. 335—337; ს. ყაუხჩიშვილი, ანტ. ლიტ. ისტორია, გვ. 267—272.
49. იხ. Ed. Meyer, Geschichte des Altertums, Viertes Buch, Stuttgart und Berlin, 1913, S. 278—279.
50. „ანაბაზისი" აქ=მოძრაობა მხარის სიღრმეში; რუსული თარგმანი მ. ი. მაქსიმოვისა—Ксенофонт, Анабасис; დართული აქვს მისივე სტატია—Ксенофонт и его „Анабасис", М.—Л., 1951.
51. В. Бузескул, Введение, გვ. 126—130; Древняя Греция, გვ. 553—554; Кагаров Е. Е., Спорные вопросы, связан. с Псевдо-Ксенофонтовой „Аф. Политией" (Сборн. Харьковского Истор.-филол. Общества, 1914): E. Kalinka, Die Pseudoxenophontische 'Αθην. *Πολιτεία*. Lpz.—Berl., 1913 (ამ ნაშრომში მოცემულია ფართო შესავალი, თარგმანი და კომენტარიები).
52. Древняя Греция, გვ. 554; ალ. წერეთელი, ძველი საბერძნეთი, გვ. 413—428. Дератани Н., Эсхил и Греко-Персидская война (ВДИ, 1946, № 1); Радциг С. И., К вопросу о мировоззрении Софокла (ВДИ, 1957, № 4); Соболевский С. И., Аристофан и его время (АН СССР) М., 1957.
53. В. Бузескул, Введение, გვ. 42—44; Древняя Греция, გვ. 556; История греческой литературы, II, გვ. 180—198; ალ. წერეთელი,

ძველი საბერძნეთი, გვ. 452—455.

54. В. Бузескул, Введение, გვ. 44—47; Древняя Греция, გვ. 454—458; История греческой литературы, II, გვ. 221—297; А. И. Покровский, Окрасноречии у древних эллинов, Нежин, 1903; R. Böhlmann, Isocrates und das Problem der Democratie, Münch., 1913; ალ. წერეთელი, ძველი საბერძნეთი, გვ. 494—497; Греческие ораторы IV в. до н. э., переводы под редакцией К. М. Колобовой (ВДИ, 1962, №№ 1, 2, 3—Приложение).

55. დემოსთენეს მამის მონურ სახელოსნოებზე ათენში—Хрестоматия, II, გვ. 210—213.

56. В. Бузескул, Введение, გვ. 133—138; Древняя Греция, გვ. 557; История греческой литературы, II, გვ. 138—143; ალ. წერეთელი ძველი საბერძნეთი, გვ. 337—338; Kalischek, De Ephoro et Theopompo Isocratis discipulis, Münster, 1913.

57. იხ. Fragmenta Historicorum Graecorum, I და II.

57ა. მისი სათაური—„*Ἱστορία κοινῶν πράξεων.*"

58. В. Бузескул, Введение, გვ. 135.

59. История греческой литературы, II, გვ. 132; Древняя Греция, გვ. 406; В. Бузескул, Введение, გვ. 130, 395; Зелькин К. К., Из области греческой историографии IV века до н. э. (в связи с опубликованием новых фрагментов „Греческой истории" из Оксиринха. (ВДИ, 1960, № 1, გვ. 84—108).

60. ეს დოკუმენტი პირველად გამოსცეს, გამოკვლევა, თარგმანი და კომენტარები დაურთეს ინგლისელმა მკვლევარებმა: Grenfell-მა და Hunt-მა 1908 წელს კრებულში „The Oxyrhynchus—Papiri, V ტ.

61. „Nuovi frammenti delle „Elleniche de Ossirinco" (Papiri della Società Italiana, XIII, 1 (1949), № 1304.

62. ედ. მაიერმა ამ საკითხს მთელი ნარკვევი უძღვნა — „Theopomps Hellenica," Halle, 1909; ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. ზელინინის დასახელებული სტატია, გვ. 85—108.

63. В. Бузескул, Введение. გვ. 138—139; История греческой литературы, II, გვ. 135—138.

64. В. Бузескул. Введение, გვ. 141—172; Древняя Греция, გვ. 558—559; История греческой литературы, II, გვ. 199—218; Доватур А. И., Социальная и политическая терминология в „Афинской политии" Аристотеля (ВДИ, 1958, № 3); ალ. წერეთელი, ძველი საბერძნეთი, გვ. 455—461; Жебелёв С. А., Греческая полит. литература и „Политика" Аристотеля (თანდართული აქვს „პოლიტიკის" მის თარგმანს. Спб.—М., 1911). Wilamowitz—Möllendorff. Aristot. und Athen, I—II, 1923.

65. თავის დროზე მას ბრწყინვალე სადოქტორო დისერტაცია უძღვნა ვ. ბუზესკულმა—„Афинская полития" Аристотеля, как источник для истории государ. строя Афин," Харьков, 1895.

65 ა. რუსულად თარგნილია ს. ყებელიოვის მიერ, იხ. ზემოთ 64 შენიშვნა.

66. გამოცემა Hultsch-ისა (Berl. 1867—1871, მეორედ—1888 წ.); რუსული თარგმანი 3 ტომად—„Полибий Всеобщая история в 40 книгах, перевод с греческого Ф. Г. Мищенка, 1890, 1895, 1898; პირველ

ტომს დართული აქვს მიშჩენკოს ნარკვევი—„Федеративная Эллада и Полибий“ (გვ. I—CCXLIII), მასში ძვირფასი ცნობებია მოცემული აქეისა და ეტოლიის კავშირების შესახებ; В. Бузескул, Введение, გვ. 179—204: Васильевский В. Г., Политическая реформа и социальное движение в древней Греции в период ее упадка, СПб., გვ. 41—46; Всемирная история, II, М., 1956, стр. 336—338: Хрестоматия, II, გვ. 25—28.

67. В. Бузескул, Введение, გვ. 207—213: Мандес М. И., Опыт истор.—крит. комментария к греч. истории Диодора. Одесса, 1901; Древняя Греция, გვ. 559: История греческой литературы, т. III, М., 1960. გვ. 153—156.

68. ბუზესკული ხაზს უსვამს დიოდორეს შეხედულებებს ისტორიაზე (გვ. 208—209).

69. Плутарх. Избранные биографии. Перевод с греческого под редакцией и с предисловием проф. С. Я. Лурье, М., 1941. თარგმანი გაყოფილია ორ ნაწილად და დართული აქვს ს. ლურიეს ნარკვევები: „Плутарх и его время“ (გვ. 5—10) და „Две истории пятого века“ (გვ. 19—28), აგრეთვე დ. კალისტოვის—„Римские биографии Плутарха.“ (გვ. 189—196): პლუტარქე. რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, I, ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტება დაურთო აკაკი ურუშაძემ, თბილისი. 1957; Плутарх, Сравнительные жизнеописания в трех томах, I (Изд. АН СССР), М., 1961 (გამოცემულია მეორე ტომიც). პირველ ტომს დართული აქვს ს. ი. სობოლევსკის „Плутарх“; В. Бузескул, Введение, გვ. 213—224; Древняя Греция, გვ. 560: ალ. წერეთელი, ძველი საბერძნეთი, გვ. 209—211, 213—215; 338—339: W. v. Uxkull—Gyllenband, Plutarch und die griechische Biographie. Stuttgart, 1927; История греческой литературы, т. III, М., 1960, გვ. 173—186.

70. С. Лурье, გვ. 5—14, მისივე, Геродот, გვ. 155.

71. აკაკი ურუშაძე. პლუტარქე. გვ. XIV.

72. გამოცემა A. Meineke-სი (1860—1866), რუსული თარგმანით. მიშჩენკოსი (მოსკოვი, 1874): თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი. 1957: В. Бузескул, Введение. გვ. 230—231; История греческой литературы, т. III, გვ. 169—173.

73. *Ὑπομνήματα ἱστορικά.*

74. *Γεωγραφικά.*

75. А. Ранович. Восточные провинции Римской империи в I—III в. в., М.—Л., 1943, გვ. 218—220.

76. Павсаний, Описание Эллады. Перевод и вводная статья С. П. Кондратьева, том I, М., 1938. т. II, М.—Л., 1940. В. П. Бузескул, Введение, გვ. 232—234: История греческой литературы, III, გვ. 203—208: C. Robert. Pausanias als Schriftsteller, Berlin, 1909.

77. აქ და ქვემოთ ციტატები კონდრატიევის თარგმანიდანაა მოტანილი.

78. U. Vilcken, Griechische Geschichte in Rahmen der Altertumsgeschichte, Berlin. 1958, S. 245.

79. რუსული თარგმანი—Арриан, Поход Александра, перевод с древнегреческого М. Е. Сергеенко (Изд. АН СССР, М.—Л., 1962), დართული აქვს ო. ო. კრიუგერის „Арриан и его труд „Поход Александра“, რომლითაც ვისარგებლეთ არიანეს დახასიათებაში.

სახელთა საძიებელი

აბუ-სიმბელის წარწერა 29
აგათოკლე 85
აგამემნონი 9
აგესილაოსი 68—70
ავგუსტუსი 56, 93, 94, 98
ავდიევი ვ. ი. 4
ავლუს გელიუსი 47
ალკეოსი 35, 36
ალკიბიადე 54
ალტმანი მ. 110
ანაქსაგორა 50, 62, 67
ანაქსიმანდრე 38
ანდოკიდე 77, 78
ანტიოქოს სირაკუსელი 59
ანტ-ფონტე 50, 77
აპოლოდორი 47
არიანე კვინტუს ეპიუს ფლაბიუსი 106—108
არისტოტელე 44, 47, 86—89
არისტოფანე 72, 73
არქილოქე პაროსელი 35, 36, 112
აფაქიძე ა. 111
აქილევსი 9

ბარტოლეტი 85
ბელინსკი 101
ბეკნესეკ (ოქსირინხი) 84
ბოტვინიკი მ. 110
ბრეჩჩა 85
ბუზესკული ელ. 66—69, 80, 89, 90, 96, 110—116
ბუზოლტი 110

გაიდუკევიჩი ვ. 110
გაუმატა 45
გეორგიევი ვ. 27
გოზალიშვილი გ. 113
გოლენკო კ. 111
გორტინის კანონები 29
გრაბარ-პასეკი 80

დარიოსი, დარიუსი 35, 42, 45, 46, 106
დემარეტა 26
დემოსთენე 77—82
დერატანი ნ. 114
დიოდორე სიცილელი 56, 93, 94, 106
დიოდოტე 55, 60
დიონისე ჰალიკარნასელი 44, 46, 82
დოვატური ა. 112, 115
დროიზენი 106

ევანსი არტურ 14, 26
ევბეა 6, 24, 25, 86
ევგემერი 7
ევრიპიდე 33, 72
ენგელსი ფრ. 3, 86
ენგლიანოს ეპანო 19
ეპიკტეტე 107
ერაზმ როტერდამელი 101
ესქილე 39, 43, 67, 72
ესქინე 77—79, 81
ეფიალტე 75, 87
ეფორე 83, 85, 90, 94

ვასილევსკი ვ. 115
ვენტრისი მ. 27, 111

ზელინი კ. 113—115
ზოგრაფი ა. 111

თემისტოგენე სირაკუსელი 69, 70
თემისტოკლე 57, 87
თეოგნიდე 35
თეოპომპე ქიოსელი 83, 84, 94
თერამენი 56
თუკიდიდე 44, 46—69, 72, 75—77

ისოკრატე 77—79, 81—84
იულიუს ცეზარი 56, 93
იუსტინე 94

კადმოსი 37
კალანდაძე ალ. 111
კალინე 34
კალისტოვი 116
კარგაროვი ე. 114
კაპანაძე დ. 111
კარიშკოვსკი პ. 111
კაცნელსონი ლ. 110
კვინტუს კურციუს რუფუსი 108
კლასენი 48
კობერი ა. 27
კოგანი მ. 110
კოლობოვა კ. 111, 115
კონდრატიევი 116
კორნელი 101
კორნფორდი მ. 67, 114
კოხრეინი 64, 67
კრეტა 6, 8, 14—17, 26, 28
კრეტა-მიკენი 4, 10, 13, 27, 28
კრიუგერი ო. 116
კუნი ნ. 110
კუფტინი 23, 110

ლენცმანი ი. 110
ლეოკრატე 82
ლეოსთენე 82
ლიკურგოსი 56, 77, 81, 82
ლისიასი 77, 78
ლომოური ნ. 111

ლერიე ს. 36, 44, 69, 86, 99, 110—112, 114, 116

მაიერი ედ. 66, 114, 115
მაკედონელი ალექსანდრე 7, 80—82, 90, 93, 97, 100—102, 106, 108
მაკედონელი ფილიპე 78—84, 90
მალინინი 114
მანდესი მ. 116
მარგულესი ბ. 112
მარინოვიჩი ლ. 110, 111
მარკოვი 111
მარქსი კ. 3, 74
მარცელინუსი 47, 49, 50, 52, 53
მაქსიმოვა მ. 114
მენანდრე 33
მილეტელი ტიმოთე 33
მირომნიკოვი ს. 112—115
მიშჩენკო 92, 112

ნოვიცკაია კ. 113
ნოვოსადსკი 111

ოდისევსი 9, 10
ოქსირინხი 84, 85

პავსანიასი 18, 23, 57, 103—106
პეიჯი დ. 10
პელოპონესი 5, 6, 17, 24, 30, 38, 42, 46—48, 52, 53, 56, 57, 61, 63, 66, 67, 71, 73, 77, 81—83, 85, 90, 104
პენდლბერი ჯ. 110
პერიკლე 21, 22, 40, 41, 46, 48, 50, 51, 54, 60, 62, 75, 76, 83, 87, 98
პიკუსი პ. ნ. 4
პლატონი 73—75, 87
პლუტარქე 42, 44, 49, 54, 56, 70, 76, 95—102, 106, 108
პოკროვსკი ა. 114
პოლიბიოსი 89—94, 99, 102
პოლიენი 94, 95
პრიდიკი ე. 111
პროტაგორე 62, 67
პუშკინი ალ. 46

შებელიოვი ს. 48, 57, 58, 59, 66, 113—115

რაბლე 101
რადიგი ს. 110, 111, 114
რანოვიჩი ა. 116
რასინი 101
რაულინსონი 111

ხაფო 33, 36
სერგეევი დ. 110
სერგეენკო მ. 110
სვენტიცკაია ი. 110
სვიდა 47

სობოლევსკი ს. 100, 114
სკილაქსი 37
სოკრატე 68, 70, 71, 73, 74, 82
სოლონი 24, 34, 87
სოფოკლე 43, 72
სტრაბონი 44, 101—103, 106
სტრუვე ვ. 110, 112, 113

ტიმოშჩენკო ი. 114
ტირტეოსი 34
ტიტე ლივიუსი 94
ტომსონი (თომსონი) 110
ტროგუს პომპეუსი 94
ტრუტოვსკი ვ. 111

ურუშაძე აკაკი 116

ფილოკრატე 81
ფსევდო-ქსენოფონტე 71

ყაუხჩიშვილი თ. 112, 116
ყაუხჩიშვილი ს. 110, 112, 114

შამპოლიონი 111
შეკსპირი 101
შვარტცი ე. 67
შლიმანი ჰენრიხ 13, 14, 104
შტოლ გ. 110

ჩადვიკი დ. 27, 111

ციცერონი 46, 75, 79, 94

წერეთელი ალ. 110—115
წერეთელი გრ. 112

ხვოსტოვი მ. 66, 114

ჰაინე 101
ჰეკატეოს მილეტელი 37, 38, 43
ჰელანიკე მიტილენელი 38, 58, 59
ჰეროდოტე 39—42, 44—46, 49, 50, 59, 61, 90
ჰესიოდე 10, 11, 12, 44
ჰიპერიდე 77, 81, 82
ჰიპოკრატე 46, 62
ჰომეროსი 4, 5, 8—10, 13, 19, 27, 36, 43, 44
ჰოხნი ბ. 27

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 3
მითები და თქმულებები 7
ეპიკური პოეზია 8
მატერიალური კულტურის ძეგლები 12
მონეტები 24
ეპიგრაფიკული ძეგლები 26
ლირიკული პოეზია 31
ლოგოგრაფოსები 36
ისტორიოგრაფია 38
ჰეროდოტე 39
თუკიდიდე 46
ქსენოფონტე 63
ფსევდო-ქსენოფონტეს „პოლიტეია“ 71
ძვ. წ. V საუკუნის ატიკური დრამა და კომედია 72
პლატონი 73
V—VI საუკუნეების ორატორები და რიტორები 75
დემოსთენეს თანამოღვაწეები ჰიპერიდე და ლიკურგოსი 81
ძვ. წ. IV საუკუნის შუახნის ისტორიკოსები ეფორე და თეოპომპე 83
ოქსირინხის ისტორიკოსი 84
ტიმაიოს ტავრომენიონელი 85
არისტოტელის „ათენის პოლიტია“ 86
პოლიბიოსი 89
დიოდორე სიცილიელი 93
პლუტარქე 95
სტრაბონი 101
პავსანიასი 103
არიანე 105
ბერძნული კალენდარი 108
შენიშვნები და დამატებები 110
სახელთა საძიებელი 117